საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 5 ივნისი 1999 №104 (877) | ფასი 50 თეთრი


# წაგება დავივიწყეთ, ეგებ მოგებაც ვისწავლოთ

ყველას ისე რომ არგებდეს მწრთნელთა ცვლილება, როგორც საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს, კიდევ არა გვიშავდა. მას შემდეგ, რაც 21-წლამდელებს მწვრთნელებად მურთაზ ხურცილავა და ვახტანგ კოპალეიშვილი დაუნიშნეს, ქართველ ფეხბურთელებს აღარ წაუგიათ, თუმცა, ჯერჯერობით, შესარჩევ ციკლში ვერც ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტეს.

ახალგაზრდებს თამაშნახევარი გოლი არ გაეშვათ, ბერძენთა რომაელმა თავდამსხმელმა ლამბოს ხუტოსმა ჩვენებურთა ახალი მეკარე, ქემჩუჟინელი დავით ხმელიძე რომ დააღონა, მაგრამ ქართველები მეტოქეს არ შეეპუვნენ და რაც შეძლეს ესაა: კობა წიტაიშვილმა ოც წუთში ანგარიში გაათანაბრა. მატჩიც ფრედ დამთავრდა.

საქართველო — საბერძნეთის ახალგაზრდული გუნდების მატჩის რეპორტაჟი იხილეთ მეორე გვერდზე



გუშინ ქართველმა ახალგაზრდებმა ახალი მწვრთნელის, მურთაზ ხურცილავას თავკაცობით უკვე მეორედ ითამაშეს წაუგებლად. ამ ფოტოზე ჩვენს 21-წლამდელებს ანგარიშის გათანაბრება უხარიათ

# სიყვარული კლასიფიკაციაშიც აგვამაღლებს

## პირველი უკრაინელი დიდი სლემის ტურნირის ფინალში

### პარიზში მიწვეულთაგან კლასიფიკაციით ნაბოლარამ როლან გაროსის ფინალს უწია გამიჯნურებული და ყველაზე ბედნიერი ჩოგბურთელი დედამიწაზე

24 წლის ანდრეი მედვედევი კარიერის უდიდეს წარმატებას ტურნირის ექიმ დაგ სპრინს, გელფრენდ ანკე ჰუბერსა და სერგეი ბუბკას უმადლის. მისი მეტოქის ვინაობა კი დღესლა გაირკვევა — ანდრე აგასისა და დომინიკ ჰრბატის გუშინდელი მატჩის დასრულებას თავსხმა წვიმამ შეუშალა ხელი

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



REUTERS პარიზიდან

ანდრეი მედვედევი

3

## დემეტრაძე გადარჩა, ოღონდ ნაკრებს მიღმა დარჩა



საქართველოს ნაკრებს კიდევ ერთი თავდამსხმელი გამოაკლდა: გიორგი დემეტრაძემ ავტოავარიაში მუხლი დაიშავა

8

## სიძე, ყაჩაღი და მთელი ამბავი

პოლიციიდან გათავისუფლებულმა მარკ ბოსნიჩმა იმავე საღამოს იქორწინა

12

## MVP!

სრულიად მოულოდნელად სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ კარლ მელოუნი აღიარეს

14

## ევერესტი მაინც ევერესტია!




რონგბუკის მყინვარს კაცი ვერ დაინახავ, თუ ჯომოლუნგმას უმაღლეს წერტილზე ფეხს არ შედგამ. ასე რომ, ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე უტყუარი „ცნობა" რონგბუკის მყინვარია. ამას გარდა მწვერვალზე ვნახეთ...

# მომავალი არსებობს

თბილისი
4 ივნისი
18 საათი
შევარდენი
2 000 (ტევადობა 3 000)

**საქართველო 1:1 საბერძნეთი**

ახალგაზრდულები

0:1 ხუტოსი (48), 1:1 წიტაიშვილი (68)
**საქართველო:** ლომაია (ხმელიძე 46), ქემოკლიძე, ე. საჯაია, აბრამიძე, შაშიაშვილი, ა. სახვაძე, კვარაცხელია, შავგულიძე (ბურდული 62), შენგელია, წიტაიშვილი, ლ. მელქაძე (ო. გველესიანი 57)
*სათადარიგო:* ჯ. მუჯირი
**საბერძნეთი:** კოცოლისი, კაციცისი (კაპიტაცისი 74), ცირცოპულოსი, კონენაცისი, მოშოგიანისი (ლიოლიდისი 77), კარაგუნისი, ფაცაცოღლუ, ხუტოსი, კონსტანტინიდისი (კაფესი 69), გრამოცისი
*სათადარიგონი:* სტავრაკაკისი, კოლიოლისი, ბერნეანდო, პაკალიტისი
**გაფრთხილება:** ქემოკლიძე (45)
**მსაჯი:** კ. სლუპიკი; ტ. რუსეკი, კ. საპელია; მ. მილევსკია (ყველა პოლონეთი)



გიორგი შენგელიას ფლანგური გარღვევები სახიფათო იყო

**მამუკა კვანტალიანი**

გუშინ ბერძენ თანატოლებთან ორთაბრძოლაში ქართველებს არაერთი ხარვეზი ჰქონდათ. შეცდა მეკარე, ერთი ორჯერ წაიფორხილა დაცვამ, ვერ ივარგა შუა ხაზმაც და განსაკუთრებით მეორე ტაიმში, თავდასხმაში ფაქტობრივად ეული იყო წიტაიშვილი.

საბერძნეთის ახალგაზრდული ნაკრები მეტად სოლიდური, ათლეტური, ტექნიკური და ყველა რგოლში თანაბრად დაკომპლექტებული გუნდი ყოფილა. თბილისში ჩვენ ვნახეთ ნორვეგიელებიც, რომლებმაც პირწმინდად დაგვჩაგრეს, მათთან ქულის გადარჩენის არანაირი შანსი არ გვქონია. თამამად ვიტყვი, ნორვეგიისას თუ არ სჯობს, არც არაფრით ჩამოუვარდება საბერძნეთის ახალგაზრდული.

მაშ, როგორ მოახერხეს საქართველოს „პატარებმა" ქულა აერთმიათ გაცილებით ძლიერი მეტოქისთვის?

სანამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, თვალი გადავავლოთ ჩვენების შემადგენლობას. იქ უმრავლესობა თვრამეტწლამდელთა ნაკრებიდანაა გადმოსროლილი.

მურთაზ ხურცილავა ნამდვილად არ შემცდარა, როცა ნაკრებში კოპალეიშვილის ბიჭებს უხმო. მწვრთნელმა აშკარად მომავლისკენ გაიხედა. ვერ გეტყვით, ფიქრობდა თუ არა ბატონი მურთაზი მეორე, ჩემი აზრით, გადამწყვეტ ფაქტორზე, მაგრამ ესეც მის პლუსად ჩავთვალოთ.

კოპალეიშვილის ნაკრებს ორ წელზე მეტია, ოფიციალური მატჩი არ წაუგია. ორიოდ საყაიმო ანგარიში, ისიც სტუმრად, დანარჩენ შეხვედრებში მხოლოდ გამარჯვება.

გამარჯვებულის ფსიქოლოგია, აი, მათი ყველაზე დიდი კოზირი. ბიჭები ვერაფრით შეეგუებოდნენ დამარცხებას. სიქაგაცლილებმა ბოლო ძალები მოიკრიბეს და თითქმის წაგებული თამაში იხსნეს.

თავიდან კი საშიში თითქოს არაფერი ჩანდა. ქართველებმა შეტევებით დაიწყეს და დებიუტშივე შეუტოკა შენგელიამ სტუმრებს გული. გიორგის კარგად შესრულებული ჯარიმის შემდეგ ბურთი ხარიხას მოხვდა და მინდორი დატოვა.

მერე და მერე ბერძნებმაც გამოიღეს ხელი და შეგვავიწროვეს, მაგრამ ლომაია ვერაფრით შეაშინეს. ქართველი მეკარე მეტად მშვიდად აკონტროლებდა საკუთარ „საბატონოს".

ტაიმის ბოლოს ისევ აფეთქება, მიყოლებით სამი რეალური მომენტი, რომლებიც, სამწუხაროდ, გამოუყენებელი დარჩა. ჯერ წიტაიშვილმა მოირგო საჯარიმოს ხაზთან ფეხზე ბურთი და ხარიხა ააზანზარა, მერე ისევ გიორგი შენგელიამ შეუმოწმა იგივე ხარიხას სიმაგრე. ახლოდან წიტაიშვილის დარტყმულზე სტუმართა მეკარემ გამოამჟღავნა შესაშური რეაქცია.

მეორე ტაიმი საქართველოს ნაკრებმა ახალი მეკარით დაიწყო. კარში ახოვანი დავით ხმელიძე ჩადგა. ალბათ, ეს იყო ხურცილავასა და კოპალეიშვილის ერთადერთი შეცდომა. დათოს უდიდესი ფსიქოლოგიური ტვირთი დააწვა მხრებზე. ახალგაზრდა კი არა, გამოცდილ-დაბრძენებული მეკარე შედრკებოდა 0:0-ზე თამაშში ჩაბმისას.

ხმალაძემ ერთი შეცდომა დაუშვა, ბურთი ხელიდან გაუვარდა და ეს შანსი ხუტოხმა გამოიყენა. ყველას შეგვეცოდა ქართველი მეკარე, მართლაც სულით ქართველი. მას რუსეთში უზრუნველი ცხოვრებას ჰპირდებოდნენ, მაგრამ საქართველოს ნაკრები ირჩია. თავისი კლასი დათომ მერეც დაგვიმტკიცა, მაგრამ ის ერთი შეცდომა ვერ მოინელა და თამაშის შემდეგ ცრემლები წასკდა. ძლივს დააწყნარეს კოლეგა ლომაიამ და მწვრთნელმა გელა ჭანტურიამ.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ლომაიასა და ხმელიძის სახით საქართველოს საიმედო მეკარეები ეზრდება.

მეორე ტაიმში კი ბერძნებმა დაგვჩაგრეს. ჩვენებს დალლა დაეტყოთ. სტუმრები მარწუხებს სულ უფრო მეტად უჭერდნენ. განსაკუთრებით, მათი მეთერთმეტე ნომერი, გრამოზისი გახდა მოუხელთებელი. ხუტოსთან ერთად ის იყო ჩვენების დამწიოკებელი. ისე კარგ ფეხბურთელობასთან ერთად ის ჩვენი ნაქები გრამოზისი აშკარად თავხედიც ყოფილა. მთელი თამაშის მანძილზე ცდილობდა ქართველების პროვოცირებას და ქომაგებსაც დააწყვიტა ნერვები.

სწორედ თამაშის ბოლოს ვერ დაცხრა გამარჯვებულის ფსიქოლოგია. ბოლო ძალები ანგარიშის გასათანაბრებლად ნაყოფიერად დაიხარჯა. ლადო ბურდულის გარღვევას სახიფათო გამჭოლი გადაცემა მოჰყვა. საჯარიმოში წიტაიშვილმა ახმახ მცველს აჯობა და ვარდნაში მუხლით შესწვდა ბურთს. მეტად უცნაური ტრაექტორია მოხაზა ბურთმა. თავგანწირვით გადამხტარ ბერძენ მეკარეს გადაევლო და კარში ჩაეშვა.

თამაშის ბოლომდე ბევრიც არ რჩებოდა და ქართველებმა გაძლეს. ის კი არა, კინაღამ კონტრშეტევაზე გამოიჭირეს სტუმრები და შენგელიას ოდნავ ზუსტად რომ მიეწოდებინა ბურთი წიტაიშვილისთვის, იქნებ ბერძნებიც ატირებულიყვნენ.

გუშინდელმა თამაშმა დაგვანახა, რომ მიმართულება, თანაც სისწორესთან მიახლოებული, არსებობს. მომავალი გამოჩნდა და თუ სწორი მუშაობაც იქნება, მაშინ საქართველოში ფეხბურთი დაბრუნდება.



კობა წიტაიშვილი (№10) — თავდაუზოგავი მებრძოლი და გოლის ავტორი

## მატჩის სტენოგრამა

4 სტუმართა კართან მარცხენა ფლანგზე ჯარიმა დაინიშნა. შენგელიამ პირდაპირ კარში დაარტყა. ბურთი ხარიხამ მოიგერია.
7 კარაგუნისმა საჯარიმოს მისადგომებიდან შეუჩერებლივ ძლიერად და სახიფათოდ შეუტია, მაგრამ მიზანს ააცილა.
15 კუთხურის შემდეგ ქართველ მცველთა მოგერიებული ბურთი კონსტანტინიდისმა კარისკენ გაგზავნა. ბედად ბურთი ისევ მცველს მოხვდა.
21 კონსტანტინიდისის პასით გრამოცისი ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ ბურთი აეჭრა.
35 შავგულიძემ და წიტაიშვილმა ერთმანეთში გაათამაშეს ბურთი. მერე წიტაიშვილმა უძლიერესად დაარტყა და ხარიხა შეაზანზარა.
37 მელქაძემ საჯარიმოში ჩააწოდა. უხეშად შეცდნენ ბერძენი მცველები, რითაც შენგელიამ ვერ ისარგებლა — სტუმრები ისევ ხარიხამ იხსნა.
41 შავგულიძემ მარჯვენა ფლანგზე გარღვევა განახორციელა და საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც მელქაძემ ეშმაკურად გაატარა ბურთი, წიტაიშვილმაც ჩვეულად უცაბედად გაგზავნა ბურთი კარისკენ. ბერძნები მეკარის თავგანწირულმა ნახტომმა გადაარჩინა.
48 კონსტანტინიდისმა შემობრუნებით არც ისე ძლიერად დაარტყა, ხმელიძეს აღებული ბურთი გაუვარდა და ხუტოსმაც ზუსტად დაამატა — 0:1.
53 იმავე ხუტოსის ძლიერად გასროლილი ხმელიძემ კუთხურზე მოიგერია.
55 კაციცისმა ჯარიმიდან ოდნავ ააცილა ბურთი კარს.
68 ჩვენებმა სწრაფი შეტევა განახორციელეს. ბურდულმა მარჯვენა ფლანგზე კარგად ითამაშა და კარის გასწვრივ დაბალი ჩააწოდა, წიტაიშვილმა მცველებს დაასწრო და ვარდნაში დარტყმით ანგარიში გაათანაბრა.
82 კარაგუნისის შორიდან უძლიერესი დარტყმის შემდეგ ისევ ხმელიძემ ივარგა.
84 შენგელიას წიტაიშვილის მეკარესთან პირისპირ გაყვანა შეეძლო, მაგრამ კარგი მომენტი დაიკარგა.
87 კაფესმა კუთხურიდან პირდაპირ კარში ჩაახვია ბურთი, ხმელიძე ამას არ ელოდა, ოდნავ წინ იყო გამოსული, თუმცა რეაგირება მოასწრო და ბურთი კარის ხაზიდან მოიგერია, შემდეგ კი ბურდულმა განმუხტა მდგომარეობა.
90 კაპიტაცისის შორიდან მოულოდნელად დარტყმული ოდნავ ასცდა ქართველთა კარს.

## მატჩის შემდეგ

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს სასიამოვნო სიურპრიზი გველოდა. ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ მისი წინამორბედების მიერ დამკვიდრებული არც თუ კარგი ტრადიცია დაარღვია. თავისი წარმომადგენელი კი არ გამოგზავნა, თავად გვეწვია და კითხვებზე პასუხის გასაცემადაც მოემზადა, თუმც პირველად სიტყვა, წესისამებრ, სტუმარ კოლეგა *იანის კოლიასს* დაუთმო:

— შედეგით კმაყოფილი ვარ, რადგან საქართველოს ნაკრები სულაც არ მიმაჩნია ხელწამოსაკრავ მეტოქედ. თქვენმა გუნდმა პირველ ტაიმში მშვენივრად ითამაშა, სამჯერ გოლის გატანაც შეგეძლოთ, მაგრამ არ გაგიმართლათ. პირველ ნახევარში ჩემებით უკმაყოფილო დავრჩი, პასიურად მოქმედებდნენ. ეს განსაკუთრებით განაპირა ნახევარმცველებს ეხებათ. მეორე ტაიმში კი თამაში აშკარად გამოვასწორეთ და გაჯობეთ კიდეც, თუმცა, პირველისგან განსხვავებით, გოლის გატანა შეძელით. მიუხედავად ამისა, ვიმეორებ, შედეგითაც და თამაშითაც კმაყოფილი ვარ. ან კი რატომ უნდა ვიყო უკმაყოფილო, ჩვენ ხომ ჯგუფში ისევ პირველ ადგილზე დავრჩით.

დღეს ჩვენს თამაშს დაღი იმანაც დააჩნია, რომ ორი წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა, თუმცა მათმა შემცვლელებმაც ღირსეულად ითამაშეს.

გაცილებით მეტს ველოდი გოლის ავტორ ლამპოს ხუტოსისგან. იგი ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელია, იტალიურ „რომაში" თამაშობს და გაცილებით ბევრს ვთხოვთ. თუმცა იგი სრულფასოვანი პროფესიონალი ჯერაც არ არის.

*მურთაზ ხურცილავა:*

— ჩვენი გუნდის თამაშით კმაყოფილი დავრჩი. მეტოქეებზე ორი-სამი წლით უმცროსები გვყავს, რაც მოწინააღმდეგისთვის პატარა უპირატესობა სულაც არაა, მაგრამ როგორც ნახეთ, ბიჭებმა ბერძნებს ტოლი არ დაუდეს და აჯობეს კიდეც, თითქმის ასევე იყო ნორვეგიაშიც.

ამ მატჩში ჩვენთვის შედეგი მეორეხარისხოვანი გახლდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ლომაიას არც შევცვლიდით. იცით, ახალ ნაკრებს ვაშენებთ და გვსურს, ყველას შესაძლებლობა ვნახოთ. სწორედ ამიტომ შევცვალე პირველი ტაიმის შემდეგ ლომაია, მინდოდა, საქმეში ხმელიძეც მენახა. მიუხედავად იმისა, რომ გოლისას აშკარად შეცდა, მისით კმაყოფილი ვარ. იგი ნაკრებში პირველ თამაშს ატარებდა და ღელავდა, ამიტომ პატარ-პატარა შეცდომები მოსალოდნელიც იყო. მისი თამაშით ერთი საქმეც გავაკეთეთ, ხმელიძე ფაქტობრივად საქართველოში დავტოვეთ. მას სხვა ქვეყნის სახელით თამაში აღარ შეუძლია, არადა, რუსეთის ახალგაზრდულ გუნდშიც იწვევდნენ. მისი და ლომაიას შესაძლებლობები იმედს გვაძლევს, რომ მეკარის პრობლემა მოგვეხსნება. კმაყოფილი ვარ დაცვითაც. ორიოდ წვრილმან შეცდომას თუ არ ჩავთვლით, ჩინებულად ითამაშეს, თანაც ამ რგოლში სხვა რეზერვებიც გვაქვს.

დღეს მინდოდა ყველა მეთამაშებინა, მაგრამ ჯაბა მუჯირს დილით სიცხე ჰქონდა და ამიტომ შევიკავეთ თავი. ასევე ავადმყოფობის გამო არ იყო ლაშა ჯაკობიაც. იგი მოვიწვიეთ, ჩამოვიდა კიდეც თბილისში, მაგრამ ექიმებმა დასვენება ურჩიეს.

შეგვეძლო ამ მატჩებისთვის ვიტალი დარასელია და სხვებიც ჩამოგვეყვანა, მაგრამ აზრი არ ჰქონდა, რადგან მომავალ ციკლებში ისინი გადაზრდილები იქნებიან და ველარ დაგვეხმარებიან.

**ვანო ოქროპირიძე**

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

UEFA UNDER-21 Championship

### I ჯგუფი

**დანია 2:0 ბელარუსი**
1:0 ლეკტონენი (31), 2:0 რომედალი (57)

**იტალია 6:2 უელსი**
1:0 ვენტოლა (8), 1:1 ჯეინი (28), 2:1 პირლო (62), 2:2 ჯოუნსი (66), 3:2 ვენტოლა (72), 4:2 კომანდინი (75), 5:2 ვანუჩი (78), 6:2 ვენტოლა (90)

### III ჯგუფი

**გერმანია 2:0 მოლდოვა**
1:0 რაიხი (56), 2:0 როსლერი (77)

### V ჯგუფი

**ინგლისი 3:0 შვედეთი**
1:0 კორტი (30), 2:0 კრისუელი (45), 3:0 კორტი (80)

**პოლონეთი 3:3 ბულგარეთი**
0:1 ჩომაკოვი (13), 0:2 იელევი (14), 1:2, 2:2 ვლოდარჩუკი (59, 68), 2:3 ჩომაკოვი (69), 3:3 დავიდოვსკი (81)

### VI ჯგუფი

**ესპანეთი 4:1 ჰოლანდია**
0:1 ბრუგინკი (26), 1:1 2:1 მარტინი (40, 43), 3:1 4:1 ტამუდო (48, 60)

### VII ჯგუფი

**რუმინეთი 2:1 უნგრეთი**
1:0, 2:0 კერნატი (23, 74), 2:1 ფერენცი (79)

**პორტუგალია 1:1 სლოვაკეთი**
0:1 სედლაკი (78), 1:1 ალმეიდა (89)

### IX ჯგუფი

**ესტონეთი 0:3 ჩეხეთი**
0:1 პაინცი (5), 0:2 იანკულოვსკი (15), 0:3 ლუკაში (90)

# დემეტრაძე გადარჩა, ოღონდ ნაკრებს მიღმა დარჩა

გიორგი დემეტრაძე საბერძნეთის ნაკრებთან მატჩში ვერ ითამაშებს. 3 ივნისს, მას შემდეგ, რაც საქართველოს ნაკრებმა დილმის ბაზაზე საღამოს ვარჯიში დაამთავრა, დემეტრაძე ბოსკამპს დაეთხოვა და შინისკენ მიმავალი ვარაზის ხევთან ავარიაში მოჰყვა.

„მერსედესს“, რომელშიც ფეხბურთელი იჯდა, „ვაზ 2107“ შეეტაკა.

როგორც „სარბიელს“ მთაწმინდის პოლიციაში განუცხადეს, ავარია დაახლოებით 20 საათისთვის მოხდა. საქმეს ქალაქის ავტოინსპექცია იძიებს.

გამოძიების დასრულებამდე საი-ს მორიგე ინსპექტორმა, ბუნებრივია, მტყუან-მართლის გარჩევისგან თავი შეიკავა. მისი თქმით, „მერსედესი“ და „07“ საპირისპირო მოძრაობისას შეეჯახნენ ერთმანეთს. გიორგი დემეტრაძე „მერსედესში“ მარტო მჯდარა, ისევე როგორც 07-ის მძღოლი.

მორიგე ინსპექტორისვე განცხადებით, ავარიას, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ მოჰყოლია. ეგ არის, ინფორმაცია მიღებული ტრავმების შესახებ არ გააჩნდა.

ბუნებრივია, „სარბიელმა“ გადაწყვიტა, თავად ფეხბურთელისა და ნაკრების ხელმძღვანელობის პოზიცია და კომენტარი გაეცნო მკითხველისთვის. მითუმეტეს, რომ თბილისში სასწრაფოდ გავრცელდა ჭორი, ბოსკამპმა დემეტრაძე გუნდიდან გაუშვაო.

ჩვენ შევეხმიანეთ როგორც გიორგის, ასევე ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო კომიტეტის თავკაც ზაზა ბოკერიას და მათაც ეს გვითხრეს:

*გიორგი დემეტრაძე* — ავარიაში ნამდვილად მოვყევი. მუხლი მაქვს დაშავებული და საბერძნეთის ნაკრებთან ვერ ვითამაშებ. ავარიის შემდეგ ბოსკამპთან არ მისაუბრია და ამდენად, ვერაფერს გეტყვით, რა და როგორ გადაწყვიტა მწვრთნელმა. ისე ცუდი არაფერი ჩამიდენია და ნაკრებიდან ჩემი გაშვების შესახებ ჭორი რატომ გავრცელდა, ვერაფერს გეტყვით.

*ზაზა ბოკერია* — გიორგი დემეტრაძე მუხლის მძიმე ტრავმის გამო გამოაკლდება საქართველოს ნაკრებს ბერძნებთან მატჩში.

*— ჩვენი ინფორმაციით, ბოსკამპმა იგი დისციპლინის დარღვევისთვის გაუშვა ნაკრებიდან — ვიცით, დემეტრაძე ავარიაში მოჰყვა.*

— დიახ, ასეა, გიორგი ავარიაში მოჰყვა და მუხლი ისე დაიზიანა, კიბეზე ასვლაც უჭირდა.

*— ბოსკამპმა თუ იცოდა, რომ დემეტრაძემ გარკვეული დროით ბაზა დატოვა?*

— დიახ, იცოდა. გიორგიმ მწვრთნელს სთხოვა, რომ პასპორტის მოსატანად შინ გაეშვა. ბოსკამპი დათანხმდა, ოღონდ ერთი პირობით — დემეტრაძეს ერთ-ერთი მწვრთნელი უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ გიორგი ბოსკამპის თანაშემწეს აღარ დაელოდა და ბაზიდან მარტო გავიდა.

*— და, მიუხედავად ამისა, ბოსკამპს დემეტრაძე არ დაუსჯია?*

— არა, დემეტრაძე ტრავმის გამო გამოაკლდა ნაკრებს...

ერთ კვირაში საქართველოს ნაკრებმა უკვე მეორე თავდამსხმელი დაკარგა. პირველი სამშაბათს ბოსკამპისგან შერისხული ზაზა ჯანაშია იყო, მეორე გიორგი დემეტრაძეა. მანამდე კი, გეხსომებათ, ტყუპმა არველაძეებმა ტრავმის გამო ვერც ნორვეგიასთან თამაში შეძლეს და ვერც დღევანდელი მატჩისთვის მოემზადნენ. ასე რომ, ბოსკამპს თავდამსხმელთა დიდი არჩევანი აღარ აქვს. მის განკარგულებაში ესენილა არიან: „დინამოს“ და საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირი მიხეილ აშვეთია, მისი თანაგუნდელი რატი ალექსიძე, „ტორპედოს“ და თვრამეტწლამდელთა ნაკრების ფორვარდი გიორგი იმედაძე.

**სიმონ მენაბდე**
**კონსტანტინე გოგიშვილი**
**პაატა კვანტალიანი**



საქართველოს ნაკრებს გიორგი დემეტრაძეც (№25) გამოაკლდა

### საქართველოს ნაკრების სავარაუდო შემადგენლობა

გუშინ საქართველოს ნაკრების მწვრთნელ იოჰან ბოსკამპს სადღეისო შემადგენლობა უნდა დაესახელებინა, მაგრამ ზაზა ჯანაშიას, გუჩუას და დემეტრაძის გამოკლებამ გეგმები არია. ჩვენი ვარაუდით, ნაკრების მწვრთნელი არჩევანს ამ 11 ფეხბურთელზე შეაჩერებს:

გვარამაძე
ხიზანეიშვილი
შიშველიშვილი
წერეთელი
ცქიტიშვილი
კობიაშვილი
ნემსაძე
ჯამარაული
ქეცბაია
აშვეთია
ალექსიძე

# იმედაძის სამხტომი

*ეს ფეხბურთელი მართლაც იმედის მომცემი ახალგაზრდაა. თანაც გვარიც რომ ხელს უწყობს — გიორგი იმედაძეზე მოგახსენებთ. ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელმა წლეულს მართლაც დიდი ნახტომი გააკეთა და იმერული კლუბის სათადარიგო შემადგენლობიდან პირდაპირ ეროვნულ ნაკრებში ამოყო თავი. შემთხვევით არაფერი ხდება ამქვეყნად. რაც არ უნდა უცნაური ვეძახოთ ნაკრების ჰოლანდიელ მწვრთნელს, ფაქტია, ამ კაცს საქმის ცოდნა და პროფესიონალიზმი არ დაენუნება და, ალბათ, მაშინაც იცოდა, რასაც აკეთებდა, როდესაც ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებული იმედაძე ორი-სამი ვარჯიშის შემდეგ ქვეყნის პირველ ნაკრებში მიიწვია.*

*ნაკრების დებიუტანტი კი თავის ასაკის კვალობაზე მშვენიერი ფიზიკური მონაცემებით გამოირჩევა. მისი საქმეში რამდენჯერმე ნახვის შემდეგ კი საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ საოცრად გაწონასწორებული პიროვნებაა და ნებისმიერ გადაწყვეტილებას ცივი გონებით იღებს. „ტორპედო“ — „სამგურალის“ სათასო ფინალური მატჩის შემდეგ ერთმა სარბიელელმა იმედაძეს „ცივსისხლიანი“ შეარქვა და არცთუ უსაფუძვლოდ. ნაკრების დებიუტანტთან საუბარი იმ მატჩის გახსენებით დავიწყე.*

**— გიორგი, რამდენადაც ვიცი, პენალტებს საერთოდ არ ურტყამთ, „სამგურალთან“ მომქანცველი, 120-წუთიანი ბრძოლის შემდეგ კი ჯიქურ წახვედით ბურთიანად თერთმეტმეტრიანი ნიშნულისკენ. არ ღელავდით?**

— რა მექნა, არავის უნდოდა დარტყმა, ისე, ყოველთვის ასე ვარ, კრიტიკულ მომენტში საოცარი თავდაჯერება მემატება და აქედან გამომდინარე, იმ პენალტის შესრულებაც არ გამჭირვებია.

**— რისი ბრალი იყო, გამოცდილი ვახტანგ კოპალეიშვილის ყურადღების მიღმა რომ რჩებოდით, 18-წლამდელთა შემადგენლობაში ხომ მხოლოდ ბოლო შეხვედრაში ითამაშეთ ჩეხების წინააღმდეგ, ისიც მეორე ნახევარში?**

— აი, ეგ ყოველთვის მიკვირდა. თვრამეტწლამდელების ნაკრებში თამაშის დიდი სურვილი მქონდა, კოპალეიშვილი კი არ მიძახებდა. არადა, საუკეთესო ფორმაში ვიყავი. რა ვიცი, შეიძლება იმის ბრალიც იყო, რომ თავიდან „ტორპედოშიც“ იშვიათად ვთამაშობდი. ერთიცაა, თითოეულ მწვრთნელს თავისი შეხედულება აქვს... ისე, ჩეხებთან გამარჯვება არასდროს დამავიწყდება. ვფიქრობ, „კოპალას“ ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავს და ევროპის ჩემპიონატზე საწადელს აუცილებლად მივაღწევთ. ჩვენი მიზანი მინიმუმ ხუთეულში მოხვედრა იქნება, რაც მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის საშუალებას მოგვცემს.

**— ახალგაზრდული ნაკრებში გამოძახებულს წინ უფრო დიდი სიხარული გელოდათ, ბოსკამპმა ეროვნულ ნაკრებში გიხმოთ...**

— დღემდე ვერ გავიცნობიერე, რაც მოხდა. ჩემთვის ეს დიდი სიურპრიზი იყო. ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ასე უცებ ეროვნული ნაკრების წევრი გავხდებოდი. ამაზე ჯერ ვერც ვიოცნებებდი და უცებ... უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ. მესმის ამ დიდი ტვირთის მნიშვნელობა და ვეცდები, მწვრთნელის ნდობა გავამართლო.

**— გუნდში როგორ მიგიღეს, საერთოდ რა სიტუაცია დაგხვდათ ეროვნულ ნაკრებში?**

— რა ვიცი, ნორმალური... კარგი ბიჭები არიან და თბილად მიმიღეს. ცუდი არაფერი უგრძნობინებიათ. ისე, ყველაზე უფრო დებიუტანტები დავმეგობრდით. მე, ზურა და ოთარი (ხიზანიშვილი და ხიზანეიშვილი) კარგად შევეწყვეთ ერთმანეთს.

**— თქვენზე ამბობენ ცივსისხლიანიაო, მაგრამ არ მგონია, ამ დონის საპასუხისმგებლო მატჩის წინ არ ღელავდეთ...**

— ასეთ დროს ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცი, ბუნებრივია, ვერ იქნება საჭირო დონეზე. რა დასამალია, გარკვეულწილად ვღელავ, მაგრამ ეს უფრო იმით არის გამოწვეული, ვითამაშებ თუ არა. ამ გრძნობას უფრო მოლოდინს დავარქმევდი. მე ჩემ ჯერს ველი...

**— უკვე საბოლოოდ გაირკვა, რომ დემეტრაძე ეროვნულ ნაკრებს ბერძნებთან მატჩში ვერაფრით დაეხმარება, ეს კი თქვენი თამაშის შანსს ერთიორად ზრდის...**

— არ ვიცი, არ ვიცი, რა როგორ იქნება. პასუხისგან თავს შევიკავებ.

**— წლეულს „ტორპედოსთან“ ერთად საქართველოს თასი მოიპოვეთ. მომავალ ჩემპიონატშიც ამ კლუბის შემადგენლობაში გიხილავთ?**

— წინადადებები მაქვს, თუმცა ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევი მგონია.

**— ქართული კლუბებიდან?**

— დიახ.

**— ალბათ, „დინამოდან“...**

— არა, არა, მაგრამ ისიც ქართული კლუბია. ისე, არ არის გამორიცხული, „ტორპედოში“ დავრჩე.

**— პირადად თქვენ სად ისურვებდით თამაშს?**

— სადაც უკეთესი იქნება.

**— მეტოქეზე რა აზრის ხართ. როგორ ფიქრობთ, გაგვიჭირდება ბერძნებთან თამაში?**

— რატომ უნდა გაგვიჭირდეს? დღეს ჩვენი ნაკრების ყველა წევრი დადებითადაა დამუხტული. თითოეული მოთამაშე დღეს მინდორზე უეჭველად მოსაგებად გავა. ბერძნებს კარგი გუნდი ჰყავთ, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ შინაურ კედლებში თამაში ერთიორად ზრდის ჩვენს შანსებს, თანაც დიდი საქმე გვაქვს გასაკეთებელი — ქართველი ქომაგი უნდა გავახაროთ.

**პაატა კვანტალიანი**



გიორგი იმედაძე (№17) ეროვნულ გუნდში თვრამეტწლამდელთა ნაკრებიდან მოხვდა

გიო ახვლედიანის





## ბოსკამპის ვადა

საქართველოს ნაკრების პირველი საშინაო მატჩი იოჰან ბოსკამპის მესაჭეობით ინტერესს იწვევს. საქართველო ეთამაშება საბერძნეთს, რომელთანაც სამარცხვინოდ წააგო ათენში შარშან შემოდგომაზე. საერთოდ, საქართველომ იმდენჯერ წააგო ამ ევროციკლში, რომ იმედი აღარაფრისა უნდა ჰქონოდა, მაგრამ ჩვენი ჯგუფის ჯადოსნურობაც იმშია, რომ რამდენიც არ უნდა წააგო, მეორე ადგილის დაჭერის შანსი მაინც გრჩება. ეს შანსი მცირდება და მცირდება, მაგრამ მაინც არსებობს.

როგორ ხვდება საქართველოს ნაკრები დღევანდელ თამაშს?

ათასგვარ მიზეზთა გამო, ეს არის სრულიად ახალი გუნდი. ახალი გუნდი კი, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ცუდს. უიმედოს კი საერთოდ არ ნიშნავს. ამ სრულიად ახალი გუნდის შემადგენლობა ჩვენი ფეხბურთისთვის მოულოდნელია. იგი სანახევროდაც არ ემთხვევა საქართველოს ნაკრების წინა შემადგენლობებს (რა თქმა უნდა, ოსლოს მატჩს არ ვგულისხმობ). მუდმივ წევრთაგან, სადღეისოდ მხოლოდ ქეცბაია და კობიაშვილი შეგვიძლია დავასახელოთ. და თუ გახსოვთ, რა ამბავი იყო, როცა გუცაევი, ახალ ხალხს ეძებდა ნაკრებისთვის?

ბოსკამპმა არაჩვეულებრივი სიმსუბუქით განაახლა გუნდი. საბერძნეთთან მატჩის წინ მას კვლავ არ ჰყავს ტრავმირებული არველაძეები, უთამაშებელი ქინქლაძე, და ნაკრებიდან ასევე არაჩვეულებრივი სიმსუბუქით დათხოვილი ზაზა ჯანაშია, რომელიც, როგორც ჩანს, ქართველ ჟურნალისტთა გამოკითხვას იგებს და წლის მოთამაშედ გამოცხადდება... და გუშინ დაშავებული დემეტრაძე. საქართველოს ნაკრებს აკლია ორ-ორი ყვითლის გამო დასვენებული კალაძე და ყაველაშვილი. მაგრამ საქართველოს ნაკრები ამ მიზეზით არ ჩანს ახალი გუნდი.

ჰოლანდიელი მწვრთნელი იმგვარი გაქანებით უდგება საქმეს, რომ ცხადია, ის მხოლოდ სადღეისოდ არ მუშაობს. თუ ნაკრების დღევანდელ შემადგენლობას და ბოსკამპის კონტრაქტის ვადას შევადარებთ, შეუსაბამობას დავლანდავთ. მასშტაბი ბოსკამპის ქცევებისა არის რეფორმატორული და ფართო, ვადა მისი ნაკრებში სავარაუდო ყოფნისა — უმოკლესი. ამიტომ, ბოსკამპმა არ უნდა იძახოს ექვსი თვით ვარ აქაო. თუ ექვსი თვით არის, ამ ექვს თვეში მთლად უნუგეშოდ დატოვებს ჩვენებურ ფეხბურთს, იმიტომ რომ ამგვარად თამამი სახვალიო შემადგენლობის შეკრება მხოლოდ მას ხელეწიფება. ესეც არ იყოს და ბოსკამპის ახალი გუნდი, ექვს თვეში ალბათ ბევრად უკეთესი იქნება, მაგრამ თუ ბოსკამპი მართლაც მიატოვებს საქართველოს ექვს თვეში, ეს გუნდი უბრალოდ აღარ იარსებებს.

მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ბოსკამპი უცხოელია, მისი დამარცხება და შარში გახვევა შეუძლებელია. მას არაფერი აკავშირებს საქართველოსთან ფეხბურთის გარდა და შეუძლია ჩვეული ხითხითით დაიხუროს ქუდი და გაქრეს. ჯერჯერობით ისე ჩანს, რომ ასეთ შემთხვევაში წაგებული მხოლოდ საქართველოს გუნდი დარჩება.

ამიტომ — მას კარტ-ბლანში აქვს და ეს სწორია.

ბოსკამპი მაღალკვალიფიციური მწვრთნელია, მე არ ვიტყვი, რომ ის რინუს მიხელსია, ან ერნსტ ჰაპელი, ან კიდევ რაიმონდ გუტალსი. მაგრამ ჩვენთვის ის ერთიცაა, მეორეც და მესამეც. იმგვარ ეპოქაში ვცხოვრობთ, რომ მხოლოდ ფეხბურთს, ცალკე ფეხბურთს ვერ ისწავლი. ისე გამოდის, რომ თანამედროვე ფეხბურთთან ერთად ათასი სხვა რამ თანამედროვე უნდა ისწავლოს მოთამაშემ. ბოსკამპს აშკარად ეტყობა, რომ „ათას სხვა რამეშიც“ მშვენივრადაა გარკვეული.

ამიტომ, ნუღარ იტყვიან, რომ ექვს თვეში მიდის. ეს სისულელეა! ექვსი თვე მხოლოდ გახურებას თუ უნდა. იქეთ კი ცალკე „დინამოა“.

ძლივს რაღაც აწყობილი გამოჩნდა და...

# ვინ არის ეს დანიელი, ნერვებია ცარიელი



ილიას ატმაციდისს (მარცხნივ) და ანდრეას ნინიადისს შორის მჯდომი ვასილის დანიელი აღელვებული იყო

„შერატონ პალასში“ მოკალათებულმა საბერძნეთის ნაკრებმა გუშინ დღის თორმეტ საათზე გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც ქართველ და ბერძენ ჟურნალისტებს ბერძენთა მთავარი მწვრთნელი ვასილის დანიელი, მეკარე ატმაციდისი და თბილისში გაზრდილი ანდრეას ნინიადისი წარუდგნენ.

პრესკონფერენციამ უაღრესად სამუშაო, წყნარ ვითარებაში ჩაიარა და მანამ, სანამ კითხვა-პასუხში ბერძნული პოლიტიკური გაზეთის, „ნეას“ ჭაღარაწვეროსანი და სოლიდურსათვალიანი რეპორტიორი არ ჩაერია და პრესკონფერენცია ლამის სასამართლო პროცესად არ გადააქცია. თუმცა ამაზე ქვემოთ...

დანიელმა ანდრეას ნინიადისი გვერდით მოისვა და ენაწყლიანად ისაუბრა საქართველოს ნაკრებთან მატჩის შესახებ.

...ჩვენ უდიდესი პასუხისმგებლობით ვეკიდებით საქართველოსთან მატჩს. საბერძნეთის ნაკრებს გააჩნია ორადორი გზა. ერთი მათგანი ევროპის ჩემპიონატზე მიდის, მეორეზე კი არაფერია სირცხვილის, ფიასკოსა და სიკვდილის გარდა. ამიტომ აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ.

ქართველების ახლანდელი ნაკრების სახით საქმე გვექნება სრულიად განსხვავებული ფილოსოფიის ნაკრებთან, რომელმაც ნორვეგიაშიც დაამტკიცა, რომ გამართული ფეხბურთის თამაში შეუძლია.

...რაც შეეხება ჩვენს სათამაშო ტაქტიკას, პრესკონფერენციის დასასრულს დაგისახელებთ თერთმეტ ფეხბურთელს, რომლებსაც ძირითადში დავაყენებ და დანარჩენი თვითონ განსაზღვრეთ. საბერძნეთის ნაკრების ტაქტიკა უშუალოდ მატჩისას გამოჩნდება. ფეხბურთელებთან უკვე სამი დღეა, ვმუშაობ ტაქტიკასა და თეორიაზე და მათ უკვე იციან, რა გააკეთონ. ისე, შეიძლება, უშუალოდ მატჩის წინაც შევცვალოთ რაიმე, ცვლილება შემადგენლობას არ შეეხება.

...გასაგებია, რომ საბერძნეთის ჩემპიონატი ახალი დამთავრებულია, გუნდებს რთული პერიოდი უდგათ და ფეხბურთელებიც ეს ბოლო თვეებია განსაკუთრებით გადაიტვირთნენ. მაგრამ გეკითხებით, ეს აქამდეც ხომ ვიცოდით? რა, ჟურნალისტებისთვის გასაგები არ იყო, რომ საბერძნეთის ჩემპიონატის დასასრული საქართველოსთან და ლატვიასთან ორ უმძიმეს მატჩს ემთხვეოდა? მე მაინც მჯერა ჩემი ფეხბურთელებისა, ვთვლი, რომ მიუხედავად რთული სეზონისა, ისინი მზად არიან.

...მართალია, შინ უკეთ ვთამაშობთ, მაგრამ ახლა დასაკარგი არაფერი გვაქვს და გვინდა, არ გვინდა, სტუმრადაც უნდა მოვიგოთ.

...ჩვენ მარტო დაბიზასი და ნიკოლაიდისი როდი გვაკლია. მათთან ერთად ლიბეროპულოსი, აპოსტოლაკისი, ლაკისი, იანაკოპულოსიც ვერ ითამაშებენ, მაგრამ ეს არ არის ტრაგედია, საბერძნეთის ნაკრებში მთელი ქვეყნიდან მოვიწვიეთ ფეხბურთელები და ამდენად, ნებისმიერი მოთამაშის შეცვლა შეგვიძლია. სანაკრებო დონე სხვაა, აქ ერთი ან ორი ფეხბურთელის უთამაშებლობა ბევრს არაფერს ნიშნავს.

...მოგეხსენებათ, აქამდე ნიკოლაიდისი იყო კაპიტანი, ახლა ის არ ითამაშებს და შემცვლელსაც მოვუძებნით. ჯერჯერობით არ გადაგვიწყვეტია, ვინ იქნება კაპიტანი.

...მეათე ნომრად ნინიადისი ითამაშებს. საერთოდ ათ ნომრიან მაისურს სხვანაირ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ჟურნალისტებმა შეკითხვები ნინიადისსა და ატმაციდისსაც დაუსვეს.

ანდრეას ნინიადისი: დაახლოებით რვა წელია, საქართველოში არ ვყოფილვარ. რა თქმა უნდა, მსიამოვნებს, როცა ძველ თანაგუნდელებს და მეგობრებს ვხვდები.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ჩემთვის — მე ხომ აქ გავიზარდე, აქ ვისწავლე ფეხბურთის თამაში. ბავშვობიდან იმ ფეხბურთელებთან ერთად მიხდებოდა გამოსვლა, რომლებიც ამჟამად საქართველოს ნაკრებში თამაშობენ — ნემსაძე, ყაველაშვილი, არველაძეები.

ილიას ატმაციდისი — მეც და ყველა გუნდის წევრი შეგუებული ვართ, რომ უაღრესად მნიშვნელოვანი შეხვედრა გველის, ყველაფერს გავაკეთებთ მოგებისთვის. სხვა გზა არა გვაქვს. არამარტო საქართველოსთან, სხვებთანაც მოსაგებად გავალთ მინდორზე.

მერე კი დაიწყო, მარა რა დაიწყო. იმას, რაც „ნეას“ ჟურნალისტმა და ვასილის დანიელმა საპრესკონფერენციო ოთახში დაატრიალეს, ერთნაირი წარმატებით შეიძლება ეწოდოს სასამართლო პროცესი, ლანძღვა-გინების ფოიერვერკი, შეხლა-შემოხლა ან სხვა ამგვარი რამ (დიდ არს ენა ქართული).

ვინაიდან „ნეას“ რეპორტიორმა ჩვენს თხოვნაზე, სახელი და გვარი გაემხილა, ხელი აიქნია, ვუწოდოთ მას უცნობოპულოს ვილაცაიდისი (ბერძნულთან კავშირში) და დაწვრილებით მოვყვეთ შეხლა-შემოხლის ამბავს.

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ბატონმა ვილაცაიდისმა ელინთა ენაზე თხუთმეტპუნქტიანი არზა ჩამოაბულბულა და როგორ შემდეგ გაირკვა, ყველა პუნქტი ვასილის დანიელისა და ნაკრების ურთიერთდამოკიდებულებას ეხებოდა. ამოსავალი პუნქტი (შეკითხვა, ბრალდება) კი ასე ჟღერდა:

— შენ, საბერძნეთის მოქალაქე ვასილის დანიელო, როგორი კონტრაქტი გაკავშირებს საბერძნეთის ნაკრებთან, რამდენს იღებ ამ კონტრაქტის თანახმად და რამდენს უხდი სახელმწიფოს?

ბერძენთა მწვრთნელმა მოთმინებით (თავიდან კი ჰყოფნიდა) მოუსმინა უცნობოპულოსს და ახლა სხვის ჯიბეში ფულის თვლას შეეშვი, რა დროს ეგ არის, ფეხბურთის სათამაშოდ გუნდი ჩამომიყვანია და თუ გინდა, ფეხბურთზე შემეკითხეო.

ბატონი ვილაცაიდისი რის რეპორტიორი იქნებოდა, ასე ადვილად დაწყნარებულიყო.

— შენ მე ჭკუას ნუ მასწავლი, რაც შეგეკითხე, იმაზე მიპასუხე, სახელმწიფოს მაყუთს რომ ულუნავ, გირჩევნია, იმაზე მელაპარაკეო...

ჰოდა, გაიქაჩა რა გაიქაჩა მწვრთნელი, პირდაპირ დანის პირს ეხეოდა დანიელი — შენ ვინა ხარ, საერთოდ რატომ მომდიე კუდში, მაყუთის მოლუნვას რაც შეეხება, ჯერ მომლუნავის და მერე დამბრალებლისო...

აბა, ამის მერე გაივაკეს თუ გაივაკეს ელინთა შთამომავლებმა. საქმეში სხვა ჟურნალისტები და მეკარე ატმაციდისიც ჩაერივნენ, ლანძღვა-ყაყანმა თავის უმაღლეს ფორმებს უწია და ბერძენთა ნაკრების ბელურასავით მობუზული პრესატაშის საცოდავმა მცდელობამ, როგორმე დაეწყნარებინა მოჩხუბრები, ნაყოფი ვერ გამოიღო.

ისევ სოლიდურმა და თეთრწვერა ვილაცაიდისმა მოთოკა ნერვები, აღარ გაჰყვა კამათში ჭკუაზე გადასულ დანიელს, თორემ იქ ამბავი დატრიალდებოდაა...

დასასრულს, ბერძნებმა დიდი ძალისხმევით მოახერხეს ვასილის დანიელის ოთახიდან გაყვანა, თუმცა იგი კვლავ აგრძელებდა ხმამაღლა ლაპარაკს (არ ილოცებოდა, ფაქტია), და ისე უცქერდა ბატონ უცნობოპულოსს, როგორც პროლეტარიატის დიდი ბელადი ბურჟუაზიას.

მას შემდეგ, რაც ბერძნებმა დანიელი „მოტეხეს“, ქართველები ანდრეას ნინიადისს შემოვეხვიეთ და ერთადერთი კითხვა დავუსვით — რა მოხდა?

— ანდრომ ღიმილით გვიპასუხა, არაფერი ისეთი, თავისი საქმე გაარკვიეს და ცოტათი შემოელანძღათ ერთმანეთიო.

ჩვენი მხრიდან ამას დავასკვნით: ცოტათი კი არა, ვასილის დანიელის ხმის, ჟესტიკულაციისა და თვალების შემხედვარე, ბატონ უცნობოპულოს ვილაცაიდისის ელინი წინაპრები საფლავში გადატრიალდებოდნენ...

მაინც ვინ ყოფილა ეს დანიელი, კაცო. ამასთან იოჰან მრისხანე უცოდველი ბატკანია.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# ავტოგრაფები, ავტოგრაფები...

ქართველმა და ბერძენმა ახალგაზრდებმა თამაში რომ მოამთავრეს, ეროვნულ სტადიონზე სტუმართა ნაკრებმა დაიწყო ვარჯიში. ბოსკამპი და კომპანია ნაწვიმარი გაზონის გაფუჭებას მოერიდა და ჩვენი ნაკრები დილმის საწვრთნელ ბაზაზე წაავარჯიშა, ვასილის დანიელისთვის კი დროც და ავდარიც სულერთი გამოდგა, მით უმეტეს მაშინ, როცა ბერძნებს ეროვნული ჩამოსვლის დღესაც ჰქონდათ დაჭაშნიკებული. სტუმრებიც ადგნენ და დიდუბეში მივიდნენ, სველი მინდორიც სულ ბელტებად დააქუცმაცეს. ჰოდა, ნუღარ გაიკვირვებთ, სტადიონზე მისულებმა გაზონი მთლად კარგ მდგომარეობაში თუ ვერ იხილეთ.

დანიელს შეგირდები, როგორც თამაშის წინა დღესაა მიღებული, დიდად არ დაუტვირთია. სულ 45 წუთს ავარჯიშა, ისიც მხოლოდ ბურთით — მოედნის შუაში ოთხი სარი ჩაარჭვეს, ორი კარიც გააკეთეს, რომლებსაც სათადარიგო მეკარეები იცავდნენ და საქმეს შეუდგნენ. მწვრთნელმა გუნდები პირობითად, მაგრამ ალბათ იმის გათვალისწინებით გაყო, სადღეისოდ ძირითადისთვის რომ შეარჩევს. მახლასი, პურსუნიდისი, გეორგიატოსი, ნინიადისი, უზუნიდისი — ალბათ დაიწყებენ კიდეც საქართველოსთან მატჩს, კარში კი ყველაზე სავარაუდოა, ატმაციდისი იდგეს. ბერძნებმა დღეს შესაძლოა ფლანგიდან შეტევები ამჯობინონ და ის გააკეთონ, რასაც გუშინდელ ვარჯიშზე ამუშავებდნენ. გეორგიატოსისა და ნინიადისის ფლანგებზე მონაცვლებას ვგულისხმობთ — ყოველ ორ-სამ წუთში ისინი ერთმანეთს ადგილებს უცვლიდნენ, ნინიადისი მარჯვნივ გადაინაცვლებდა, ხოტორა გეორგეატოსი კი შუაში იწევდა. მერე კარშიც ბლომად და ზუსტად ურტყეს ბერძნებმა, იგივე გეორგიატოსი საჯარიმოების დამუშავებასაც მორჩა და...

ავტოგრაფები, ავტოგრაფები, ჩვენებური ბიჭბუჭები ისეთ ფეხბურთელებს აფასებინებდნენ თავს, ზოგიერთს, დარწმუნებული ვართ, ჩვენთან კი არა, საბერძნეთშიც რომ ძნელად იცნობენ.

და ერთიც, სანამ ბერძნები მოსიხლე მტრების, თურქულ, ავტობუსში ჩასხდებოდნენ, ანდრო კიურჯიევმა, ნინიადისმა გვითხრა — რა ვიცი, შვედეთთან ამხანაგური მატჩის შემდეგ ვასილის დანიელმა შემაქო, თბილისში უნდა გათამაშოო, მითხრა. მეც ვიმედოვნებ, დღევანდელ ვარჯიშზეც იგივე გამიმეორაო.

**კობა ინასარიძე**

### საბერძნეთის ნაკრების სავარაუდო შემადგენლობა

გუშინდელი პრესკონფერენციის დასასრულს საბერძნეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ვასილის დანიელმა დანაპირები აასრულა და ის 11 ფეხბურთელი ჩამოგვითვალა, ვისაც საქართველოს წინააღმდეგ დღეს ათამაშებს:

ატმაციდისი
უზუნიდისი
ანატოლაკისი
მავროგენიდისი
კაცაპისი
პურსუნიდისი
ზაგორაკისი
კონსტანტინიდისი
გეორგატოსი
ნინიადისი
მახლასი



ბერძნებმა ეროვნული სტადიონის მინდორი არც გუშინ დაინდეს

EURO 2000
ჩვენი ჯგუფი

**დღეს ჩვენი ყურადღება რიგასა და ტირანისკენაც იქნება მიპყრობილი — ამ ქალაქებში დღესვე ჩვენი დანარჩენი მეტოქეებიც ითამაშებენ. საქართველოს ნაკრებისთვის სასურველი ალბანეთში ნორვეგიელთა გამარჯვება და ლატვია — სლოვენიის მატჩში ფრეა. რა შანსია, მატჩები ასე რომ დამთავრდეს, ჩვენი ლატვიელი და ალბანელი კოლეგების საგანგებოდ „სარბიელისთვის“ მომზადებულ რეპორტაჟებში წაიკითხეთ**

რიგა. „დაუგავა“. 5 ივნისი. 20.30 საათი

## ლატვია — სლოვენია

# კარავაევსის კბილისტკივილი, ძოძუაშვილის თავისტკივილი

აშკოლდს ულდრიკისი
რიგიდან

გუშინ დილით რიგაში ჩამოფრენილმა სლოვენიელებმა სასტუმროში დაბინავებისთანავე „დაუგავის“ სტადიონისკენ გასწიეს. რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, სლოვენიელები ძალიან გულარხეინად არიან და, ჩანს, ლატვიის ნაკრებთან წაგება მათთვის დიდად გულის გასახეთქი არ იქნება. თუმცა ისინი რიგაში წასაგებად ჩამოსულებს მაინც არ ჰგვანან.

სლოვენიის ნაკრების მწვრთნელმა სრეჩკო კატანეცმა კი გუშინდელ პრესკონფერენციაზე ისეთი უცნაური რამ განაცხადა, სიმართლეს ნაკლებ რომ ჰგავდა:

— წაგება არ მეწყინება, ჩემთვის მთავარია, ლატვიელ მაყურებლებს კარგი ფეხბურთი ვუჩვენოთ, შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. ლატვიის ნაკრებზე ბევრი რამ ვიცი, საკმაოდ დაწყობილი გუნდია, რომელშიც მეკარე კარავაევსი, შტოლცერსი და პახარსი გამოირჩევიან.

სლოვენიელებს დღევანდელ მატჩში ორი წამყვანი ფეხბურთელი ეკლებათ — ტრავმირებული მცველი ენგლარო და კაპიტანი მილანიჩი, ორი გაფრთხილების გამო რომ ტოვებს დღევანდელ შეხვედრას. დანარჩენებს კი არაფერი აწუხებთ და კატანეცისგან განსხვავებით სამი ქულის მოლოდინში არიან.

თავისიანთა გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარება სლოვენიელთა ლიდერ ზლატკო ზაჰოვიჩს, რომელსაც ჩემთან საუბრისას ელემენტარული თავაზიანობის გამოვლენაც არ უფიქრია:

— თქვენ დაცვით ფეხბურთს თამაშობთ, მაგრამ შაბათს არაფერი გამოგივათ, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთო.

ზაჰოვიჩი ასე კი ფიქრობს, მაგრამ ერთი ლატვიელთა ქართველ მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილსაც ვკითხოთ. ძოძუაშვილის შეწუხება გუშინ მას შემდეგ მომიხდა, რაც ლატვიის ნაკრების დღევანდელი თამაშისწინა ბოლო ვარჯიში დამთავრდა.

— ალბანელებთან ფრის შემდეგ უფლება აღარ გვაქვს, სლოვენიელებთანაც დავკარგოთ ქულები. მეტად პრინციპული თამაშია. მეტოქე კი ძლიერი, კარგი გუნდია. ვნახოთ, ბიჭები მონდომებით ემზადებიან, შეგნებული აქვთ მატჩის მნიშვნელობა. სლოვენიელებს ჭკუით უნდა ვაჯობოთ, თორემ ფიზიკურად ჩვენზე ნაკლებნი როდი არიან, მათ არც ტექნიკა დაეწუნებათ და მწვრთნელიც ნორმალური ჰყავთ, რაც თბილისშიც და ათენშიც დამტკიცდა. ჯგუფის აუტსაიდერები რომ გვეგონნენ, თავადაც ხედავთ, სლოვენიელებს მეორეობის როგორი შანსი აქვთ. ლიდერობაზე კი აღარაფერს ვამბობ, ნორვეგიელებს პირველობას, ალბათ, ველარავინ შეეცილება. ჩვენ კი სლოვენიასთან მოგების შემთხვევაში შესაძლებლობა გვეძლევა, მეორე ადგილზე დავმკვიდრდეთ.

ღმერთმა ინებოს, ძოძუაშვილის სურვილი ახდეს, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იქნება: ისევე, როგორც წინა მატჩისას, ლატვიელებს ახლაც საკმაო პრობლემები აქვთ, რომელთა შორის უმთავრესი ისაა, რომ მეკარე ოლეგ კარავაევსი არ ითამაშებს. მას კბილი ასტკივდა და ტემპერატურამ ისე აუწია, თქვენ წარმოიდგინეთ, საოპერაციოც გაუხდა. არადა, კარავაევსის ძალა საქართველოს ნაკრებმაც გამოსცადა თავის თავზე — 90 წუთის განმავლობაში მეკარემ ქართველთა არაერთი დარტყმული მოიგერია. მის ოსტატობაზე ისიც მეტყველებს, რომ ლატვიელებს ჯგუფში ჩატარებულ ხუთ მატჩში სულ ორი გოლი აქვთ გაშვებული, აქედან ერთი ნორვეგიელებისგან და ერთიც მათი დღევანდელი მეტოქე სლოვენიელებისგან.

მართალია, კარავაევსი სამშაბათს „მეჟაპარკს“, ლატვიის ნაკრებისა და „სკონტოს“ საწვრთნელ ბაზას ეწვია, რამდენიმე წუთიც ივარჯიშა, მაგრამ ისე შეუძლოდ გახდა, იქაურობა სწრაფად დასტოვა და მკურნალობა განაგრძო.

კარავაევსის შემცვლელად რევაზ ძოძუაშვილმა „სკონტოს“ მეკარე ალექსეი კოლინკო შეიგულა. კარსაც ალბათ ის დაიცავს, თუმცა მწვრთნელი წინასწარ არაფერს ამბობს. კოლინკოს გარდა, შეკრებაზე კიდევ ორი მეკარეა და შაბათისთვის ვინც უკეთ მოემზადება, ძირითადშიც ის ითამაშებსო, თქვა ძოძუაშვილმა.



სარბიელის არქივიდან

ზლატკო ზაჰოვიჩს (№10) რიგაში უეჭველი გამარჯვების იმედი აქვს

ლატვიელთა მწვრთნელის საწუხარი სხვაცაა: მის გუნდს ორი ძლიერი მცველიც დააკლდება — ივანოვსი და სტეპანოვსი დაშავებულნი არიან. მათი ღირსეული შემცვლელების მოძებნა კი გაგვიჭირდებაო, აღნიშნა ძოძუაშვილის თანაშემწემ, რიგის „სკონტოს“ მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ სტარკოვმა.

ფორმაში ვერ არიან ტრავმამოშუშებული ბაბიჩევსი, ასტაფიევსი და ზემლინსკისიც. მათ, შესაძლოა, საერთოდ არ ითამაშონ. „საუთჰემპტონში“ ორი თვის წინ გადასულმა მარიან პახარსმა კი, ალბანელებთან მატჩი ტრავმის გამო რომ გამოტოვა, ვარჯიში ერთი კვირის წინ განაახლა და სასურველ კონდიციამდე ჯერ ბევრი უკლია.

თუმცა პახარსი დღეს ნაღდად ითამაშებს, ისევე, როგორც ლატვიის ნაკრების კიდევ ორი დამრტყმელი ძალა — შტოლცერსი და მიხოლაპსი. სხვათა შორის, „შახტიორის“ ფორვარდი შტოლცერსი ამ ბოლო ხანს დონეცკელთა ძირითადში ველარ ხვდება და ძოძუაშვილს ესეც აღარდებს. სავარაუდოდ, დღეს მოედანზე გავა ახალგაზრდა, „ლიეპაიასა“ და ლატვიის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი დობრაცოვსი. მწვრთნელს მისი ეიმედება, ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელიაო.

EURO 2000

### II ჯგუფი. ლატვია - სლოვენია

*ლატვიის* ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ოლეგ კარავაევსი (რიგა), ალექსანდრ კოლინკო (სკონტო), ანდრეის პიდელსი (სკონტო), ვიქტორს სპოლე (დინაბურგი);

მცველები — იურის ლაიზანსი (სკონტო), იგორს სტეპანოვსი (სკონტო), ვალენტინ ლობანიოვსი (შინიკი, რუსეთი), ვალერის ივანოვსი (შინიკი, რუსეთი), ვიქტორს ლუკაშევიჩსი (ვენტსპილსი), მიხაილს ზემლინსკისი (სკონტო), ალექსანდრ ისაკოვსი (დინაბურგი), იგორს კორაბლიოვსი (რიგა), ვლადიმირს დრაგუნსი (მეტალურგსი);

ნახევარმცველები — ოლეგ ბლაგონადეჟდნი (სკონტო), იმანტას ბლეიდელისი (სკონტო), ალექსეი შარანდო (რიგა), ვიტალის ასტაფიევსი (სკონტო), ანრის რუბინსი (სკონტო), იურუს ლაიზანსი (სკონტო);

თავდამსხმელები — მარიან პახარსი (საუთჰემპტონი, ინგლისი), ანდრეის შტოლცერსი (შახტიორი, უკრაინა), მიხაილს მიხოლაპსი (სკონტო), როლანდას ბულდერსი (მეტალურგსი), ვიქტორს დობრეკოვსი (მეტალურგსი), ვლადიმირს ბაბიჩევსი (სკონტო), მარის ვერპაკოვსკისი (მეტალურგსი), ვლადიმირს კოლესნიჩენკო (სკონტო), ნიკოლაის პოლიაკოვსი (ვენტსპილსი), ვიქტორს ტერენტიევსი (ვალმეირა)

*სლოვენიის* ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — მარკო სიმეუნოვიჩი (შექერსფორი, თურქეთი), მლადენ დაბანოვიჩი (რუდარი);

მცველები — სპასოიე ბულაიჩი (კიოლნი, გერმანია), ალექსანდერ კნავსი (ტიროლი, ავსტრია), დარკო მილანიჩი (შტურმი, ავსტრია), ჟელიკო მილინოვიჩი (ლინცერი, ავსტრია), მარინკო გალიჩი (მარიბორი);

ნახევარმცველები — მილენკო აჩიმოვიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), ალეს ჩეჰი (გრაცერი, ავსტრია), საშო გაიზერი (რუდარი), რუდი ისტენიჩი (ფორტუნა, გერმანია), ამირ კარიჩი (მარიბორი), ჟელიკო მიტრაკოვიჩი (ნოვა გორიცა), მირან პავლინი (ფრაიბურგი, გერმანია), ზორან პავლოვიჩი (რუდარი), მლადენ რუდონია (სენტ ტრუიდენი, ბელგია);

თავდამსხმელები — ზლატკო ზაჰოვიჩი (ვალენსია, ესპანეთი), საშო უდოვიჩი (იანგ ბოიზი, შვეიცარია), მილან ოსტერცი (ერკულესი, ესპანეთი)

ტირანა. „ქემალ სტაფა“. 5 ივნისი. 20.30 საათი

## ალბანეთი — ნორვეგია

# ნუ მიბაძავთ ლეონარდსენს!



სარბიელის არქივიდან

მშიშარა ლეონარდსენი

მიქელე იანკუ
ტირანადან

ნორვეგიელთა ნახევარმცველმა ოივინდ ლეონარდსენმა ტირანაში ჩამოსვლა შორს დაიჭირა. კიდევ კარგი, მას ნორვეგიის ნაკრების დანარჩენმა მოთამაშეებმაც არ მიბაძეს.

კოსოვოსა თუ სერბეთში დატრიალებული ამბების ფონზე დღევანდელი მატჩის გამართვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი შედეგი. ამაში ალბანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასტრიდ ჰაფაზის სიტყვებიც დაგარწმუნებთ:

— ნორვეგიელებთან მატჩისთვის 22 ფეხბურთელი გამოვიძახე, თუმცა ამათ ბევრი მოაკლდება და რამდენიმეც დაემატება. ძალიან მეშინია: ჩვენს 7 ფეხბურთელს თითო გაფრთხილება უკვე აქვს და ღმერთმა ნუ ქნას, ნორვეგიელებთანაც ყვითელი ბარათები მიიღონ. მაშინ სლოვენიელებთან მომავალი თამაშისთვის საქმე ძალიან ცუდად გვექნება, ნორვეგიელებთან ამ მხრივაც სიფრთხილე გვმართებს. ჩვენს ქომაგებს კი ვთხოვ, თამაშისას ნერვებს ნუ აჰყვებიან. ალბანეთის ნაკრები შაბათს დიდ ყურადღებას მიაქცევს დაცვას, იშვიათად შეუტევს, ვეცდებით, ბურთი დიდხანს ვაკონტროლოთ, მეტოქე ჩვენს ნახევარზე გამოვიტყუოთ და კონტრშეტევებზე დავიჭიროთ. ამიტომაცაა საჭირო ემოციების დაოკება, ძალიან არ უნდა განვიცადოთ, რომ მატჩი, სანახაობრივად, შესაძლოა, ცუდი გამოვიდეს.

ჰაფიზმა სადღეისოდ სავარაუდო შემადგენლობის დასახელებისგან თავი შეიკავა და ბოლოს თქვა, ძალიან მსურს, ფეხბურთს დანატრებულ ალბანელებს, თუნდაც, ცუდი თამაშით, მაგრამ მაინც, მოგების სიხარული განვაცდევინოთო.

ნორვეგიელები კი, რომლებმაც თავიანთ ქვეყანაში 6 ათასი კოსოვოელი ლტოლვილი შეიფარეს, ტირანას გუშინწინ ეწვივნენ და თვითმფრინავის ტრაპიდანვე გაძლიერებული დაცვის ქვეშ აღმოჩნდნენ. მათ ავტობუსს კი ყველგან ჯავშანტრანსპორტიორები აცილებენ. ხოლო „ქემალ სტაფას“ სტადიონი, სადაც ნორვეგიელებმა გუშინ ივარჯიშეს, სულ ავტომატიანი ჯარისკაცებითაა გარშემორტყმული.

ტირანაშიც საგანგებო მდგომარეობაა, ნორვეგიელთა სასტუმრო „ევროპარკსაც“ გაძლიერებულად იცავენ. სკანდინაველთა მწვრთნელი ნილს სემბი კი დარწმუნებულია თავისი გუნდის გამარჯვებაში.

— საქართველოსთან ზედიზედ ორჯერ მოგებამ ჩვენ ჯგუფის ლიდერობა დაგვიბევა და ტირანაში გამარჯვების შემთხვევაში პირველობაც ჩვენ დაგვრჩება — თქვა სემბმა, რომელსაც ძალიან უნდოდა, ალბანეთში ლივერპულელ ოივინდ ლეონარდსენს ეთამაშა, მაგრამ, ზემოთაც გითხარით, ფეხბურთელი შეშინდა, ტირანაში ჩამოსვლაზე ცივი უარი განაცხადა და მეუღლესთან ერთად ესპანეთში წავიდა დასასვენებლად. მის გარდა ნორვეგიელებს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდი ოლე გუნარ სოლსკიაერი აკლიათ, მას ჯერაც არ მოუშუშებია ჩემპიონთა თასის ფინალში გატანილი გამარჯვების გოლის მერე მიღებული ტრავმა.

EURO 2000

### II ჯგუფი. ალბანეთი - ნორვეგია

*ნორვეგიის* ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები: ფროდე ოლსენი (სტაბეკი), ესპენ ბაარდსენი (ტოტენჰემი, ინგლისი);

მცველები — ანდრე ბერგდოლმო (რუსენბორგი), ვეგარდ ჰეგემი (ლივერპული, ინგლისი), ერიკ ჰოფტუნი (რუსენბორგი), რონი იონსენი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ტორე პედერსენი (ბლექბერნი, ინგლისი);

ნახევარმცველები — კეტილ რეკდალი (ჰერტა, გერმანია), პეტერ რუდი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი), სტალე სოლბაკენი (ოლბორგი, დანია), ერიკ მიუკლანდი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ალფ ინგე ჰაალანდი (ლიდსი, ინგლისი), ბიორნ ოტო ბრაგსტადი (რუსენბორგი), ტორე ანდრე დალუმი (რუსენბორგი);

თავდამსხმელები — ტორე ანდრე ფლო (ჩელსი, ინგლისი), ვიდარ რისეტი (სელტიკი, შოტლანდია), სტეფან ივერსენი (ტოტენჰემი, ინგლისი), ანდრეას ლუნდი (მიოლდე)

უემბლი. 5 ივნისი

# ინგლისი — შვედეთი

## მიზანი ნათელია, მატჩი — საბედისწერო




კევინ კიგანს დევიდ ბექემის დიდი იმედი აქვს

ფილ ნევილი დაცვის მარჯვენა ფრთაზე დაშავებულ ძმას, გარის შეცვლის, ხოლო მოედნის შუაში სტივ მაკმანამანის ნაცვლად დევიდ ბეტის ვიხილავთ — მაკმანამანს დედა გარდაეცვალა. ინგლისის ნაკრების პოლონეთთან ნათამაშევ შემადგენლობასა და იმ თერთმეტ გვარს შორის, კევინ კიგანმა სადღეისოდ, შვედებთან სათამაშოდ რომ დაასახელა, მეტი განსხვავება არ არის.

მწვრთნელმა ექსპერიმენტებს აღარ მიმართა და ეს ბუნებრივიც გახლავთ, რადგან ინგლის-შვედეთის შეხვედრა უდიდესი მნიშვნელობისაა, მასპინძლებს გამარჯვება სჭირდებათ, ასეთ დროს კი წინა მატჩში გამარჯვებულ შემადგენლობას არ ცვლიან.

ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაზე კვლავაც კიგანის რჩეული, ტოტენჰემელი ტიმ შერვუდი ითამაშებს. „ბლექბერნ როვერსის" ყოფილ კაპიტანს, ამ როლში, უნგრეთის ნაკრებთან გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში, მეორე ტაიმის განმავლობაში ცდიდნენ და როგორც ჩანს ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. საქმე კი ის გახლავთ, რომ ინგლისში, მარცხენა ნახევარმცველთა შორის, საგანგებო სიკაშკაშის ვარსკვლავი არავინ ეგულებათ.

სულ სხვაა მარჯვენა ნახევარმცველის ამბავი. იქ ჩამოყალიბებული ვარსკვლავი, დევიდ ბექემი ითამაშებს.

კიგანი ამბობს: „მე თუ მკითხავთ, ბექემი გუნდს მარჯვენა ფრთაზე უფრო გამოადგება, ვიდრე ცენტრში, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონთა თასის ფინალში მან სწორედ შუაში ითამაშა და თავიც გამოიჩინა.

სხვა საქმეა, რომ ბექემის უნივერსალურობა დიდებულია. მე მას უდიდეს პატივს ვცემ. ურთულესი დროება გადაიტანა, კრიტიკოსთათვის პასუხის გაცემა შეძლო და თან საუკეთესო ფორმით — მოედანზე ბექემმა მთელი სეზონი ისე ჩაატარა, რომ დღეს ევროპის სამი საუკეთესო ფეხბურთელის ჩამოთვლას მისით დავიწყებდი. ამ ზრდასრულ პიროვნებას საოცრად დადებითი როლის თამაში ხელეწიფება. გაიხსენეთ მისი ნათქვამი, მსურს მოზარდთათვის მაგალითად ვიქცეო. ეჭვი არ მეპარება, რომ მისი თამაში ინგლისის ნაკრების მაისურითაც ისეთივე საუცხოო იქნება, როგორც „მანჩესტერ იუნაიტედის" მაისურით გახლდათ. ის ამბიციურია და გამარჯვებისთვის იბრძოლებს".

ამრიგად ცენტრალური ნახევარმცველის ფუნქცია დევიდ ბეტის დაეკისრება.

„მთელი გუნდი გამარჯვების ჟინით ვართ შეპყრობილი. ზუსტად ვიცით რა გვინდა და როგორ უნდა მივაღწიოთ მიზანს. კევინს ფავორიტები არ ჰყავს. ყველანი, ცნობილები თუ ყმაწვილკაცები, კიგანის ბიჭები არიან. მწვრთნელი მათ არ არჩევს და ფეხბურთელებიც სიყვარულით პასუხობენ. ორჯერ ვითამაშე მისი ხელმძღვანელობით და დავრწმუნდი, რომ ძლიერი პიროვნება და ძლიერი მწვრთნელია.

როგორც მოგახსენეთ, კარგად ვიცით, რომ ძნელი შეხვედრა გველის, მაგრამ ისიც ცხადზე უცხადესია, რომ მისი შედეგი უფრო ჩვენზეა დამოკიდებული, ვიდრე მათზე.

თუ ჩვენებურად თამაშს მოვახერხებთ, უეჭველად გავიმარჯვებთ. ამ სიტყვებს ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, უბრალოდ საკუთარ ძალებში დარწმუნებული ვართ". — ამბობს ბეტი.

ბეტის შუა ნახევარმცველობა პოლ სქოულზს შედარებით თავისუფლებას მისცემს და იგიც შეეცდება ნაწილობრივ მაინც გაიმეოროს ის, რაც პოლონელებთან შეხვედრაში შეძლო. პოლონელებთან შეხვედრაში კი სქოულზმა სამი გოლი გაიტანა.

ჩამოთვლილ ნახევარმცველთა უკან კიგანის რჩეული მცველი მარტინ კიოუნი ფორმააღდგენილ სოლ კემპბელთან ერთად, კარის წინ, შუა მონაკვეთს გაამაგრებს, ხოლო ფრთებზე გრემ ლე სო და ზემოხსენებული ფილ ნევილი დადგებიან.

ამრიგად, რვა ფეხბურთელი უკვე ჩამოვთვალეთ. დარჩა სამი. ამ სამიდან ორი ფორვარდია: ალან შირერი და ენდი კოული.

სხვათაშორის შირერი ის მოთამაშე გახლავთ, რომელმაც სექტემბერში, ამ გუნდების პირველ შეხვედრაში (შვედებმა გაიმარჯვეს 2:1) ინგლისელთა ერთადერთი გოლი გაიტანა. სხვათაშორის, დღეს შირერი ინგლისის ნაკრებში 50-ე თამაშს ჩაატარებს.

მეთერთმეტე ფეხბურთელზე კი ბევრი ლაპარაკი არც ღირს — დევიდ სიმენი, მეკარე.

და ისევ კიგანი: „ორი აზრი არ არსებობს, ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ. ამ შეხვედრის შედეგი შეიძლება საბედისწერო მნიშვნელობის გახდეს. ძალიან მინდა ბიჭებმა ოსტატურად მიაღწიონ საწადელს, მაგრამ გამოგიტყდებით, მთავარი გამარჯვებაა".

**მიხეილ სურგულაძე**

### სავარაუდო შემადგენლობები

**ინგლისი:** სიმენი, ფ. ნევილი, კიოუნი, კემპბელი, ლე სო, ბექემი, ბეტი, სქოულზი, შერვუდი, შირერი, კოული

**შვედეთი:** ჰედმანი, რ. ნილსონი, ბიორკლუნდი, კამარკი, პ. ანდერსონი, ლიუნგბერგი, შვარცი, მილდი, მიალბი, ჰ. ლარსონი, კ. ანდერსონი

# კარგია, როცა ფავორიტი არ ხარ

*შვედეთის ნაკრების მეკარე, მაგნუს ჰედმანი, ინგლისური „ქოვენტრის" კარის მცველიცაა და ამიტომ, ინგლისისა და მისი ქვეყნის ნაკრებების დღევანდელი შეხვედრის შესახებ ერთობ საქმიანად საუბრობს.*



მაგნუს ჰედმანი

**— შვედეთის გუნდი, აშკარად, დიდი სისწრაფით მიექანება მეხუთე შესარჩევი ჯგუფიდან ევრო 2000-ის ფინალური ეტაპისკენ. ალბათ, ცხრილის სათავეში ყოფნა დიდი სიამოვნებაა.**

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ, ვგონებ, ჩვენი ლიდერობა მაინც მოულოდნელობაა. შვედეთი საფეხბურთო ქვეყანა არ არის, ინგლისი კი პირიქით, დიდი საფეხბურთო ქვეყანაა. მართალია, 1992 წლის ევროპისა და 1994 მსოფლიოს პირველობებზე კარგად გამოვედით, მაგრამ სხვა შედეგებით ვერ დავიკვეხნით. არც ევრო 96-ზე გვითამაშია და არც მსოფლიოს 1998 წლის პირველობაზე. ხალხს ეგონა ინგლისის ნაკრები ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპს ასკინკილით მიაღწევდა. ასე რომ არ გამოვიდა, ხმაურიც ამის გამო ატყდა.

**— მოკლედ, ეს შეხვედრა ინგლისისთვის უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე თქვენთვის, არა?**

— ინგლისისთვის მართლაც უდიდესი მნიშვნელობის მატჩია. ჩვენ კი, რომც წავაგოთ ტრაგედია არ იქნება, ვინაიდან ცხრილს დამაჯერებლად ვლიდერობთ და ასეთი უპირატესობის მქონეთათვის ბელგია — ჰოლანდიის საგზურის ხელიდან გაშვება თითქმის წარმოუდგენელია. „უემბლიზე" რომ მოვიგოთ ან ფრედ ვითამაშოთ, საუცხოო იქნება. ამ შემთხვევაში ნამდვილად ვიტყვი, რომ უკვე „იქ" ვართ. იქნებ მთლად „იქ" ვერც ვიყოთ, მაგრამ ბევრიც აღარაფერი გვაკლდება.

**— თქვენი წარმატების საიდუმლოს ხომ არ გაგვიმხელდით?**

— ალბათ, ჩვენი ფეხბურთელების გამოკეთებული მდგომარეობაა მიზეზი. მაგალითად, ჰენრიკ ლარსონი შოტლანდიაში თამაშობს. მართალია შოტლანდიის ჩემპიონატი ევროპაში საუკეთესო არ არის, მაგრამ საკუთარი თავის რწმენას აყალიბებს.

ისე, კაცს ამდენი გოლი რომ გააქვს, ქვეყანას აღარც აქვს დიდი მნიშვნელობა. კენეტ ანდერსონი „ბოლონიის" თავდამსხმელი, იტალიაში ასპარეზობს. ეს ორი ფორვარდი დიდი ძალაა, მაგრამ არიან სხვებიც: ფრედი ლიუნგბერგი, ნიკლას ალექსანდერსონი, იესპერ ბლომკვისტი... ეს მოთამაშეები ევროპის ძლიერ კლუბებში თამაშობენ.

**— ინგლისს სტოკჰოლმში, პირველ შეხვედრაში, სძლიეთ. ალბათ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო.**

— მართლაც, იმ დღეს სამი ქულის მოპოვება დიდ უპირატესობას იძლეოდა. ვიცოდით, რომ კარგი სტარტის მერე გრძელი გზის გავლა გაცილებით გაიოლდებოდა. მე თუ მკითხავთ, დღევანდელ და უწინდელ შვედეთის ნაკრებს შორის განსხვავება სისწრაფეშია. ახლა გაცილებით სწრაფად ვთამაშობთ, ადრე კი მხოლოდ მაღლები და ღონიერები ვიყავით. დღეს, „უემბლიზე" საკუთარი ძალების რწმენით გავალთ. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი ახლაც ჯგუფის უძლიერესი გუნდი მგონია, მას, ჩვენთვის, ხუთქულიანი უპირატესობის წართმევა არ შეუძლია.

**— ეთანხმებით იმ აზრს, რომ ინგლისი გაცილებით დიდ ზეწოლას განიცდის, რადგან მისგან ყველა მოგებას ითხოვს?**

— ალბათ, მართლაც ასეა, მაგრამ ეს შვედეთისთვის საჩუქარი სულაც არ გახლავთ. თამაში ხომ 0:0-დან იწყება. დიახ, ფავორიტი ინგლისია, მაგრამ ჩვენთვის ამაში მოულოდნელი არაფერია.

პირიქით, თავად ვცდილობთ თავი ფავორიტად არ წარმოვიდგინოთ. მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე არ გვითამაშია და თავს ისე ვგრძნობთ, თითქოს არასდროს არაფრისთვის მიგვიღწევია. ეს სულაც არ არის ცუდი.

**— ინგლისელ ფეხბურთელთაგან ყველაზე სახიფათოდ ვინ მიგაჩნიათ?**

— მაიკლ ოუენი არ იქნება, ამიტომაც ალან შირერი და დევიდ ბექემი. ბექემი საოცრად აწოდებს ბურთს საჯარიმოში. ეს ჩვენთვის დიდი პრობლემაა და თუ მის წინააღმდეგ ხერხს მივაგენით, თამაში სულ სხვანაირად წარიმართება. თუმცა, ინგლისს ყოველ მხრივ ძლიერი გუნდი ჰყავს. იმედი მაქვს, რომ პირველ გოლს გავიტანთ და მასპინძლებს იქით გავუჩენთ თავსატეხს.

**365-დან თარგმნა ბაპუნა ძიძიამ**

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი — I ჯგუფი. უელსი - დანია

დანიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — პიტერ შმაიხელი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ტომას სორენსენი (სანდერლენდი, ინგლისი); მცველები — სორენ კოლდინგი (ბრონდბიუ), იან ჰაინცე (ლევერკუზენი, გერმანია), რენე ჰენრიკსენი, ალან ოლსენი (AB), იეს ჰოგი (ფენერბაჰჩე, თურქეთი); ნახევარმცველები — ბიარნე გოლდბეკი (ჩელსი, ინგლისი), პერ ფრანდსენი (ბოლტონი, ინგლისი), მარტინ იორგენსენი (უდინეზე, იტალია), ალან ნილსენი (ტოტენჰემი, ინგლისი), ბრაიან სტენ ნილსენი (AB), სტიგ ტოფტინგი (დუისბურგი); თავდამსხმელები — სორენ ფრედერიკსენი (ოლბორგი), მიკლოშ მოლნარი (სევილია, ესპანეთი), იესპერ გრონკიაერი (აიაქსი, ჰოლანდია), ებე სანდი (ბრონდბიუ), იონ დალ ტომასონი (ფეიენოორდი, ჰოლანდია)

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი — VIII ჯგუფი. მაკედონია - ხორვატია

ხორვატიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — დრაჟენ ლადიჩი (კროაცია), მარიან მრმიჩი (ვარტექსი); მცველები — გორან იურიჩი, სტეფან ტომასი, მარიო ცვიტანოვიჩი (კროაცია), დარიო სიმიჩი (ინტერი, იტალია), ზვონიმირ სოლდო (შტუტგარტი, გერმანია); ნახევარმცველები — დანიელ სარიჩი, იგორ ბისკანი (კროაცია), ზვონიმირ ბობანი (მილანი, იტალია), რობერტ იარნი (რეალი, ესპანეთი), ალიოშა ასანოვიჩი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), მილან რაპაიჩი (პერუჯა, იტალია); თავდამსხმელები — სილვიო მარიჩი (ნიუკასლი, ინგლისი), დავორ შუკერი (რეალი, ესპანეთი), ალენ ბოკშიჩი (ლაციო, იტალია), ალენ პეტერნაკი (ვალიადოლიდი, ესპანეთი), გორან ვლაოვიჩი (ვალენსია, ესპანეთი), იოსიპ სიმიჩი (კროაცია), იგორ ცვიტანოვიჩი (სოსიედადი, ესპანეთი), დავორ ვუგრინეკი (ტრაბზონსფორი, თურქეთი)

# ჯერჯერობით მშვიდობით

ღმერთმა ინებოს, საქართველოსა და საბერძნეთის ეროვნულ ნაკრებთა ორთაბრძოლა მშვიდობით დასრულდეს. უცნაურობა და აურზაური თავიდანვე დაებედა ამ პაექრობას.

ჯერ იყო და, საქართველოს ნაკრების თავკაცმა იოჰან ბოსკამპმა გუნდში ლამის ფეხბურთელი არ დატოვა. დღეში ერთხელ გაუფუჭდება ჰოლანდიელს ხასიათი და მის დაქუხებას მინიმუმ ერთი მოთამაშის სანაკრებო კარიერა ეწირება.

მერე იყო და, მართალია, ბერძნები დაუბრკოლებლად ჩამოვიდნენ საქართველოში, მაგრამ მაინცდამაინც აქ მოინდომეს ურთიერთობის გარკვევა და გუშინდელ პრესკონფერენციაზე კინაღამ დახოცეს ერთმანეთი.

ბოლოს კი კინაღამ დღევანდელი მატჩის არბიტრები გამოგვეცალნენ ხელიდან, შოტლანდიელები — ვილი იანგი, ჯიმ მაკბრაიდი, დევიდ დოუმი და მაიკლ მაკარი საქართველოში სტუმრობას ვენის გავლით აპირებდნენ. ჩაუღწევიათ კიდეც ავსტრიის დედაქალაქამდე, აეროპორტამდეც უპრობლემოდ მისულან და თვითმფრინავშიც კარგად მოწყობილან, მაგრამ იმ დროს, როცა ლაინერი აფრენას აპირებდა, ამტყდარა ჩოჩქოლი, თვითმფრინავში ბომბია დამონტაჟებულიო.

შესაბამის ორგანოებს უყოჩაღიათ და თურმე ბომბიც გააუვნებლეს. რა ექნათ შოტლანდიელებს, იძულებითმა ცდამ მოუწიათ და თბილისს გუშინ ღამე დაღლილ-დაქანცულები ეწვივნენ.

ნათქვამია, ღმერთი სამობითო, ჰოდა, იმედია, დღევანდელ მატჩს სხვა საშიშროება არ ელის.

**მამუკა ქვანტალიანი**

# დავითნიძეს საქმე ასარჩევად აქვს

თბილისის „მერანისა“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი გიორგი დავითნიძე საქართველოს მეათე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრიდან უკრაინაში, კერძოდ, ტერნოპოლის „ნივაში“ გადავიდა და იქ ჩაატარა რამდენიმე შეხვედრა.

დავითნიძემ სულ რვა შეხვედრა ითამაშა უკრაინულ გუნდში, სეზონიც თითქმის ჩაამთავრა და ახლა, როგორც თავად გვითხრა, გუნდის დატოვებას აპირებს.

— მე არ მაკმაყოფილებს ტერნოპოლელების პირობები და არც მისი ამბიციები. წამოვედი, რადგანაც უკეთეს ვარიანტებს ველოდები სლოვენიიდან და თურქეთიდან. თუკი ამ ქვეყნებში უკეთეს ვარიანტებს ველოდები სლოვენიიდან და თურქეთიდან. თუკი ამ ქვეყნებში თამაში ვერ მოვახერხე, ისევ საქართველოში გავაგრძელებ კარიერას, ოღონდ ჩემი მომავალი ქართული კლუბი „მერანი“ აღარ იქნება.

აღსანიშნავია, რომ „ნივიდან“ წამოსვლას ექსდილელი ალეკო კაიდარაშვილიც აპირებს. იგი ორ-სამ კვირაში საქართველოში ჩამოვა და, სავარაუდოდ, აქვე გააგრძელებს ფეხბურთის თამაშს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



ბადრი კილაძის ფოტო

თემურ ჩლაიძეს (№1) ინტერტოტოზე თამაშის შანსი მიეცა

# ჩლაიძე და ყოლბაია ყარაბაღში იომებენ

როგორც ჩანს, აზერბაიჯანის ჩემპიონატს ქართველთათვის თაფლი სცხია. ხოლო თუ რატომ, ახლავე გეტყვით.

აზერბაიჯანის ეროვნულ ჩემპიონატში დღესდღეობით ოთხი ქართველი თამაშობს. წლევანდელ სეზონში „შამქირმა“ ვერცხლის მედლები მოიპოვა, ამაში კი წვლილი ქართველთა სამეულმა ბადრი კვარაცხელიამ, დემურ კაკუბავამ და გელა გაბისონიამ შეიტანეს. ამით ქართველებმა უეფას თასზე თამაშის უფლებაც მოიპოვეს. აი, ყოფილი თბილისის „დინამოელი“ როინ კერძევაძე კი სულაც ქვეყნის ჩემპიონი გახდა, „ბაჯბაჯას“ განჯის „ქიაფაზი“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპს ელის.

გუშინ კი „სარბიელისთვის“ ცნობილი გახდა, რომ აზერბაიჯანის გზას კიდევ ორი ქართველი დაადგა, ორივე თბილისური „არსენალის“ ფეხბურთელები არიან, მეკარე თემურ ჩლაიძე და ნახევარმცველი ლაშა ყოლბაია. მათი გუნდში აყვანის სურვილი ჩემპიონატში მესამე ადგილზე გასულ აგდამის „ყარაბახის“ თავკაცობას მოსურვებია, ჩამოდით, ინტერტოტოზე დაგვეხმარეთ და 1000-1000 დოლარს გიფეშქაშებთო. ჰოდა, ჩლაიძემაც და ყოლბაიამაც მეზობლად გადასვლა ისურვეს. ეგ არის გაურკვეველი ისაა, „არსენალიდან“ ჩლაიძე და ყოლბაია საბოლოოდ წამოვიდნენ, თუ „ყარაბახში“ განათხოვრებით იქნებიან.

ჰო, „შამქირის“ თავდამსხმელის გელა გაბისონიას გადაბირებას „ქიაფაზი“ ცდილობს, პირობებზეც შეთანხმებულან, ეგაა ყოველივეს ოფიციალურ გაფორმებას კონტრაქტზე გაბისონიას ფაქსიმილე აკლია.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ჯილდოთა წვიმა

თბილისი
4 ივნისი
18 საათი
მიხეილ მესხი
200 (ტევადობა 16 000)

**ამირანი 5:2 მზიური**

1:0 გადელია (6), 2:0 შელია (26), 3:0 თოლორდავა (34), 3:1 ჩხეტია (40), 4:1 თოლორდავა (50), 4:2 კვეკვესკირი (66), 5:2 თოლორდავა (81)

**ამირანი:** ჟორჟოლიანი, გოგიტაძე, ბერიანიძე, ვ. გველესიანი (გაბედავა 84), მ. შელია (ჯობავა 52), გამზარდია (ი. თოლორდავა 66), ანჯაფარიძე, შალამბერიძე, დ. კაკუბავა (ზაქარაია 78), ლ. თოლორდავა, გადელია (რუხაია 84)

*სათადარიგონი:* სოსელია; ჟვანია

**მზიური:** გეთია, თ. ღურწკაია, მორგოშია (ლეჟავა 29), ჩიქობავა, კაკავა (ლევან ყოლბაია 15, დოჩია 46), ქორთუა (ქარდავა 80), კ. კვეკვესკირი, კანკავა, ცაცუა, ჩხეტია, ინალიშვილი

*სათადარიგონი:* ა. ღურწკაია; დ. შელია, მ. სიჭინავა

**გაფრთხილება:** ჯობავა (89)

**მსაჯები:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი); დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი), ე. ნარმანია (ტყვარჩელი); დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ცანავა

**გიორგი ვაშაკიძე**

გუშინ, როცა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ბერძენ თანატოლებს „შევარდენის“ სტადიონზე მასპინძლობდა, ზუსტად ამ დროს ვაკეში, „მიხეილ მესხის“ სტადიონზე, აფხაზეთის ფეხბურთის აღორძინების ოთხგუნდა ტურნირის დასკვნითი მატჩი იმართებოდა. წესით და რიგით, კიდევ ერთი მატჩი, სოხუმის „ცხუმი“ გაგრის „დინამო“ უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. შეხვედრის გადადების მიზეზი წვიმა გახდა — სტადიონის გაზონი რომ არ გაფუჭებულიყო, მატჩი არ ჩატარდა. ამგვარად, თამაშის დაწყების დრომაც გადაიწია და ჩემპიონობისთვის მებრძოლნი პრაქტიკულად ფინალისთვის გაამზადეს. თავიდანვე ვიტყვი, ოჩამჩირის „ამირანმა“ ფავორიტობა გაამართლა, ჩემპიონობა სრულიად დამსახურებულად მოიპოვა. ამით „მზიურს“ არ ვამცირებ, მაგრამ ფაქტია, „ამირანი“ დანარჩენ სამ გუნდზე ერთი თავით მაღლა იდგა. ამის თქმის საბაბს ისიც მაძლევს, რომ გუნდში თამაშობდნენ: გოჩა ჟორჟოლიანი, რომეო გოგიტაძე, ჯონი შალამბერიძე, დემურ კაკუბავა, თემურ გადელია და, რა თქმა უნდა, მურთაზ შელია. ჰოდა, რა გასაკვირია, „ამირანმა“ ფინალი ადვილად რომ მოიგო. მზიურელი გელა ინალიშვილი და დავით ჩხეტია ყველანაირად კი ცდილობდნენ, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო.

ოჩამჩირელთა მწვრთნელ ბონდო კაკუბავას ინგლისური „მანჩესტერ სიტიდან“ თითქმის წამოსული ფეხბურთელი მურთაზ შელია აქამდე შეცვლებზე შეჰყავდა, გუშინ კი თავიდანვე ძირითადში დააყენა და არც წაუგია. ეგ იყო, მურთაზი თავისთვის უჩვეულო პოზიციაზე, მარცხენა ნახევარმცველად თამაშობდა, გული წინაც მიუწევდა და აკი 26-ე წუთზე ბურთის მიწაზე დაუშვებლად უძლიერესი დარტყმით ჩინებული გოლი გაიტანა. გარდა ამისა, ორჯერ ლევან თოლორდავას გაუწია ასისტენტობა, მერე კი, ტაიმის განახლებიდან შვიდ წუთში, შეცვლა თავადვე ითხოვა, დავიღალეო. დაღლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ კარგა ხნის უთამაშებელი შელია, ცხადია, ჯერ ვერ არის ჩვეულ ფორმაში. აქვე ერთსაც დავამატებ, სანამ იგი მოედანზე იყო, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელები რაღაცნაირად შიშითა და კრძალვით უყურებდნენ. ათლეტური აღნაგობის ეროვნული ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს საჰაერო ორთაბრძოლებისას ვერავინ აჯობა.

ტურნირის ორგანიზატორებმა „სარბიელის“ კეთილი რჩევა ყურად იღეს და გუშინდელ მატჩზე თეთრხალათიანებიც გამოჩნდნენ. სწორედ მათ უწამლეს „მზიურის“ ფეხბურთელ თემურ მორგოშიას, რომელმაც ტრავმა სწორედ შელიასთან ბრძოლისას მიიღო. გალელთა მწვრთნელმა ენვერ ქარდავამაც მორგოშია გამოცვალა.



ბადრი კილაძის ფოტო

ტრავმამოშუშებულმა მურთაზ შელიამ (მარჯვნივ) ვარჯიშიც განაახლა და თამაშიც

მატჩის არბიტრმა, ქუთაისელმა ავთანდილ შალამბერიძემ, ამ მატჩში უკანასკნელად ჩასტვინა და... ოჩამჩირის „ამირანი“ აფხაზეთის 1999 წლის ჩემპიონი გახდა. ტურნირი, როგორც ჩაფიქრებული იყო, საზეიმო ცერემონიალით დაიხურა. საუკეთესოებს სამახსოვრო პრიზები ერგოთ, ჩემპიონს კი აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის გარდამავალი თასი, რომელიც „ამირანის“ კაპიტანს, მეკარე გოჩა ჟორჟოლიანს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა გადასცა. აქვე საუკეთესო ფეხბურთელების ვინაობასაც გაცნობებთ. სულ 13 დასახელების ჯილდო იყო დაწესებული, რომელიც აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ, ფეხბურთის ფედერაციამ, მინისტრთა საბჭომ, ფინანსთა სამინისტრომ და სხვა ორგანიზაციებმა თუ დაწესებულებებმა გაიღეს.

საუკეთესო მეკარედ „ამირანის“ მეკარე გოჩა ჟორჟოლიანი ცნეს, მას წარსულში გაგრის „დინამოს“ სახელოვანი მეკარის თამაზ კუჭუხიძის სახელობის სიმპათიური თასი აჩუქეს.

ირაკლი ქოიავას სახელობის პრიზი, რომელიც საუკეთესო მცველისთვის იყო დაწესებული, ოჩამჩირელ რომეო გოგიტაძეს ერგო. საუკეთესო ნახევარმცველი სოხუმელი ლაშა ცაავა გახდა. მას ვიტალი დარასელიას სახელობის პრიზი გადაეცა. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად „ამირანის“ და ამავე დროს „ბათუმის“ ფეხბურთელი თემურ გადელია აღიარეს. მან ანატოლი ნორაკიძის სახელობის პრიზი მიიღო. ავთანდილ ღოღობერიძის სახელობის პრიზი აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლონდერ ცაავამ „ამირანის“ საუკეთესო თავდამსხმელ ლევან ანჯაფარიძეს გადასცა. სხვათა შორის, ამჟამად ფოთის „კოლხეთის“ წევრმა ანჯაფარიძემ გაიკვირვა, ეტყობა არც ელოდა. ტექნიკურ ფეხბურთელად გელა ინალიშვილი სცნეს, მას გიორგი გრამატიკოპულოს სახელობის პრიზი ერგო. ბომბარდირი გალის „მზიურის“ ფეხბურთელი დავით ჩხეტია გახდა, მან სამი ბურთი გაიტანა. ტურნირის ლამაზი გოლის ავტორად გაგრელი გიორგი ჩიხრაძე აღიარეს, მას სლავა მეტრეველის სახელობის პრიზი უბოძეს. გარდა ამისა, პრიზები გადაეცათ საუკეთესო მსაჯს (ალექსანდრე მეშკოვი), ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელს (ლევან კოპალიანი, გაგარა), ფირმა „ყაზბეგის“ მიერ დაწესებული პრიზი, ყველაზე უშიშარი ფეხბურთელისთვის ტურნირის პირველივე დღეს ტრავმამიღებულმა, გაგრელმა ზაზა ღვინჯილიამ მიიღო. მან ფეხი მოიტეხა. ჯილდოს გარეშე არ დარჩენილა მურთაზ შელიაც. მას ფინალური მატჩის საუკეთესო მოთამაშის ტიტული მიანიჭეს.




ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნი, რევაზ შენგელიას ავტორობით, უკვე რიგით მეშვიდე გახლავთ.

გამოცემის ფურცლებზე შეგიძლიათ ამოიკითხოთ ყველაფერი თუ არა, თითქმის ყველაფერი ქართულ ფეხბურთზე.

წიგნი ერთი თვეა გამოვიდა და მსურველებს მისი შეძენა შეგიძლიათ სტადიონებსა და საგაზეთო ჯიხურებში, ანაც კერძო გამავრცელებლებთან.

მყიდველებისთვის ფასი ხელმისაწვდომია — 4 ლარი.

# სიძე, ყაჩაღი და მთელი ამბავი

მარკ ბოსნიჩი, აწ უკვე „მანჩესტერ იუნაიტედის" ავსტრალიელი მეკარე, გუშინ პოლიციამ დაიჭირა და მერე გაუშვა. ყველაზე სასეირო კი ის გახლდათ, რომ გუშინვე ბოსნიჩს ქორწილი ჰქონდა. პოლიციის და ბოსნიჩის მორიგი შეხვედრა 21 ივლისს, განყოფილებაშია დანიშნული.

ეს ამბავი ინგლისის შუაგულში, ქალაქ ქოვენთრის შემოგარენში მოხდა. „მანჩესტერის" გოლკიპერს წესრიგის მცველებმა შინ მიაკითხეს და გამოგვყევიო, უთხრეს. დაკითხვაზე მისულმა ბოსნიჩმა შეიტყო, რომ საქმე ღამით, ბირმინგემის დისკოთეკაზე, უფრო სწორედ, დისკოთეკის ახლომახლო მომხდარ ამბავს ეხებოდა.

„ღამის პირველ საათსა და ორმოცდარვა წუთზე პოლიცია ბირმინგემის როტესლი სტრიტზე გამოიძახეს. იქ იდგა მამაკაცი, რომელიც აცხადებდა, რომ მას თავს დაესხნენ და გაძარცვეს" — უამბო ჟურნალისტებს პოლიციის პრესმდივანმა — „დილის შვიდ საათზე გამომძიებლებმა დააკავეს სტეფორდშირში, ლიტლ ესტონში მცხოვრები 27 წლის ახალგაზრდა. იგი ხსენებულ ძარცვაშია ეჭვმიტანილი".

ოფიციალურად პოლიციელებს არ დაუდასტურებიათ, რომ დაკავებული გახლდათ ფეხბურთელი, რომელმაც სულ ახლახან „ასტონ ვილაში" თამაშს თავი დაანება, „მანჩესტერ იუნაიტედთან" გააფორმა კონტრაქტი და რომელსაც მარკ ბოსნიჩი ჰქვია.

სიმართლე, ალბათ, არ დაიმალება, რადგან ინგლისში მას მალვა არ უყვარს. მაგრამ ავსტრალიელი გოლკიპერი რომ დაუშრეტელი ენერგიის მქონე კაცია, გუშინ, თვალნათლივ გამოჩნდა: ბოსნიჩმა ჟურნალისტებთან, „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლასა და თავის სიხარულზე საუბარიც მოასწრო. ესე იგი, თუ გაძარცვის ამბავი მართალია, გამოდის, რომ ეს კაცი გუშინწინ ბირმინგემში დათვრა, დისკოთეკაზე იცეკვა, მერე, ღამით ვილაც გაძარცვა, შინისკენ, ქოვენთრისკენ გაეშურა, საიდანაც დილით ისევ ბირმინგემში, კერძოდ პოლიციაში დააბრუნეს, ხოლო იქიდან განთავისუფლებული პრესას შეხვდა და საღამოს, ზედაც, ცოლი მოიყვანა.

მარკ ბოსნიჩი „მანჩესტერ იუნაიტედში" ადრეც თამაშობდა.

„როდესაც, 1992 წელს, „იუნაიტედიდან" გამაგდეს, ჩემი ცხოვრების, უფრო სწორედ, კარიერის ყველაზე მძიმე პერიოდი დამიდგა" — განაცხადა მან ავსტრალიური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში — „შემდეგ შვიდი სეზონი „ასტონ ვილაში" გავატარე, მაგრამ დაფიცებული მქონდა, რომ ადრე თუ გვიან მანჩესტერში დავბრუნდებოდი და აგერ, საკუთარი თავისთვის მიცემული სიტყვა ავასრულე. ერთი სული მაქვს როდის შევდგამ „ოლდ ტრეფორდზე" ფეხს. ისევ მინდა იქაურ, ემოციურ გულშემატკივარს „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელად წარვუდგე".

მანჩესტერში ბოსნიჩი წელიწადში 1,6 მილიონ დოლარს მიიღებს, მაგრამ თავად ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში ფული მთავარი არ არის. სხვათა შორის, ხელფასი ხელფასად და ბოსნიჩს ეგრეთწოდებული სატრანსფერო თანხა (თუმც გუნდში თავისუფალ აგენტად მივიდ), ორი მილიონი, უკვე ჯიბეში აქვს.

„ბუნებრივია, „იუნაიტედთან" დადებული კონტრაქტის პირობებით კმაყოფილი ვარ, მაგრამ გადამწყვეტი ფული არ იყო. შემეძლო მნჩესტერულ წვიმაში ვარჯიში სხვაგან, მზეში ყოფნას მერჩია" — დასძენს ავსტრალიელი, რომელიც სიდნეის ოლიმპიური სტადიონის გახსნაზე, 12 ივლისს, „ოლ სტარის" თამაშში მიიღებს მონაწილეობას.

აღსანიშნავია, რომ ივლისში, იქვე, სიდნეიში, ავსტრალიის ნაკრები „მანჩესტერ იუნაიტედს" შეხვდება და როგორც მასპინძელი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ამბობს, ბოსნიჩი, იმ დღეს, „იუნაიტედის" კარს დაიცავს.



REUTERS ქრონიკიდან

პოლიციიდან გათავისუფლებულმა მარკ ბოსნიჩმა საღამოს სარა ჯერიტზე იქორწინა

## ფეხბურთის რუკასთან



ჰოლანდიურმა „აიაქსმა" მილანის „ინტერისგან" დაიბრუნა თავისი ოდინდელი ფეხბურთელი აარონ ვინტერი. ვინტერის ახალი ამსტერდამული კონტრაქტი ოთხწლიანია. ამრიგად იგი გახდა „აიაქსის" მეორე შენაძენი ახალ სატრანსფერო სეზონში. პირველია ბელგიური „ლიერსის" გოლკიპერი სტენლი მენცო.

**საფრანგეთის „ლიონი" იტალიის სერია A-დან გავარდნილი გენუის „სამპდორიის" ფრანგ ნახევარმცველ პიერ ლეილისთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. „ლიონის" დირექტორის, მარინო ფაჯიოლის განცხადებით, მათ გენუელთათვის ფეხბურთელის სანაცვლოდ 8 მილიონი დოლარი შეუთავაზებიათ და იტალიელებიც დაყაბულებულან. ტრანსფერის შემთხვევაში 28 წლის ლეილი „ლიონთან" 3-წლიან კონტრაქტს გააფორმებს.**

ჰონდურასელი თავდამსხმელი დავიდ სუაზო სავარაუდოდ იტალიის სერია A-ში ითამაშებს. 19 წლის ფეხბურთელით „კალიარია" დაინტერესებული და მზადაა, ფეხბურთელის კლუბ „ოლიმპიას" 3,3 მილიონი დოლარი გადაუხადოს.

**იტალიელი მცველი ფაბიო კანავარო თანაკლუბელ ლილიან ტურამს გაუწყრა. პარმელებს შორის უთანხმოების მიზეზი ისაა, რომ ფრანგული ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუში მსოფლიოს ჩემპიონმა ლილიან ტურამმა თანაკლუბელებზე ზედმეტი ილაპარაკა. „ლილიანს ამდენი არ უნდა ეკადრებინა. მას ზედმეტი მოუვიდა" — განაცხადა კანავარომ. ფრანგული ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუში ტურამმა, რომელსაც მილანის „ინტერი" ეპატიჟება, აუგად ისაუბრა არგენტინელ თანაკლუბელ ხუან სებასტიან ვერონზე.**

გერმანიაში ერთი ტრანსფერი განხორციელდა — როსტოკის „ჰანზას" მცველი მარკო რემერი მომავალი სეზონიდან ბერლინის „ჰერტაში" ითამაშებს. 27 წლის რემერის სანაცვლოდ, რომელსაც ქვეყნის ნაკრებში შვიდჯერ უთამაშია, ბერლინელებმა 3,7 მილიონი დოლარი გადაიხადეს. „ჰერტას" ისტორიაში ეს ყველაზე ძვირადღირებული გარიგებაა.

**ესპანეთის სუპერთასის მფლობელმა „მალიორკამ" განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში კლუბიდან მიმავალ არგენტინელ მწვრთნელ ექტორ რაულ კუპერს კარლოს გრიხუოლი შეცვლის. კუპერის დარად გრიხუოლიც არგენტინელია. დღესდღეობით მალიორკელთა მომავალი მწვრთნელი არგენტინის ჩემპიონატის მონაწილე „ხიმნასია ლა პლატას" წვრთნის. „მალიორკას" პრეზიდენტმა ანტონიო ასენსიომ განაცხადა, რომ გრიხუოლი კლუბთან ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ესპანური პრესის ცნობით გრიხუოლის გასამრჯელო ესპანურ კლუბში სეზონში 900 ათასი დოლარით განისაზღვრება.**

# არსენალი თავის არსენალზე ზრუნავს



ჯანლუკა პესოტო

ლონდონის „არსენალის" დელეგაცია იტალიას ეწვია. მისი მიზანი ტურინის „იუვენტუსისთვის" მცველ ჯანლუკა პესოტოს და „კალიარისთვის" ფორვარდ რობერტო მუცის დატყუება და „არსენალში" ჩარიცხვა ყოფილა.

„გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, ჯგუფი თავიდან ტურინს ეწვია, „იუვენტუსის" უფროსობას შეხვდა და 7 მილიონი გირვანქაც შესთავაზა გამოცდილი მცველის სანაცვლოდ.

პესოტო, რომელიც აგვისტოში 29 წლის გახდება, „იუვენტუსში" 1995 წელს გადავიდა მეორე ტურინული გუნდიდან — „ტორინოდან". გუნდთან ერთად მან 1996-ში ჩემპიონთა თასი მოიგო, მომდევნო ორ სეზონში კი ამ ტურნირის ფინალშიც გავიდა და იტალიის ჩემპიონიც გახდა.

ინგლისელთა მეორე სამიზნე, მუცი, „კალიარის" უდავო ლიდერია. ახლახან გასრულებულ სეზონში მან 16 გოლი გაიტანა და იტალიელ ბომბარდირთაგან მხოლოდ „რომას" მარკო დელვეკიოს ჩამორჩა (18 ბურთი).

28 წლის მუცი ბოლო ხუთი სეზონია, სერია **A**-შიც და სერია **B**-შიც „კალიარის" შემადგენლობაში თამაშობს. ამ ხნის განმავლობაში 58-ჯერ დაამწუხრა მეტოქეთა კარის დარაჯები და სარდინიელთა ერთგვარ სიმბოლოდაც იქცა. მანამდე იგი „რომაში" ირიცხებოდა.

„არსენალის" წარმომადგენელთა იტალიური ვიზიტის შედეგები ჯერჯერობით უცნობია.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები.

5 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| იტალია — უელსი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:2 | 1,9 | 4,7 | 2,0 |
| დანია — ბელარუსი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ალბანეთი — ნორვეგია | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| საქართველო — საბერძნეთი | | ანგარიში — 5,0 | |
| ლატვია — სლოვენია | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ფინეთი — თურქეთი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| უკრაინა — ანდორა | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| 0:4 | 1,9 | 4,7 | 2,0 |
| საფრანგეთი — რუსეთი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ისლანდია — სომხეთი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| ინგლისი — შვედეთი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ესპანეთი — სან მარინო | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| 0:5 | 1,9 | 4,7 | 2,0 |
| პორტუგალია — სლოვაკეთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| აზერბაიჯანი — ლიხტენშტაინი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| რუმინეთი — უნგრეთი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| მაკედონია — ხორვატია | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| ბოსნია — ლიტვა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ესტონეთი — ჩეხეთი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| ფარერები — შოტლანდია | 9,0 | 5,0 | 1,2 |

6 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ისრაელი — ავსტრია | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### კირინის თასი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6.06 | იაპონია — პერუ | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXXVII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6.06 | ტრევიზო — ატალანტა | 2,7 | 2,9 | 2,2 |
| | მონცა — კიევო | 1,9 | 2,5 | 5,6 |
| | ლუკეზე — კოზენცა | 2,2 | 2,7 | 3,4 |
| | ჩეზენა — ჯენოა | 2,2 | 2,2 | 3,8 |
| | ვერონა — ნაპოლი | 1,3 | 3,0 | 9,0 |
| | ლეჩე — პესკარა | 1,6 | 2,8 | 5,6 |
| | კრემონეზე — რავენა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | ბრეშა — რეჯანა | 1,3 | 4,2 | 5,3 |
| | რეჯინა — ტერნანა | 1,3 | 3,3 | 7,5 |
| | ფ. ანდრია — ტორინო | 2,5 | 2,7 | 2,7 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი XL ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5.06 | ეიბარი — ბარსელონა B | 2,0 | 3,0 | 2,6 |
| | კომპოსტელა — მალაგა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ლას პალმასი — ოსასუნა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | ატლეტიკო B — ლეგანესი | 1,3 | 4,0 | 6,5 |
| 6.06 | ტოლედო — ალბასეტე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | სპორტინგი — ერკულესი | 1,4 | 4,0 | 4,0 |
| | მალიორკა B — ბადახოსი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | რაიო ვალეკანო — მერიდა (15⁰⁰) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | ლოგრონიესი — რეკრეატივო | 1,6 | 3,2 | 4,4 |
| | ლეიდა — ორენსე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | ნუმანსია — სევილია | 2,3 | 2,7 | 3,0 |

### ამხანაგური მატჩი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5.06 | ბრაზილია — ჰოლანდია | 1,8 | 2,9 | 4,2 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# კაცი წრეში

„უოტფორდს" დიდებული დროება დაუბრუნდა, რაც, უპირველეს ყოვლისა იმ კაცის დამსახურებაა, რომელსაც ფეხბურთში ჭიპი აქვს მოჭრილი.

გრემ ტეილორმა ინგლისის ნაკრები მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე ვერ გაიყვანა — მან კარგად იცის, რას ნიშნავს ჩავარდნა. მისი კარიერა, იმხანად, ფაქტობრივად, ნამსხვრევებად იყო ქცეული. მარტივად შეიძლებოდა სარბიელიდან გაუჩინარება, მაგრამ ტეილორი მებრძოლი გამოდგა. არავის ეგონა ამის მიღწევა თუ შესაძლებელი იყო: გუნდი, რომელიც უმაღლესი დონის ფეხბურთს ბოლოს ათ წელიწადზე მეტი ხნის წინ შეეხო და უკვე ქვედალიგელად იყო ჩამოყალიბებული, დაბრუნდა იქ, სადაც მდიდარნი და ძლიერნი შეყრილან.

ტეილორს უცნაური ბედი აქვს, წრიული. მისი ცხოვრება ალმა წავიდა, რათა ერთ მშვენიერ დღეს ისევ იქ, დაბლა დაბრუნებულიყო. კერძოდ, ტეილორის ხელმძღვანელობით მეოთხე დივიზიონელი, ყოვლად უსახური „ჰორნეტსი" ისე წამოიყლორტა, რომ ევროპაზეც კი ითამაშა. მერე იყო „ასტონ ვილა" და ეროვნული გუნდი, რასაც დიდი ზღართანი მოჰყვა.

მაგრამ ეს ზღართანი ახალი აღმასვლის ნიშანი ყოფილა.

...ევროპის 1992 წლის ჩემპიონატზე ტეილორისეულმა ინგლისმა სახელი ვერ დაიგდო, ხოლო 1994 წლის მსოფლიო პირველობა ძალიან შორს, აშშ-ში, ალბიონელთა გარეშე ჩატარდა. ტეილორი შერისხეს, შეაჩვენეს და მალე დაივიწყეს, რადგან მისმა შემცვლელმა, ტერი ვენეიბლზმა, ევრო 96-ზე, ფეხბურთის მომგონთ მეტ-ნაკლებად გამოუკეთა გუნება — მომავალი დაანახა.

სხვა გზა არ იყო, ტეილორი საკლუბო ფეხბურთს დაუბრუნდა. თავიდან იგი „ვულვერჰემპტონში" მივიდა, მაგრამ იქ, კვერთხის ერთი დაქნევით ციდან ვარსკვლავების მოწყვეტა მოთხოვეს, ეს კი შერისხულისთვის შეუძლებელი გამოდგა. ამიტომაც ცხოვრებამ ახალი ბილიკი გამოუძებნა. ეს ბილიკი „უოტფორდისკენ" მიდიოდა.

„უოტფორდში" ტეილორს დახვდა კაცი, რომელიც ამრეზით კი არ უყურებდა, პირიქით, ენდობოდა და მხარში ედგა. ეს ადამიანი კლუბის თავმჯდომარე, დიდი როკ-ვარსკვლავი, სერ ელტონ ჯონი გახლდათ. თანამოაზრეებმა მიზანი დასახეს — უკან, მწვერვალებისკენ.

...ორშაბათს „უოტფორდმა" „ბოლტონს" 2:0 მოუგო. ინგლისში ყველას გაახსენდა გრემ ტეილორი. არადა, ორი წლის წინ არავის სჯეროდა, რომ ასეთი დღე ოდესმე გათენდებოდა.

კი, მაგრამ, რატომ? იმიტომ, რომ აღარავის ახსოვდა „ჰორნეტსი", ლიგიდან ლიგაში ამავალი გუნდი, 1982 წელს პირველ დივიზიონში რომ ალზევდა (მაშინ პრემიერლიგა არ არსებობდა), ხოლო 1983 წელს ინგლისის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში მხოლოდ „ლივერპულმა" რომ აჯობა. 84-ში „ჰორნეტსი" ევროთასებზე ასპარეზობდა, ხოლო შინაურ ასპარეზზე ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალისკენ გაიკაფა გზა.



გრემ ტეილორი

ათი წელიწადი გაატარა გრემ ტეილორმა „ჰორნეტსში", შემდეგ კი „ასტონ ვილას" მიაშურა.

...1997 წელს შერისხულმა მეორე დივიზიონში ამოჰყო თავი. ასისტენტ კენი ჯეკეტთან და ერთგულ ჯარისკაცებთან ერთად მან პირველსავე სეზონში გაანგრია ჯებირი, პირველ დივიზიონში ალზევდა და ეს დონეც ეცოტავა. ყველაზე საინტერესო კი ის გახლდათ, რომ მთელი კამპანია გრემ ტეილორმა ერთობ მცირე დანახარჯით ჩაატარა.

შეძლებს თუ არა „უოტფორდი" პრემიერლიგაში დამკვიდრებას, სხვა საკითხია, მაგრამ ფაქტი ფაქტია: წრიული ბედის მქონე კაცმა ძალიან შთამბეჭდავად აირბინა ცხოვრების კიბის ახლანდელი მონაკვეთი.

# ანელკა ინგლისს დატოვებს

სადაცაა დასრულდება მადრიდის „რეალის" ბრძოლა ნიკოლა ანელკას ხელში ჩასაგდებად. ესპანელებს რომ ლონდონის „არსენალის" ყმაწვილი ფორვარდის ყიდვა უნდოდათ, ამას ადრეც გატყობინებდით, გუშინ კი მეორე მხარემ, ანელკამაც გამოთქვა აზრი:

— ძალიან გამიკვირდება, თუ „არესენალში" დავრჩები — ამბობს საფრანგეთში ნაკრების შეკრებაზე მყოფი თავდამსხმელი — აქ წამოსვლამდე ჩემთვის ვთქვი, რომ ლონდონს საბოლოოდ ვტოვებ. მალე ყველაფერს გადავწყვეტ.

ლორენსო სანსი, „რეალის" პრეზიდენტი:

— მოარული ხმები, თითქოს „არსენალმა" ანელკას დათმობაზე უარი გვითხრა, სიცრუეა. ჩვენ ამ საკითხზე სერიოზულად ვმუშაობთ და დარწმუნებული ვარ, ნიკოლა რამდენიმე დღეში „რეალის" წევრი გახდება.

თავად 19 წლის ფორვარდმა, რომლისთვისაც გასული პრემიერლიგური და სანაკრებო სეზონი ბრწყინვალე გამოდგა, იმ მიზეზებს არც მალავს, რის გამოც ინგლისის დატოვება სურს.

— ინგლისურმა მასმედიამ თავი საშინლად მომაბეზრა. სეზონში 100 გოლიც რომ გამეტანა, იქაური ჟურნალისტებისთვის მაინც არ იქნებოდა საკმარისი.

ცოტა ხნის წინ ანელკამ განაცხადა, რომ „მარსელში" სურს კარიერის გაგრძელება, თუმცა ეს ვარიანტი ფრანგული კლუბის უსახსრობის გამო გამოირიცხა. ამის შემდეგ იგი ესპანეთზე ალაპარაკდა:

— თუ წავალ და ასეც იქნება, მხოლოდ ესპანეთში, სხვაგან არსად. იტალია არ მაინტერესებს, იქ ჩემთვის მიუღებელ ფეხბურთს თამაშობენ. აი, ესპანეთში კი დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი, როდგან დაცვას ნაკლები ყურადღება ექცევა და თავდამსხმელებეს გოლის გატანა უადვილდებათ. დაახლოებით იგივე მდგომარეობაა, რაც ინგლისში.



ანელკას (№9) თვალი ესპანეთისკენ უჭირავს

# აფრიკის თასზე ყველა ვერ ითამაშებს

ამ უქმეებზე აფრიკის თასის შესარჩევი ციკლის ბოლოსწინა ტური იმართება. სულ შვიდი შესარჩევი ჯგუფია, აქედან სამი სამგუნდიანი და ოთხი ოთხგუნდიანი. ეს ტური გამოავლენს იმ ნაკრები გუნდების უმეტესობას, რომლებიც შავი კონტინენტის უმთავრეს ტურნირში იასპარეზებენ.

შეგახსენებთ, რომ აფრიკის თასის გათამაშება 2001 წლის იანვარში, განა — ნიგერიაში ჩატარდება. ცხადია, შესარჩევ ციკლში არ მონაწილეობენ როგორც მასპინძელი ქვეყნების, ასევე გათამაშების ბოლო გამარჯვებული ეგვიპტის ნაკრები გუნდები.

## I ჯგუფი

აქ ლიდერი — კამერუნი და აუტსაიდერი — ერითრია ხვდებიან ერთმანეთს. იმ შემთხვევაში, თუ კამერუნმა მეტოქესთან მინიმუმ ფრეს მაინც მიაღწია, რაც სავსებით რეალურია, მაშინ როეე მილას თანამემამულეები ავტომატურად მოხვდებიან გათამაშების ფინალურ ეტაპზე. თუ ასე მოხდა, მაშინ ჯგუფის მესამე ბინადარ მოზამბიკს, რომელიც წინა ტურში კამერუნთან 1:6 განადგურდა, ჯგუფში მეორე ადგილის დაკავების შანსი ექნება, რაც მათ მომავალ თვეში გასამართ პლეი ოფში მონაწილეობის მიღების უფლებას მისცემს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:1 | 7 |
| მოზამბიკი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:8 | 3 |
| ერითრია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

*გასული ტური*

მოზამბიკი — კამერუნი 1:6

*მომავალი ტური*

კამერუნი — ერითრია (6.06)

## II ჯგუფი

ამ ჯგუფის გამარჯვებულის ვინაობის გარკვევას, სპეციალისტები გასულ ტურში ელოდნენ, როცა კასაბლანკაში მაროკო ტოგოს მასპინძლობდა, მაგრამ შეხვედრა ფრედ დამთავრდა, რამაც პირველი ადგილის ბედი კვლავ გაურკვეველი დატოვა.

კვირას ჯგუფის ფავორიტი, მაროკოს ეროვნული ნაკრები გვინეას ხვდება და რაიმე გაუთვალისწინებელი თუ არ მოხდა, ალბათ გამარჯვებასაც მიაღწევს. აღსანიშნავია, რომ მაროკო არამარტო ჯგუფის, არამედ აფრიკის თასის მომავალი გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტიცაა. თავისი სიძლიერე მათ გასულ აპრილს დაამტკიცეს, როცა ჰოლანდიაში ადგილობრივ ნაკრებს 2:1 მოუგეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| ტოგო | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| გვინეა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

*გასული ტური:*

მაროკო — ტოგო 1:1

*მომავალი ტური:*

მაროკო — გვინეა (6.06)

## III ჯგუფი

კოტ დივუარმა შესაძლოა, კვირას გასამართ მატჩში ნამიბიასთან ორი წამყვანი მოთამაშე მოისაკლისოს — ინგლისში მოასპარეზე იბრაჰიმ ბაკაიაკო და ბორდოელი ლასინა დიაბატე. არადა, მათთვის ამ შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან გამარჯვების შემთხვევაში, ფინალურ ეტაპზე გასვლას ინალდებენ.

რაც შეეხება მალის და კონგოს, ისინიც კვირას გამართავენ მატჩს, სადაც მეორეადგილოსნის ბედიც გაირკვევა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოტ დივუარი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:1 | 9 |
| კონგო | 4 | 2 | 1 | 1 | 2:2 | 7 |
| მალი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ნამიბია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

*გასული ტური:*

კოტ დივუარი — კონგო 2:0

მალი — ნამიბია 2:1

*მომავალი ტური:*

ნამიბია — კოტ დივუარი (6.06)

კონგო — მალი (6.06)

## IV ჯგუფი

მიუხედავად წინა ტურში გაბონთან განცდილი მარცხისა, სამხრეთ აფრიკა ჯგუფის ლიდერობას ინარჩუნებს და თუ შაბათს გასამართ შეხვედრაში მავრიტანიასთან წარმატებას მიაღწია, მაშინ ბაფანა-ბაფანა უპრობლემოდ გადალახავს საკვალიფიკაციო ბარიერს.

პირველ ადგილზე გასვლა ამ ჯგუფიდან გაბონსაც შეუძლია. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ სამხრეთაფრიკელები ვერ მოიგებენ, ხოლო თავად ანგოლას სძლევენ. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, მათმა ახალმა მწვრთნელმა, დალმა კავალკანტემ, ნაკრებში პორტუგალიური „ბრაგას" მოთამაშე ლუის მიგელი დააბრუნა, რომელმაც ანგოლის სახელით ბოლოჯერ 14 თვის წინ იასპარეზა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ს. აფრიკა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| გაბონი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | 6 |
| მავრიტანია | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ანგოლა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |

*გასული ტური:*

მავრიტანია — ანგოლა 1:1

გაბონი — ს. აფრიკა 1:0

*მომავალი ტური:*

ს. აფრიკა — მავრიტანია (5.06)

გაბონი — ანგოლა (6.06)

## V ჯგუფი

აქ პრაქტიკულად ყველაფერი გარკვეულია. ბურკინა ფასომ უკვე დაიბევა ფინალური ეტაპის საგზური და სინეგალთან მატჩს მასპინძლებისთვის მხოლოდ ფორმალური მხარე ექნება, თუმცა ძნელი სათქმელია, რომ სტუმრებს 3 ქულა უპრობლემოდ გაატანონ. ამ მატჩის შედეგის მიუხედავად, მეორე ადგილის ბედი მომავალ ტურში, ბურუნდი — სინეგალის შეხვედრის შემდეგ გაირკვევა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბურკინა ფასო | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| ბურუნდი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| სენეგალი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

*გასული ტური:*

ბურკინა ფასო — ბურუნდი 3:1

*მომავალი ტური:*

ბურკინა ფასო — სენეგალი (6.05)

## VI ჯგუფი

მიუხედავად იმისა, რომ ზამბიელებს რამდენიმე ძირითადი ფეხბურთელი აკლიათ, იმედი აქვთ, რომ მადაგასკართან საშინაო შეხვედრაში გამარჯვებას მიაღწევენ, რითაც ფინალურ ეტაპზე გასვლის მეტი შანსი მიეცემათ.

ზამბიელთა უშუალო კონკურენტი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები, 5 ივლისს კენიას ნაირობიში ეთამაშება, სადაც აუცილებლად უნდა მოიგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში პრაქტიკულად კარგავს ჯგუფში გამარჯვების შანსს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზამბია | 4 | 3 | 1 | 0 | 5:2 | 10 |
| კონგო | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| მადაგასკარი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| კენია | 4 | 0 | 1 | 3 | 2:5 | 1 |

*გასული ტური:*

ზამბია — კენია 1:0

კონგო — მადაგასკარი 2:0

*მომავალი ტური:*

ზამბია — მადაგასკარი (5.05)

კენია — კონგო (5.05)

## VII ჯგუფი

ტუნისმა ჯგუფში ოთხივე შეხვედრა მოიგო, გაინაღდა ფინალური ეტაპის საგზური და ალჟირთან მატჩს მათთვის მხოლოდ საწვრთნელი მნიშვნელობა თუ ექნება. მატჩის მოგების შემთხვევაში ტუნისი უგანდას და ლიბერიას გაუადვილებს საქმეს, რომლებიც შაბათს კამპალაში გაეჯიბრებიან ერთმანეთს.

ლიბერიელებს, უპირველეს ყოვლისა, ჟორჟ ვეას იმედი აქვთ, რომელიც თანდათან იბრუნებს ჩვეულ ფორმას. რაც შეეხება უგანდელებს, მათ თურქეთში მობურთალი მაჯიდ მუსი შეუერთდათ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 4 | 4 | 0 | 0 | 11:1 | 12 |
| ალჟირი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| ლიბერია | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| უგანდა | 4 | 1 | 0 | 3 | 2:11 | 3 |

*გასული ტური:*

ალჟირი — ლიბერია 4:1

უგანდა — ტუნისი 0:2

*მომავალი ტური:*

ტუნისი — ალჟირი (5.05)

უგანდა — ლიბერია (5.05)

აფრიკის თასის შესარჩევი მატჩების ბოლო ტური 18-20 ივნისს გაიმართება.

კოკა ჭკადუა

# მართლაც რა დღე დამდგარა

იბრაჰიმ ბა, ოლივერ ბირჰოფი, ედგარ დავიდსი, დომენიკო დი კარლო, მოჰამედ კალონი, ფილ მასინგა, მარსელო ოტერო, რონალდო, ფაბიო ვივიანი, ჟორჟ ვეა, ტარიბო ვესტი, ივან სამორანო და ზინედინ ზიდანი — არა, ეს არც რაიმე გამოკითხვის შეჯამებაა და არც იტალიური სერია A-ს სიმბოლური ნაკრები. ეს გახლავთ მომღერალთა გუნდი, რომელსაც ბენინელი ნიგერიელი ფრისბიე ხელმძღვანელობს.

ფრისბიე კომპოზიტორი და ლოტბარია, იტალიაში 1997 წლის მერე ცხოვრობს და ახლა, ეგრეთწოდებული სინგლის ჩაწერითაა გართული. სინგლს ჰქვია WHAT A HAPPY DAY ანუ „რა ბედნიერი დღე გაგვითენდა". მისი შემოსავალი ბავშვებსა და ომის მსხვერპლთ მოხმარდება. მოკლედ, აქცია საქველმოქმედოა.

სინგლის ჩაწერის იდეა მაშინ იშვა, როდესაც ფრისბიე, მილანის „ინტერში" მოთამაშე თანამემამულე ფეხბურთელს, ტარიბო ვესტს შეხვდა. სწორედ მაშინ ადიდა ვესტმა ფრისბიეს ნიჭი და უთხრა, შენს გვერდით სიმღერა მსურს, მინდა იგი დედა აფრიკას მივუძღვნა და შემოსავლიდან კაპიკიც არ ავიღოო. ვესტის იდეა ჟორჟ ვეას შეატყობინეს და მანაც მყისვე გამოიჩინა ენთუზიაზმი.

აღსანიშნავია, რომ ამდაგვარი პროექტი 1998 წელსაც განხორციელდა. მაშინდელ სიმღერას LIVELY UP AFRICA ერქვა და მომღერლებად ბა, დიმაში, დიენგი, ბიიკი, კალონი და ფერნანდესი იდგნენ.

WHAT A HAPPY DAY-ს ავტორები გახლავან ფრისბიე, ჯორჯო ტრამაჩერე და ლუკა არტინა. ჩაწერის დროს თითოეული მომღერალი — ფეხბურთელი სიმღერას რაღაც თავისებურს, საკუთარი კულტურის ელემენტს სძენდა. სტუდიაში მუშაობის პროცესი კინოაპარატმაც აღბეჭდა. რაღა დასამალია და საფეხბურთო მინდვრის ვარსკვლავებს მასწავლებლობას ნამდვილი მომღერლები, ემი ჩარლზი, სანდრა განი, რონი ჯონსი, ჯულია სენტ ლუისი და სისტერ ნგოზი უწევდნენ.



# პირველად ბრაზილიაში



REUTERS სააგენტოდან

დიდამ კლაუდიო ტაფარელი შეცვალა

დღეს და სამშაბათს საინტერესო მატჩებია — მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ბრაზილია მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონ ჰოლანდიას მასპინძლობს. ორივე კარგი გუნდია და ქომაგები საინტერესო თამაშებს ელიან.

მოლოდინი მოლოდინად რომ არ დარჩება, გულშემატკივრებს ამის ღრმად სწამთ — ორ დაპირისპირებას ამხანაგურად კი მოიხსენიებენ, მაგრამ განა ასეთი გუნდების შეხვედრებს შეიძლება ამხანაგური უწოდო კაცმა? ამხანაგობა და მეგობრობა მინდვრის გარეთ, მოედანზე კი... დღეის და სამშაბათის ბრაზილია — ჰოლანდიის მატჩები ამხანაგურად ფიფას ბიულეტენებში მოიხსენიება და ისტორიასაც ასე შემორჩება, ისე კი იცოცხლეთ, დაძაბულობა ძალიან დიდი იქნება. ბრაზილია კონტინენტის პირველობისთვის ემზადება და ორი წლის წინ მოპოვებული ტიტულის შენარჩუნებას გეგმავს, ევრო 2000-ის თანამასპინძელი ჰოლანდია კი, რომელიც შესარჩევი ტურნირებიდან თავისუფალია, დროის უქმად დაკარგვას არ აპირებს.

ბრაზილიაში ფეხბურთი ლამის გაღმერთებული რომაა, ყველას მოეხსენება. საფეხბურთო ტრადიციების მხრივ ჰოლანდია სამხრეთამერიკელებს ნამდვილად ვერ შეედრება, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, ძალიან ჩამორჩებაო. დღევანდელი სიტუაცია ასეთია: მიუხედავად ბრწყინვალე გამარჯვებებით მოოქროვილი დიადი წარსულისა, ბრაზილიის ნაკრები ჰოლანდიისაზე ძლიერი არაა. იქნებ ვინმე შემედავოს, რაც სავსებით ბუნებრივი იქნება, მაგრამ რა კრიტერიუმებით უნდა დაამტკიცო ერთის მეორეზე ძლიერება? ამ გუნდების ბოლო შეხვედრა სადმე კი არა, მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში შედგა და ფრედ 1:1 დასრულდა — მართალია, ფინალში პენალტების სერიაში მოგებული ბრაზილიელები გავიდნენ, მაგრამ თამაშის მსვლელობისას „ნარინჯისფერთ“ ნამდვილად არ სჯობნენ. დღეს ძალთა შეფარდებას სწორედ ეს ორი მატჩი გამოავლენს.

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ თითქმის წელიწადმა განვლო და ბევრი ცვლილებაც მოხდა — ბრაზილიასაც და ჰოლანდიასაც ახლა სხვა მწვრთნელები ჰყავთ, მარიო ზაგალომ და გუს ჰიდინკმა კი საკლუბო დონეზე გადაინაცვლეს. ამბობენ, ახალი ცოცხი კარგად გვისო. რა უნდა ვთქვათ? მართალია, გუნდებმა რამდენიმე შეხვედრა ითამაშეს, მაგრამ ძნელია, ამ მატჩებით მეტოქეთა დონეზე ისაუბრო. რაც უნდა იყოს, შეხვედრები ამხანაგური იყო, ასეთი თამაშებით კი გუნდების შესაძლებლობებზე როგორც წესი, არ მსჯელობენ.

ვანდერლეი ლუქსემბურგო, ბრაზილიელთა მწვრთნელი, საინტერესო პიროვნებაა, თუმცა, მგონი, ჩვენ ფეხბურთზე მისეული შეხედულება უფრო გვაინტერესებს. წმინდა ბრაზილიური მიდგომა საქმისადმი — გუნდმა გოლისთვის უნდა ითამაშოს და არა საკუთარი კარის უსაფრთხოებისთვის. ასეთია ლუქსემბურგოს მოსაზრება.



REUTERS სააგენტოდან

ფრენკ რაიკაარდი (მარცხნივ) დავიდსს, ზეედორფს და რაიციგერს დარიგებებს აძლევს

ლაღ, შემტევ თამაშს ბრაზილიელთათვის ხშირად მოუტანია წარმატება და მწვრთნელსაც ამის იმედი აქვს. რაც შეეხება ფეხბურთელების შერჩევას, ლუქსემბურგო უპირატესობას მოცემულ მომენტში სათანადო ფორმაში მყოფ მოთამაშეებს ანიჭებს და არა მხოლოდ გამოცდილ ვეტერანებს. უეჭველია, ეს გუნდისთვის სასიკეთო ფაქტორია. ერთიც: თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ვენდობით, ლუქსემბურგოს გუნდში იდეალური დისციპლინაა. ახლა ჯერი გუნდზეა.

ჰოლანდია? ფრენკ რაიკაარდის ხელში გუნდს ერთი უცნაური თვისება დასჩემდა — მეტოქეს ძალიან ძნელად ამარცხებს, ამასთანავე, თავადაც იშვიათად მარცხდება. თუმცა რა იშვიათობაზეა საუბარი — რაიკაარდის ჰოლანდიის ნაკრებმა დღემდე სულ ექვსი მატჩი გამართა, რომელთაგან ოთხი ფრედ დაასრულა, ერთი მოიგო და ერთიც წააგო. „ნარინჯისფერებმა“ მარცხი სწორედ ბოლო, მეექვსე შეხვედრაში იწვნიეს მაროკოელთაგან, თან შინ.

თუ ბრაზილიის ნაკრებში ახალი მწვრთნელის გამოჩენას გუნდის ერთგვარი გადახალისება მოჰყვა, ჰოლანდიელებმა კვლავ გამოცდილ ფეხბურთელებზე დაყრდნობა ამჯობინეს. ძმებ დე ბურებს, კოკუს, ზენდენს, კლუივერტს, ვან დერ სარს, დავიდს, რაიციერს და კიდევ ორ-სამ ფეხბურთელს გუნდში ადგილი განაღდებული აქვთ და ძნელად, ვინმე შეეცილოთ. ცხადია, რაიკაარდი დროდადრო ცდის მოთამაშეებს, მაგრამ რაც იგი მწვრთნელია, რომელიმე ახალწვეულს გუნდში ადგილი, ვერ კი არა, უბრალოდ არ დაუმკვიდრებია.

ყველაფრის მიუხედავად, მომავალი ორი შეხვედრიდან რაღაც ახალს უნდა ველოდეთ. ახალს და იმედია კარგს და საინტერესოს.

რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, ბრაზილია ჰოლანდიას პირველად მასპინძლობს — მეტოქენი პირველად 1963 წლის 2 მაისს შეხვდნენ ერთმანეთს, თუმცა მათი, თითქმის ორმოცწლიანი დაპირისპირების მანძილზე ჰოლანდიას ბრაზილიაში ჯერ არ უთამაშია. უცნაურია, მაგრამ ფაქტია. რადგან ისტორიას შევეხეთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ გუნდები სამ სხვადასხვა მსოფლიოს ჩემპიონატზე შებრძოლებიან ერთმანეთს. სამივე შეხვედრა შესანიშნავი, დაძაბული, ლამაზი იყო.

1974 წელს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იოჰან კრუიფი და მისი საუცხოო ნაკრები ბრაზილიაზე ნამდვილად ძლიერი იყო. ამიტომაც იმარჯვეს იმ ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებმა 2:0. ოცი წლის შემდეგ, მეოთხედფინალში ბრწყინვალე სანახაობა შედგა, უფრო სწორად, მეორე ტაიმი გახლდათ შეუდარებელი — ხუთი გოლი გავიდა. და ბოლო, მესამე შეხვედრა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალი იყო. კვლავ შესანიშნავი მატჩი.

დღევანდელ და ცხადია, სამშაბათის მატჩებში გუნდების ლიდერები ვერ ითამაშებენ — ბრაზილიელი მზეჭაბუკი რონალდო ტრავმირებულია, „მფრინავ ჰოლანდიელ“ დენის ბერხკამპს, როგორც ცნობილია, ფრენის ეშინია, გემით ბრაზილიაში ჩასვლას კი ისევ ნისლიან ალბიონზე დარჩენა სჯობს.

თუმცა, ვისთვის როგორ.

**ლაშა გოდუაძე**

## ამხანაგური მატჩი
## ბრაზილია — ჰოლანდია
5 და 8 ივნისი

**ბრაზილიის** ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — დიდა (მილანი, იტალია), ბოსკო (სპორტ რესიფე); მცველები — ანტონიო კარლოსი, ალდაირი (რომა, იტალია), ჟოაო კარლოსი (კრუზეირო), სეზარი (პორტუგეზა), დედე (დორტმუნდი, გერმანია), რობერტო კარლოსი (რეალი, ესპანეთი), ზე რობერტო (ლევერკუზენი, გერმანია); ნახევარმცველები — ემერსონი (ლევერკუზენი, გერმანია), ფლავიო კონსეისაიო (დეპორტივო, ესპანეთი), ჯოვანი (ბარსელონა, ესპანეთი), ჟუნინიო (ატლეტიკო, ესპანეთი), ლეონარდო (მილანი, იტალია), მარკოს პაულო, ჟაირი (კრუზეირო), რივალდო (ბარსელონა, ესპანეთი), რონი (ფლუმინენსე); თავდამსხმელები — ამოროზო (უდინეზე, იტალია), დენილსონი (ბეტისი, ესპანეთი), ჟარდელი (პორტუ, პორტუგალია), ევანილსონი (კრუზეირო)

**ჰოლანდიის** ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ედვინ ვან დერ სარი (იუვენტუსი, იტალია), სანდერ ვესტერველდი (ვიტესი); მარკ ვან ჰინტუმი (ვიტესი), კიის ვან ვონდერენი, ბერტ კონტერმანი (ფეიენოორდი), ფრანკ დე ბური, მიხაელ რაიციგერი (ბარსელონა, ესპანეთი), ანდრე ოიერი (ეინდჰოვენი), ფრანკ ვერლაატი (შტუტგარტი, გერმანია); ნახევარმცველები — კლარენს ზეედორფი (რეალი, ესპანეთი), მარკ ოვერმარსი (არსენალი, ინგლისი), არონ ვინტერი (ინტერი, იტალია), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ედგარ დავიდსი (იუვენტუსი, იტალია), რონალდ დე ბური, ფილიპ კოკუ (ბარსელონა, ესპანეთი); თავდამსხმელები — რუუდ ვან ნისტელროი (ეინდჰოვენი), პეტერ ვან ფოსენი (ფეიენოორდი), პატრიკ კლუივერტი, ბუდევინ ზენდენი (ბარსელონა, ესპანეთი), პიერ ვან ჰოიდონკი (ნოტინგემ ფორესტი, ინგლისი)

### წინა შეხვედრები

| | | | |
|---|---|---|---|
| 02.05.63 | ა.მ. ამსტერდამი | 0:1 | პეტერსონი |
| 03.07.74 | მ.ჩ. დორტმუნდი | 0:2 | ნეესკენსი, კრუიფი |
| 20.12.89 | ა.მ. როტერდამი | 1:0 | კარეკა |
| 09.07.94 | მ.ჩ. დალასი | 3:2 | რომარიო, ბებეტო, ბრანკო; ბერხკამპი, ვინტერი |
| 31.08.96 | ა.მ. ამსტერდამი | 2:2 | რონალდო, ავტოგოლი; რ. დე ბური, ვან გასტელი |
| 07.07.98 | მ.ჩ. მარსელი | 1:1 | რონალდო; კლუივერტი |

# უკეთესი რონალდო



**რონალდო** ამბობს, რომ გასულ სეზონში დაშავებული ორივე მუხლი მოირჩინა, თავს მშვენივრად გრძნობს და მალე ძველებურად ათამაშდება. თუ არ გახსოვთ, გაგახსენებთ — ბრაზილიელი ფორვარდი საფრანგეთი 98-ის ფინალური მატჩის წინ დაშავდა და მას შემდეგ სხვადასხვა სახის ტრავმებმა გააწამეს. გასული სეზონი მას ფაქტობრივად გაუცდა, თუმცა:

— მე ვბრუნდები, რათა ხალხმა უკეთესი რონალდო იხილოს, ვიდრე ახსოვს — ამაყად განუცხადა 22 წლის ფეხბურთელმა ესპანურ გაზეთ „მარკას“ — ძალიან რთული წელი იყო ჩემთვის, კინაღამ გავგიჟდი, მაგრამ ძალები მოვიკრიბე, თავდაუზოგავად ვიმუშავე და აი, ფაქტიც სახეზეა — დღეს მუხლებთან დაკავშირებით და საერთოდაც არანაირი პრობლემა აღარ მაწუხებს — დაამატა მან.

მილანის „ინტერის“ ვარსკვლავმა 12 ივლისის შემდეგ (მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის დღე) ბრაზილიის ნაკრებში პირველად „ბარსელონასთან“ ამხანაგურ მატჩში ითამაშა, ერთი გოლი თავად გაიტანა, ერთიც რივალდოს გაატანინა და ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვანდერლეი ლუქსემბურგოს ათქმევინა, ეს ბიჭი გენიოსია, გუნდს მის გარშემო ავაშენებო.

დღეს და 8 ივნისს ბრაზილიელები ორჯერ შეხვდებიან ჰოლანდიის ეროვნულ გუნდს. რონალდო ამ მატჩებზე კი იყო გამოძახებული, მაგრამ კუნთი დაიზიანა და მათი გამოტოვება მოუწევს. თუმცა, იგი დარწმუნებულია, რომ კოპა ამერიკას, რომელიც 29 ივნისს პარაგვაიში იწყება, სრულ მზადყოფნაში შეხვდება.

— ჩემი ამჟამინდელი ტრავმა უმნიშვნელოა, მაგრამ ჰოლანდიელებთან ორივე შეხვედრის გამოტოვება მომიწევს. მიუხედავად ამისა, მინდა ყველამ იცოდეს — კოპა ამერიკაზე აუცილებლად ვიქნები და ვითამაშებ ისე, როგორც არასდროს.

# ცხელი, გრძელი, უქმური ზაფხული

„იუვენტუსს" გრძელი, ცხელი ზაფხული ელის. 1996 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელმა, რომელიც 1997 და 1998 წლებში იმავე შეჯიბრების დამარცხებული ფინალისტი გახლდათ, ახლა, უეფას თასზე მონაწილეობისთვის ინტერტოტოს ბილიკი უნდა გაიაროს. მართალია, იმაში, რომ ტურინის კლუბი ამ შეჯიბრებაში მეცამეტედ იასპარეზებს, ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს — გასული სეზონი მისთვის მარცხიანი გახლდათ.

„ბებერმა ქალბატონმა" სერია A-ს ცხრილში მეექვსე ადგილი დაიკავა, ჩემპიონთა თასზე ნახევარფინალში წააგო, ხოლო სეზონის ბოლოს, გადათამაშებაში „უდინეზეს" ვერ აჯობა და უეფას თასის საგზურის გარეშე დარჩა.

„ძნელი ჩემპიონატი იყო და სირთულეები დაგვიტოვა" — თქვა ამასწინათ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ — „უეფას თასის საგზურის მოპოვება არაფრისმთქმელი მიზანი გახლდათ და მასაც ვერ მივაღწიეთ... ახლა ერთობ დამცირებულნი ინტერტოტოს თასისთვის ენთუზიაზმით ვიბრძოლებთ".

ინტერტოტოს თასზე მონაწილეობა ტურინელთათვის ერთობ უსიამოვნო საქმე უნდა იყოს და არა მარტო ღირსების შელახვის გამო, არამედ იმიტომაც, რომ სერია A-ს მომავალი ჩემპიონატის წინ ფეხბურთელებმა შეიძლება ტრავმები მიიღონ, სეზონის რამდენიმე თვით გაგრძელებაზე ალარაფერი რომ ვთქვათ.

ანჩელოტიმ მოთამაშეები ბაზაზე პირველ ივლისს დაიბარა. ასე რომ, მათ გასული სეზონის იარათა მოსაშუშებლად მხოლოდ ერთი თვე ექნებათ. ინტერტოტოს თასის პირველი მატჩი „იუვენტუსს" 17 ივლისს ელის.

მოგეხსენებათ, „ბებერი ქალბატონი" დიდი ევროპული წარსულის მქონე გუნდია. 1985 წელს იგი შეიქნა პირველი, ვინც სამივე კონტინენტური ჯილდო მოიპოვა. მხოლოდ ორჯერ, 1962 და 1991 წლებში ვერ მოახერხა „იუვენტუსმა" ევროთასებზე მონაწილეობა. იგი მარტო ჩემპიონთა თასზე თამაშობდა თვრამეტჯერ და აქედან ორჯერ, 1985 და 1996 წლებში გაიმარჯვა.

ტურინელები უეფას თასს 12-ჯერ უტევდნენ. ამ შეჯიბრებაში მათ 1977, 1990 და 1993 წლებში გაიმარჯვეს, ხოლო თასების თასი ოთხი ცდიდან ერთხელ, 1984 წელს მოიგეს.

მთელ ამ ისტორიას თუ შევაჯამებთ, გამოვა, რომ გუნდმა ევროსარბიელზე ჩატარებული 283 შეხვედრიდან დამარცხება მხოლოდ 64-ში იგემა.

მოკლედ, „იუვენტუსი" ევროპულ შეჯიბრებაში მონაწილეობის გარეშე არც მომავალი სეზონის ჩატარებას აპირებს და ვინაიდან ინტერტოტოს თასისთვის საკმაოდ ძლიერი გუნდია, აგვისტოში, უეფას თასის კენჭისყრა, ალბათ, მასაც შეურჩევს მოწინაალმდეგეს. აი, „ინტერის" საქმე კი სხვანაირადაა.

„იუვენტუსის" მსგავსად, გადათამაშება „ინტერმაც" წააგო, მაგრამ ინტერტოტოს თასზე თამაშისგან თავი ძალიან შორს დაიჭირა. მილანელ „შავლურჯებს" ახალი სეზონის წინ, დასვენება და ახალი მწვრთნელის, მარჩელო ლიპის სავარჯიშო მოედანზე დახვედრა ურჩობთ. საშინელი სეზონის შემდეგ მათ, ამოუსუნთქავად, კვლავ შეჯიბრებაში ჩართვა მიზანშეუწონლად მიიჩნიეს.

მართლაც საძაგელი სეზონი გადახდა „ინტერს". სერია A-ს საბოლოო ცხრილში მერვე ადგილზე გასულმა გუნდმა სექტემბრიდან მაისამდე სამი მწვრთნელი გამოიცვალა, ჩემპიონთა თასს მეოთხედფინალიდან დაემშვიდობა, ხოლო გადათამაშებაში, როგორც მოგახსენეთ, ორ შეხვედრაში ორი მარცხი იწვნია.

არადა, სულ ერთი წლის წინ „იუვენტუსი" იტალიის ჩემპიონი, ხოლო „ინტერი" ვიცე-ჩემპიონი და უეფას თასის მფლობელი იყო.

დღეს, ფარერის კუნძულების გუნდსაც კი შეეძლო როგორც ერთთან, ასევე მეორესთან თამაში.

**გიდეონ ლონგი,**
**როიტერი**

ზინედინ ზიდანი, გასული წლის მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი, ტრავმირებულია. ამბობენ, რომ იგი აგვისტოს ბოლომდე ვერ დაუბრუნდება კლუბს. გასული სეზონი მისთვის მომქანცველი იყო. გაუჭირდა მასაც და „იუვენტუსსაც". კლუბი ბოლო ხუთი სეზონის მანძილზე პირველად ვერ გავიდა ევროთასის ფინალში. ეგეც არ იყოს, საერთოდაც ჯილდოს გარეშე დარჩა. ზიდანსაც იგივე დაემართა — ფეხბურთელი, რომელიც წლიდან წლამდე აოცებდა გულშემატკივრებს ოსტატობით, სეზონის მიწურულს აშკარად დაიჩრდილა, გადაიღალა.



ზინედინ ზიდანი ყველგან პოპულარულია



# აგვისტომდე

**— დაღონებული ჩანხართ.**

— არა, რატომ. ვერ გეტყვით, გარედან როგორ ჩანს, მაგრამ დაღონებული ნამდვილად არ ვარ. კი, ეს სეზონი ნამდვილად არ იყო ისეთი, როგორსაც ვისურვებდი, მაგრამ მერე რა? ხალხს ვიცნობ, უარესიც დაემართათ, მაგრამ სულიერად არ დაცემულან.

**— თვლით თუ არა, რომ ცხოვრებაში რაღაც გაკლიათ, გსურთ, რომ გქონდეთ?**

— არა. ღვთის წყალობით, ყველაფერი ნორმალურადაა, თუ ამ პატარა ტრავმას არ ჩავთვლით.

**— როგორც ჩანს, საკმაოდ წყნარი პიროვნება ხართ.**

— მიჭირს საკუთარ თავზე საუბარი, მაგრამ ვთვლი, რომ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, მხიარული, მეგობრული. როგორც სხვებს, მეც მეშინია უსიამოვნების. შეხედეთ დელ პიეროს, ანაც ფერარას — ისინი ჩემზე უარესად იყვნენ ტრავმირებულნი. რა ვიცი, რა გითხრათ...

**— როცა დაშავდით, რაზე ფიქრობდით?**

— თუ ფეხბურთელის მხრიდან შევხედავთ, მივხვდი, რომ დროებით უნდა ჩამოვშორებოდი საყვარელ საქმეს და ეს გულს მტკენდა. რაც შეეხება ცხოვრებისეულ მხარეს, ძალიან მინდოდა დასვენება, მაგრამ არა ასეთი სახით.

**— ოპერაცია რომ დაგჭირდათ, როდის გაიგეთ?**

— ექიმებმა გამსინჯეს თუ არა, მითხრეს, ქირურგიული ჩარევაა საჭიროო. ეს იყო და ეს.

**— განიცადეთ?**

— არა. რაკი მათ ასე ჩათვალეს, ალბათ, ოპერაცია საჭირო იყო. მეც დავთანხმდი. თან ექიმი, რომელმაც გამსინჯა, ჩემი მეგობარია, ფილიპ ბოისელი. ხშირად მოდის ხოლმე ჩვენთან, ტურინში. სხვათა შორის, იგი თავის დროზე დეშამპსაც მკურნალობდა.

**— დეშამპი თქვენი მეგობარია. ხმა დაირხა, „იუვენტუსიდან" მიდისო. ამის თაობაზე რას გვეტყვით?**

— დიდიე გამოცდილი ფეხბურთელია, მუყაითი. ამასთანავე, შესანიშნავი პიროვნებაა. ვერ გეტყვით, წავა თუ არა, მაგრამ დეშამპი „იუვენტუსისთვის" დიდი ძალაა. დანარჩენი მომავალში გამოჩნდება.

**— სხვის გეგმებზე, ცხადია, ვერ ისაუბრებთ, მაგრამ თქვენს მომავალზე ორიოდ სიტყვის თქმა ალბათ არ გაგიჭირდებათ.**

— ზინედინ ზიდანისთვის ეს სეზონი დასრულებულია. შევხედავ, ტრავმა როგორ მომიშუშდება და გადავწყვეტ, წავიდე თუ არა არდადეგებზე. არ მსურს, გავრისკო. ძალიან მინდა, მალე მოვმჯობინდე. შემოდგომით ევროპის ჩემპიონატის ფინალისტები გაირკვევიან, ნაკრებისთვის და „იუვესთვის" მძიმე სეზონი იწყება. როცა „იუვენტუსში" მივდიოდი, მსურდა, დამემტკიცებინა, რომ ძლიერი ფეხბურთელი ვარ. ნაწილობრივ ეს შევძელი, მაგრამ მთლიანობაში ვერა. ჯერ გზა კიდევ გასავლელი მაქვს.

**— როგორ ფიქრობთ, გულშემატკივრები თქვენს არყოფნას ადვილად შეეგუებიან?**

— მიჭირს პასუხის გაცემა, მაგრამ არა მგონია, ძალიან უარყოფითად შეხვდნენ. მგონი, თავადაც ხვდებიან, რომ ჩემთვის ეს სეზონი მაინცდამაინც წარმატებული არ ყოფილა. „იუვენტუსის" ქომაგებს დიდ პატივს ვცემ. ყოფილა შემთხვევები, მათი მხარდაჭერით თამაშები მოგვიგია და საერთოდ, მიხარია, რომ მათ ვუყვარვარ. კლუბისთვის ყოველთვის მთლიანად ვიხარჯებოდი, ტიფოზებსაც ვახარებდი. ასე რომ, ვიმედოვნებ, ჩემი დროებითი არყოფნა მათ ძალიან არ გაანაწყენებს.

**— რაც „იუვენტუსში" თამაშობთ, მოსაგონარი ტკბილიც გექნებათ და მწარეც.**

— იცით, ამ საკითხზე თავის დროზე მიფიქრია და იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ ადამიანის ცხოვრება წარმატებისგან და მარცხისგან შედგება. ფეხბურთშიც ასეა — ხან წააგებ, ხან მოიგებ. რაც „იუვენტუსში" ვთამაშობ, საკლუბო დონეზე თითქმის ყველაფერი მოვიგე და მიხარია, როცა გამარჯვებას ვიხსენებ, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მარცხიც ყოფილა. სანამ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალს მოვიგებდით, მეგონა, რომ გადამწყვეტ მატჩში გამარჯვება არ მეწერა — ხუმრობა ხომ არაა, ზედიზედ სამჯერ დავმარცხდი ევროთასის ფინალში. მოგონებები, ცხადია, ტკბილიცაა და მწარეც. ისე, მე თუ მკითხავთ, მთელი ცხოვრება ერთი დღეს მოგონებად იქცევა...

**— გასულ სეზონში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად გაღიარეს. ესეც მოგონებაა...**

— მართალი გითხრათ, წინა სეზონში ჩემი თამაშით უკმაყოფილო ვარ. ვფიქრობ, საუკეთესო მოთამაშედ რომ მაღიარეს, ეს ბრაზილიასთან გატანილმა ორმა გოლმა განაპირობა. კიდევ იყო ისეთი მატჩები, რომლებიც ძლიერად ვითამაშე, მაგრამ მთლიანობაში შეუდარებელი არ ვყოფილვარ. ის, რომ კონკურენტები ძალიან ჩამოვიტოვე, ალბათ, იმის ბრალიც იყო, რომ ყველა ფეხბურთელი გადაიღალა, თან ჩემს გარდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ორი გოლი ვერავინ გაიტანა.

**— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატმა ფეხბურთელები გამოგფიტათ. მართლა ასეა?**

— მოდით, ლილიან ტურამით ვიმსჯელოთ. მან მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიბრწყინა და ახლაც შესანიშნავად თამაშობს „პარმაში". რაც შემეხება მე, თავადაც ხედავთ, რომ გადავიღალე. ასეთი დონის შეჯიბრმა მოთამაშეები, ცხადია, გადაღალა, მაგრამ ზოგი მეტ-ნაკლებად. ისე, იმას თქმა არ უნდა, რომ ფეხბურთელისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი, ევროპის პირველობა და მსგავსი ტურნირები ძალიან მომქანცველია.

**— მარჩელო ლიპი „ინტერში" მიდის. ითქვა, მილანელებს ტურამიც მიჰყავთო...**

— ლიპი შესანიშნავი მწვრთნელია, თუმცა ვფიქრობ, მას თავდაპირველად „ინტერში" გაუჭირდება. რაც შეეხება ტურამისთანა მოთამაშეებს, დარწმუნებული ვარ, ლიპი უძლიერეს ფეხბურთელებს შეკრებს.

**— თქვენ, თქვენ რას აპირებთ. მიდიხართ სხვაგან თუ ტურინში რჩებით?**

— ამ თემაზე საუბარი ძალიან მომბეზრდა. ისე ხშირად საუბრობენ „იუვენტუსის" და ზიდანის დაშორებაზე, ლამისაა, მართლა წავიდე გუნდიდან. არა, „ბებერი ქალბატონის" დატოვებას არ ვაპირებ. ყოველ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში. მერე რა იქნება, ვერაფერს გეტყვით.

**— ისე, თავს როგორ გრძნობთ?**

— შესანიშნავად. ახალი სეზონის წინ დასვენება ბრწყინვალე რამაა. მეც ვისვენებ.

**„*FORZA JUVE*"-დან**
**თარგმნა ლაშა გოდუაძემ**

# ლუჟნიკი 2 მილიონი დოლარით დაზარალდა

რუსეთის უპირველესი სტადიონის, მოსკოვის „ლუჟნიკის" დირექტორმა ვლადიმირ ალიოშინმა განაცხადა, რომ უეფას თასის ფინალის მასპინძლობით სტადიონმა ძალიან იზარალა. „მიჭირს ამის წარმოდგენა, მაგრამ ეს ასეა. უეფას თასის ფინალმა რამდენიმემილიონიანი ზარალი მოგვაყენა" — განუცხადა ალიოშინმა ერთ-ერთ გაზეთს. მანვე დასძინა, რომ ეს ამბავი იმის მიუხედავად მოხდა, რომ უეფამ ევროთასის ფინალის მასპინძლობისთვის 878 ათასი დოლარი გადაურიცხა. რუსული პრესის ცნობით, ზარალი დაახლოებით 2 მილიონ დოლარს შეადგენს, რაც უპირველეს ყოვლისა, იმითაა გამოწვეული, რომ თითქმის ასიათასიანი სტადიონი უეფას თასის ფინალზე სანახევროდაც არ იყო შევსებული. შეგახსენებთ, რომ 12 მაისს „ლუჟნიკიზე" იტალიურმა „პარმამ" ფრანგულ „ოლიმპიკს" სძლია და უეფას თასი მოიპოვა.

# ბორდოს ორი დეპორტივოელი სურს

ესპანეთის „დეპორტივოს" საფრანგეთის ჩემპიონმა „ბორდომ" ორ მოთამაშეზე გაუბა მოლაპარაკება. ბორდოელები ლაკორუნიული კლუბის ფრანგი ლეგიონერებით სტეფან ზიანით და ჟერომ ბონისელით დაინტერესდნენ. ზიანი „ბორდოში" 1996-97 წლის სეზონში უკვე თამაშობდა, თუმცა 26 წლის ნახევარმცველს უკან დაბრუნება არ უნდა. რაც შეეხება ბონისელს, იგი ესპანეთში წასვლამდე „მონპელიეში" თამაშობდა. ესპანური პრესის განცხადებით, „ბორდო" ორივე ფეხბურთელის სანაცვლოდ „დეპორტივოს" 14,1 მილიონ დოლარს სთავაზობს.

## საჭირბოროტო კითხვა-პასუხი

— აგე დამთავრდა ეს ფეხბურთიც, ახლა რაღა ვქნათ?

***— ხომ დაიწყება...***

— სანამ დაიწყება, მე ჩემი დამემართება...

***— ესპანეთი არ დამთავრებულა.***

— ეგ არ ითვლება, იმიტომ რომ არასოდეს მთავრდება...

***— მართლა და, რა საინტერესოა, რატომ არ მთავრდება ესპანეთის ჩემპიონატი?***

— ალბათ, მანამდე გაგრძელდება, სანამ „რეალი" „ბარსას" არ გაუსწრებს.

***— ტოშაკი რომ ოდესმე „აიაქსის" მწვრთნელი ყოფილიყო, „ბარსა" მაინც გახდებოდა ჩემპიონი?***

— მაშინ „რეალი" გახდებოდა, იმიტომ რომ „აიაქსი" მადრიდში იქნებოდა.

***— მართლაც რომ გაერთიანდა ეს ევროპა.***

— აბა? ველარ გაიგებ, სად ბარსელონაა და სად ამსტერდამი.

***— ისე, „აიაქსს" შეეშალა***

— კი, სხვანაირად უნდა მოქცეულიყვნენ.

***— მე ვიცი, როგორც. რახან ვან გაალი წამოვიდა „ბარსაში" თავისი ხალხით, კრუიფი უნდა დაენიშნათ „აიაქსში" და კრუიფი წაიყვანდა მეხო კოდროს, ჯიკა პოპესკუს და სუბისარეტას. აბა, სეირი ეგ იქნებოდა.***

— მთავარი არ დაგავიწყდეს.

***— ვინ, ჩიკი ბეგირისტაინი?***

— არა კაცო, უფრო დაუვიწყარი.

***— აბა თქვი...***

— ხულიო სალინასი.

***— ჰოო... რაღა ეგ და რაღა ნევილ საუთჰოლი.***

— სულთა საუფლოში გადაბარგდი?

***— და მაინც ვერ გავიგე, რა კავშირია „ბარსელონასა" და „ამსტერდამს" შორის ასეთი?***

— უფრო ღრმა კავშირი უნდა იყოს ვიდრე „იუნაიტედსა" და „სიტის" შორის ქალაქ მანჩესტერში.

***— და „სელტიკსა" და „რეინჯერსს" შორის ქალაქ გლაზგოში, არა?***

— ევროპა ჭეშმარიტად გაერთიანდა?

***— ამით რისი თქმა გინდა?***

— იმისა, რომ ჩვენც გვინდა ჩვენი ოლივეირა.

***— ოლივეირა ვინ არის?***

— ბელგიელი ბრაზილიელი, რომელიც იტალიაში თამაშობს.

***— ჰო, მაგრამ „აიაქსი" სადაც წავიდა, ყველაფერი მოიგო და ოლივეირამ ვის რა უშველა?***

— თავის ამბავში წაეხმარა...

***— ერთი ეს მითხარი, არსენ ვენგერი რომ „არსენალის" პრეზიდენტი გახდება მწვრთნელად ვის მოიწვევს?***

— რა თქმა უნდა ვან გაალს.

***— და „აიაქსი" ინგლისის ჩემპიონიც გახდება.***

— ვერ დაგპირდები.

***— რატომ?***

— ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდება, როცა ნორვეგიული კლუბები „მანჩესტერს" გაეფიცებიან და ფეხბურთელებს აღარ მიჰყიდიან.

***— ესე იგი ჩემპიონთა თასი „მოლდემ" მოიგო?***

— დაახლოებით.

***— კი, მაგრამ თუ ვან გაალი და „აიაქსი" „არსენალში" გადავლენ, „ბარსელონაში" ვინღა მოვა?***

— ბარსელონაში ალბათ „მალიორკა" გადავა ექტორ კუპერით და ვან ნისტელროის დაიმატებს.

***— და ლიპი?***

— ჰოო... ახლა „იუვე" წავა მილანში, ხოლო „მილანი" „რომაში" — კაპელოსთან.

***— და გაზა?***

— ხომ გითხარი გაზაზე აღარაფერი მკითხო-მეთქი.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ გაზამ თქვა, რაცა ვარ, ეგა ვარ, ელვა და კვნესა ვარო

***— აბა, შერი?***

— შერი ამელამ გაიტანს.

***— რატომ?***

— ეგეთი წესია.

# თსუ-ს პლეი ოფიდან სასწაული თუ ამოაგდებს

4 ივნისი
თბილისი
ვერის ბაღი

**33 ტური**

**აზოტი 109:125 თსუ**

I ტაიმი 44:57

აზოტი: ჩაჩუა (4), გაბისონია (5), გოგობერიშვილი (18), ბაბიაშვილი (4), ჯაფარიძე (41); ბერუაშვილი (9), ყლენტი (17), გრგოლაძე (4), კოჭლამაზაშვილი (3), ჯიმშელეიშვილი (4)

თსუ: ვეფხვაძე (6), ნონელია (28), მარკოიშვილი (14), ქარაბაკი (34), ხელაშვილი (15); არსიაშვილი (18), მშვილდაძე, მგალობლიშვილი (8), დიმიტრიადი (2)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

რა გინდა, რომ თქვა. თსუ რომ თავს მიიკლავდა და ოთხეულში მოსახვედრად მოედანზე არაფერს დათმობდა, ეს ყველამ იცოდა, მაგრამ „აზოტი" თუ აგრერიგად. შერცხვებოდა და ჯიგრიანი კალათბურთის მოსურნე ქომაგსაც გააწბილებდა, ამას ცოტა თუ იფიქრებდა.

„აზოტმა" გუშინ ნამდვილად ვერ ითამაშა ისე, როგორსაც ამ გუნდისგან ვართ ჩვეულნი. მეტიც, რუსთაველები უსუსურად გამოიყურებოდნენ, რაც თსუ-მ კარგად შეიმჩნია და ვიცე-ჩემპიონთა ძლევით 99 პროცენტით შეაღო პლეი ოფის კარი.

მართალია, ოთხეულის საგზურს სტუდენტები ოფიციალურად კვირას, „შევარდენის" დამარცხების შემდეგ გაიფორმებენ, მაგრამ გუშინ „სახელმწიფო გამოცდა" ფრიადზე ჩააბარეს და „შევარდენსაც" რომ დაიჯერებენ, დღესავით ნათელია.





აზოტი — თსუ. დამარცხებულთაგან გამოირჩეოდა ირაკლი ჯაფარიძე (№12), რომელსაც არჩილ ხელაშვილი ეღობება

„დინამო" კი განზე დარჩა. თსუ-მ თუ „შევარდენს" მოუგო, „დინამო" — სტუ-ს დაპირისპირება ფორმალობად იქცევა: მოსეშვილის გუნდმა რომც მოიგოს, პლეი ოფს ველარ შესწვდება, რადგან ურთიერთშეხვედრებში ბურთების შეფარდება თსუ-ს უკეთესი აქვს.

„აზოტის" მოუნდომებლობის გამართლება გვიჭირს. ერთის მხრივ, ეს შესაძლოა იმით აიხსნას, რომ გუნდს უკვე კარგა ხანია თავი ქუდში აქვს და ენერგია დაზოგა, მაგრამ თუ ჩემპიონატის დებულებას თვალს გადავავლებთ, ვნახავთ, რომ რუსთაველები მთლად უსტიმულოდ როდი უნდა ყოფილიყვნენ — გამარჯვების შემთხვევაში პლეი ოფში ფორით (მნიშვნელობა არა აქვს თსუ-ს შეხვდებოდნენ, თუ „დინამოს"), 2:0-ით შეაღწევდნენ და ფინალამდეც ერთი ნაბიჯი (მოგება) დარჩებოდათ.

ფაქტი ერთია, „აზოტმა" წააგო, თანაც ისე, ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდს რომ არ ეკადრება. 125 ქულა ჩააგდებინა მეტოქეს. ვფიქრობთ, ძალიან, ძალიან ბევრია.

ერთიცაა. ზერელედ, უპასუხისმგებლოდ მიუდგნენ რუსთაველები ამ შეხვედრას. ამას ისიც მოწმობს, რომ მათი ძირითადი გამთამაშებელი და ერთ-ერთი ლიდერი არჩილ ყლენტი ტაიმის დამთავრებისას მოვიდა. ისე, სულ რომ არ მოსულიყო, რა? მართალია, ყლენტს არაფერი გაუფუჭებია, მაგრამ არც ღირებული გაუკეთებია რამე. ქულები კი მოაგროვა, მაგრამ ძირითადი ფუნქცია — ბურთის გათამაშება, გუნდის გაძღოლა — ვერ შეასრულა.

სხვათა ფონზე მოქმედებდა ჯაფარიძე კარგად, თორემ დანარჩენები ინერტიულები იყვნენ. აღსანიშნავია ზვიად ბაბიაშვილის უფერული თამაშიც, თითქმის ყველა საჰაერო დუელი დათმო და ვერც ჩვეული შესვლები გამოსდიოდა. ამიტომაც იყო, რომ მწვრთნელმა, ოთარ ხმელიძემ, სათადარიგო სკამზე უფრო მეტი დრო გაატარებინა, ვიდრე მოედანზე.

რუსთაველებზე სიტყვა გაგვიგრძელდა და ის კი არ უნდა დავივიწყოთ, რომ მათი უნიათო თამაშის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი თსუ იყო. სტუდენტებს უნაკლოდ არ უთამაშიათ. ასე რომ ყოფილიყო, არც ამდენ (109) ქულას მიიღებდნენ საკუთარ კალათში, მაგრამ რაც გამოუვიდათ, ესეც საკმარისი აღმოჩნდა მიზნის მისაღწევად.

შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით დაიწყო. ხან ერთი გუნდი გადიოდა წინ, ხანაც — მეორე. სტუდენტთაგან ქარაბაკი, წოწელია და მარკოიშვილი აქტიურობდნენ, რუსთაველთაგან კი ჯაფარიძის შეჩერება ჭირდა. მასთან ორთაბრძოლისას სულ მალე ხელაშვილი დაჯარიმდა მესამედ, თუმცა ამით თსუ-ს ნამდვილად არ უზარალია. შეცვლაზე შემოსული გოჩა არსიაშვილი კარგად ჩაერთო თამაშში, რამდენიმე საჭირო ბურთი მოხსნა, ერთი-ორი გარღვევაც გააკეთა და შედეგად თსუ-მ ათი ქულით (37:27) ჩამოიტოვა მეტოქე.

ეს უპირატესობა სტუდენტებმა ტაიმის ბოლომდე შეინარჩუნეს. ერთადერთი, მათთვის გულდასაწყვეტი ის მოხდა, რომ სულ რაღაც 40 წამში ქარაბაკი ორჯერ დაჯარიმდა, ჯამში კი ოთხი პერსონალური დაუგროვდა.

სურათი არც შესვენების შემდეგ შეცვლილა. თსუ უფრო და უფრო ზრდიდა სხვაობას თავის სასარგებლოდ. რუსთაველები კი მაინც არ ჩქარობდნენ გამოფხიზლებას. მატჩის დამთავრებას ათი წუთი უკლდა და ახლა ოც ქულას (73:93) აგებდნენ.

არაერთხელ ვყოფილვართ მოწმე, რომ „აზოტს" მსგავსი შეხვედრა სათავისოდ შეუბრუნებია, თუმცა გუშინ ყველაზე მეტი, რაც ამ გუნდმა შეძლო, ის იყო, რომ ერთხანს სხვაობა რვა ქულამდე შეამცირა. სულ მალე ქარაბაკმა და არსიაშვილმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენეს.

ბოლო ორი წუთიც „აზოტმა" ლიდერების — გოგობერიშვილისა და ჯაფარიძის გარეშე ჩაატარა, აქაოდა, რაღა აზრი აქვსო...

**გიორგი ბიქაშვილი**

4 ივნისი
თბილისი
ვერის ბაღი

**28 ტური**

**სდასუ 95:105 სტუ**

I ტაიმი 36:46

სდასუ: ორჯონიკიძე (21), არჩვაძე (21), ლ. აბულაძე (27), ხარაძე (5), მაჭარაძე (9); ქურდიანი (12)

სტუ: დ. მოისწრაფიშვილი (8), გ. გაგნიძე (14), გ. ნაცვლიშვილი (13), ცქიტიშვილი (9), მინაშვილი (11); სუხიშვილი (2), ტულუში (16), ოთიურიძე (11), ლოსაბერიძე (20), მიქაძე (1).

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ზურაბ აბაშიძე

კომისარი: ნოდარ დარახველიძე

**უშუქობის**, გაუთბობელი დარბაზებისა და სხვა მიზეზების გამო მატჩების მოგვიანებით დაწყებასა და სულაც გადადებას დიდი ხანია შევეგუეთ, მაგრამ ადრე დაწყება არ გვენახა და ამასაც მოვესწარით.

მატჩი 14.00 საათზე იყო დანიშნული, მაგრამ 15 წუთით ადრე დაიწყო. შეხვედრის კომისრის განცხადებით, აღნიშნული დროისათვის ორივე გუნდი მზად იყო და მათმა ხელმძღვანელებმა მოისურვეს დროზე ადრე შედგომოდნენ საქმეს.

მეტოქეები საქმეს კი შეუდგნენ, მაგრამ სდასუ ძალზე სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილიყო. მის შემადგენლობაში ძირითადის კალათბურთელებს აშკარად სჭარბობდნენ სათადარიგონი.

არც სტუ თამაშობდა სრული შემადგენლობით (არ იყვნენ რეზო ჩხეიძე და ვახტანგ ნაცვლიშვილი), მაგრამ სდასუსთან შედარებით იგი აშკარად უკეთეს სიტუაციაში იმყოფებოდა.

სწორედ ამით შეიძლება აიხსნას, რომ პირველი ნახევრის დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში სტუ-ს უპირატესობა აშკარა იყო, რაც 16-ქულიანი უპირატესობაში გამოიხატა (23:7). მართალია, აღნიშნული შეხვედრის შედეგი ვერცერთი გუნდის სატურნირო მდგომარეობაზე გავლენას ვერ მოახდენდა, მაგრამ სდასუ-მ გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხება იუკადრისა და ათამაშდა. მსროლელმა აბულაძემ სამქულიანებში მოსინჯა ძალა, ხოლო ორჯონიკიძე და არჩვაძე ინდივიდუალური გარღვევებით ცდილობდნენ სიტუაციის გამოსწორებას. სდასუ-მ ტაიმის მოგება ვერ შეძლო, მაგრამ აღნიშნული კალათბურთელების აქტიურობის შედეგად 16-ქულიანი სხვაობა 10 ქულამდე დაიყვანა.

შესვენების შემდეგ, მე-4 წუთზე სდასუ-მ პირველად შეძლო ანგარიშის 8 ქულამდე შემცირება. არც სტუ აპირებდა პოზიციების დათმობას და ცდილობდა მოპოვებული უპირატესობის ბოლომდე შენარჩუნებას. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ბოლო წუთები. როდესაც ანგარიში იყო 98:93 სტუ-ს სასარგებლოდ, შეხვედრის ყველაზე შედეგიან კალათბურთელს, სდასუელ ლადო აბულაძეს სამქულიანი გაუცუდდა. ეს რომ არ მომხდარიყო, შეიძლება მოვლენები პროგნოზების საპირისპიროდ განვითარებულიყო. სამაგიეროდ, ივარგა სტუს-ს თავდამსხმელმა ლოსაბერიძემ, რომელმაც ზედიზედ ორი სამქულიანით წერტილი დაუსვა მატჩის შედეგს.

**როლანდ ლაბუჩიძე**

**35 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 35 | 33 | 2 | 3180:2626 | 68 |
| ვითა(-1) | 35 | 28 | 7 | 2646:2300 | 62 |
| სტუ | 35 | 25 | 10 | 2940:2768 | 60 |
| თსუ | 35 | 22 | 13 | 3015:2777 | 57 |
| დინამო | 35 | 22 | 13 | 2780:2646 | 57 |
| სდასუ | 35 | 18 | 17 | 2676:2699 | 53 |
| მაკაბი | 35 | 11 | 24 | 2574:2773 | 46 |
| კოლხა | 35 | 7 | 28 | 2649:3072 | 42 |
| შევარდენი | 35 | 5 | 30 | 2510:3007 | 40 |
| ასკ | 35 | 4 | 31 | 1959:2261 | 39 |

## 36 ტური ანონსი

6 ივნისი. ვერის ბაღი. 11 საათი
**შევარდენი — თსუ**

6 ივნისი. ვერის ბაღი. 12. 30 საათი
**კოლხა — სდასუ**

6 ივნისი. ვერის ბაღი. 14 საათი
**ასკ — მაკაბი**

6 ივნისი. ვერის ბაღი. 15. 30 საათი
**სტუ — დინამო**

6 ივნისი. ვერის ბაღი. 17 საათი
**ვითა — აზოტი**

**ვინ** იქნება მეოთხე? — ამ კითხვას საბოლოო პასუხი ჩემპიონატის ბოლო, 36-ე ტურმა უნდა გასცეს. აბა, მაგას რა დიდი მისნობა სჭირდება, თსუ რომ „შევარდენს" მოუგებს, განა ძნელი მისახვედრიაო, მომიგებს მავანი, მაგრამ ნუ ვიჩქარებთ, ცოტაც მოვითმინოთ, პროგნოზების თვალსაზრისით ხანდახან რაგბის ბურთიც მრგვალია.

თუ ისე მოხდა, რომ სისხამ დილის შეხვედრაში თსუ-მ მართლაც მოუგო „შევარდენს", ამით პლეი ოფის მეოთხე საგზურსაც დაეუფლება. სამაგიეროდ, სტუ — „დინამოს" დაპირისპირებას აზრი დაეკარგება. აქ ყველაფერი იმან გადაწყვიტა, რომ მეორე წრეში „დინამოს" თსუსთან მოგება ფედერაციამ 0:20 წაგებით შეუცვალა და კვირას მოსეს ბიჭებმა რომც მოიგონ, ურთიერთშეხვედრებში ბურთების უარესი მაჩვენებელი მათ ოთხეულში მოხვედრის შესაძლებლობას უსპობს.

თსუ-ს „აზოტთან" რომ წაეგო, მაშინ პლეი ოფში გასვლის მეტი შანსი „დინამოს" ექნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა და ახლა ყველაფერი თავიანთ თავს დააბრალონ. პირველ წრეში „მაკაბისთან" რომ აგებდნენ, აბა, რა ეგონათ.

თავის მხრივ „მაკაბის" არც ის ქულა წაადგა რამეში და არც კვირას ასკ-ს დამარცხება მოუტანს დიდ სიკეთეს. არმიულმა კლუბმაც, რა ხანია, დაუკრა გამოსამშვიდობებელი მარში — უმაღლესი ლიგიდან გავარდა.

არაფრისმომცემია „კოლხა" — სდასუ-ს შეხვედრაც. ეს გუნდები ამ ოთხ დღეში მეორედ შეხვდებიან. სულ ახლახან, 2 ივნისს, 27-ე ტურის გადადებულ მატჩში შეეჭიდნენ, სადაც სდასუ-მ 7 ქულით იმარჯვა.

„ვითა" — „აზოტი". აი, შეხვედრა, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი არამცთუ ქულები და ადგილები, არამედ წმინდა სპორტული პრინციპებია. შარშან ფინალში ოქრო ვერცხლად რომ მიქციე, ეგრე არ უნდაო და მესამე წრეში „აზოტმა" სულ ერთიანად ამოანთხია ბოღმა — 27 ქულით დაამარცხა ექვსგზის ჩემპიონი.

„ვითა" ნამდვილად არ გახლავთ ის გუნდი, ასეთი წყენა შეირჩინოს. ჰოდა, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მხოლოდ ამიტომ უნდა გადადონ თავი ზურაბ ტომარაძის შეგირდებმა.

ერთიცაა. ეს მატჩი არა მარტო 36-ე ტურის, არამედ რეგულარული ჩემპიონატის ბოლო შეხვედრაცაა და იქნებ ისეთი თვალსასეირო გამოდგეს, აქამდე ნანახი თუ განცდილი დაგვავიწყოს.

**საბა ესებუა**

## მოსეშვილი ჯერ მზად არ არისო

**გუშინ** კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის დახურულ სხდომაზე გადაწყდა, რომ ჩემპიონატის პლეი ოფი 14 ივნისს დაიწყება.

აღმასკომს ჯერ ნაკრების მთავარი მწვრთნელის ლევან მოსეშვილის მოხსენება უნდა მოესმინა, შემდეგ კი მისი ეროვნული გუნდის სათავეში ყოფნა-არყოფნაზე ემსჯელა. ფედერაციის გენმდივნის აკაკი მეგრელაძემ ცნობით, ეს საკითხი სამომავლოდ გადაიდო — პრეზიდენტ გოგი ქათამაძეს უთქვამს, მოსეშვილი ახლა საამისოდ მზად არ არისო.

გუშინვე 18-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნეს ნუგზარ ჭეიშვილი. მას ნიკო ჩერქეზიშვილი დაეხმარება. შეგახსენებთ, რომ ქართველი 18-წლამდელები აგვისტოში სლოვაკეთში, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას.

## არ მელოდით?!
## MVP კარლ მელოუნია!



1998-1999 წლების სეზონის უძვირფასესი მოთამაშე კარლ მელოუნი

**სპეციალისტთა** უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ 1998-99 წლების სეზონის უძვირფასესი მოთამაშე, ანუ MVP (MOST VALUABLE PLAYER) ან სანტანტონიოელი ტიმ დანკანი გახდებოდა, ან ფილადელფიელი ალენ აივერსონი. თუმცა, გამოკითხვამ პროგნოზები თავდაყირა დააყენა:

„იუტა ჯაზის" თავდამსხმელი კარლ მელოუნი დაასახელეს 1998-99 წლების სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ.

მელოუნმა 827 ქულა დააგროვა. ამერიკისა და კანადის კალათბურთზე მწერალმა 118 ჟურნალისტმა მისთვის 44 პირველი, 29 — მეორე, 31 — მესამე, 8 — მეოთხე და 5 — მეხუთე ადგილი გაიმეტა. მეორე იყო „მაიამი ჰითის" ცენტრი ალონზო მურნინგი 736 ქულით (26 პირველი ადგილი), მესამე — „სან ანტონიო სფურზის" თავდამსხმელი ტიმ დანკანი 740 ქულით (30 პირველი ადგილი). მათ მიჰყვნენ ალენ აივერსონი (ფილადელფია 319 ქულა, 5 პირველი ადგილი), ჯეისონ კიდი (ფინიქსი, 159 ქულა, 2 პირველი ადგილი), შაკილ ონილი (ლეიკერსი, 89 ქულა, 1 პირველი ადგილი).

კარლ მელოუნმა ამ სეზონის 49 მატჩში საშუალოდ 23,8 ქულა, 9,4 მოხსნა, 4,1 პასი და 1,27 ჩაჭრა გააკეთა. ლიგის ბომბარდირებში მელოუნი მესამე ადგილზე გავიდა.

უძვირფასესი მოთამაშის ჯილდო ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის პირველი კომისრის, მორის პოდოლოფის სახელობისაა. იგი 1955-56 წლების სეზონიდან თამაშდება. კარლ მელოუნი მეცხრე მოთამაშეა, ვინც უძვირფასესი მოთამაშე ორჯერ ან მეტჯერ გახდა. პირველად ეს 1996-97 წლების სეზონში მოახერხა. ყველაზე მეტჯერ MVP ყოფილა ქარიმ აბდულ ჯაბარი (ექვსჯერ), შემდეგ მოდიან ბილ რასელი და მაიკლ ჯორდანი (ხუთ-ხუთჯერ), უილტ ჩემბერლენი (ოთხჯერ), მოუზეს მელოუნი, ლარი ბერდი, მეჯიქ ჯონსონი (სამ-სამჯერ), ბობ პეტიტი, კარლ მელოუნი (ორ-ორჯერ).

საქართველოს ჩემპიონატი. მეშვიდე ტურის ანონსი

# ვინ უფრო ღონიერია: დათვები თუ არმია?

თბილისი. 5 ივნისი

**ასკ — დათვები**

**რუსთავი — უნივერსიტეტი**

ქუთაისი. 6 ივნისი

**აია — ლოკომოტივი 2**

პირველობის მონაწილე ცხრა გუნდიდან წაუგებლად ჩემპიონატს მხოლოდ სამი განაგრძობს და დღეს შესაძლოა მათი რიცხვი ორამდე შემცირდეს. ასკ და „დათვები" — დღემდე არავის უწვნევია დამარცხების სიმწარე, თუმცა, ბათუმელებისგან განსხვავებით, რომლებმაც ხუთი მატჩიდან ხუთივეში იმარჯვეს, არმიელებს მხოლოდ სამჯერ მოუწიათ მოედანზე გასვლა და აქედან ორჯერ მოიგეს, ერთხელაც ზორდელებთან ფრეს დასჯერდნენ. როგორ დამთავრდება დღევანდელი დაპირისპირება, ამის წინასწარ თქმა ძნელია. ისე კი, სტუმრებს გამარჯვების მეტი შანსი აქვთ, თუმცა მეექვსე ტურის „ზორდა" — ასკ-ს მატჩის მნახველმა შეიძლება ასე არ იფიქროს. ანგარიშის მიუხედავად (7:7), შეხვედრაში უპირატესობას არმიელები ფლობდნენ.

დღეს კიდევ ერთი მატჩი გაიმართება — „რუსთავი" ვარკეთილში უნივერსიტეტს „უმასპინძლებს", რადგან „რუსთავი" — ქუთასის „აიას" შეხვედრაში მომხდარი ინცინდენტის გამო დისკვალიფიცირებულ რუსთავის სტადიონს ჯერაც არ გასვლია სასჯელის ვადა. რაც შეეხება თავად მატჩს, მას, ალბათ, სტუდენტები მოიგებენ. დღემდე ერთადერთი თამაშის მომგებ რუსთაველებს ასევე ერთი გამარჯვების მქონე სტუდენტთა დამარცხების ძალა არ შესწევთ. თან უნივერსიტეტი, როგორც ყოველთვის გოჩა ლაბაძის წყალობით აუტებს იშვიათად აგებს.

კვირას ამ ტურის კიდევ ორი მატჩი უნდა გამართულიყო, მაგრამ მიზეზთა გამო მხოლოდ ერთი, „აია" — ლოკომოტივი 2-ის დაპირისპირება შედგება. შეიძლება ითქვას, ამ პაექრობის შედეგის გამოცნობა ტურში ყველაზე ძნელია. ორივე მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალის გუნდია და ამ შემთხვევაში, ალბათ, ბევრს გადაწყვეტს საკუთარი მოედნის ფაქტორი. ამ მხრივ კი უპირატესობა ქუთაისელთა მხარესაა. სატურნირო ცხრილს თუ გადავხედავთ, რკინიგზელები ოდნავ უკეთეს მდგომარეობაში არიან, მაგრამ არა გვგონია, ამ ორ გუნდს შორის კლასში იმხელა სხვაობა იყოს, დარწმუნებით შეიძლებოდეს იმის თქმა, რომელი მოიგებს. თუ ქუთაისელები გაიმარჯვებენ, მაშინ, უკეთეს შემთხვევაში, შესაძლოა ქულამდე შეამცირონ მეტოქესთან სხვაობა. ის ერთი ქულა კი პატარა რკინიგზელებმა თავიანთ უფროს თანაკლუბელებთან დაპირისპირებაში ირგუნეს, თუმცა მას, რაც მოედანზე ხდებოდა, დაპირისპირება პირობითად შეიძლება ეწოდოს — „ლოკომოტივი 2"-მა იმდენი ლელო გაიტანა, რამდენიც „ლოკომოტივი 1"-ს მოესურვა, ანუ ზუსტად იმდენი, პრემიალური ქულის მოსაპოვებლად რომ იყო საჭირო.

კვირას გასამართ კიდევ ერთ მატჩში ერთმანეთს „ზორდა" და „ყოჩები" უნდა შეხვედროდნენ. თუმცა ეს მატჩი, სავარაუდოდ, ოთხშაბათს, 9 ივნისს ჩატარდება.

**პაატა თოთაძე**

**სადღეისო ვითარება**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 1 | 6 | 6 | 0 | 0 | 259:76 | 42:6 | 5 | 17 |
| დათვები | 5 | 5 | 0 | 0 | 229:20 | 32:2 | 5 | 15 |
| ყოჩები | 4 | 3 | 0 | 1 | 216:38 | 33:4 | 3 | 9 |
| ასკ | 3 | 2 | 1 | 0 | 62:24 | 10:3 | 2 | 7 |
| ზორდა | 4 | 1 | 1 | 2 | 43:74 | 6:8 | 1 | 4 |
| ლოკომოტივი 2 | 6 | 1 | 0 | 5 | 72:275 | 10:45 | 2 | 4 |
| უნივერსიტეტი | 5 | 1 | 0 | 4 | 61:134 | 7:21 | 1 | 3 |
| რუსთავი | 5 | 1 | 0 | 4 | 45:244 | 4:36 | 0 | 2 |
| აია | 4 | 0 | 0 | 4 | 36:132 | 2:21 | 0 | 0 |

# შვიდკაცა კაცურად ბურთაობს

ამ ბოლო დროს ჩვენმა მორაგბეებმა მეტ-ნაკლებ წარმატებებს შეგვაჩვიეს. ეროვნულ ნაკრებს ხომ ერთი ნაბიჯი დააკლდა მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპამდე. ახლაა და, ჩვენი შვიდკაცა ნაკრები ყოჩაღობს. ევროპაში ტურნემოლეულმა ბორჯღალოსნებმა აზიაში გადაინაცვლეს და „იერუსალიმის შვიდკაცაში" მიიღეს მონაწილეობა. დეტალები ვერა, მაგრამ ის კი შევიტყვეთ, რომ ქართველებს ფინალამდე ყველა მეტოქისთვის უჯობნიათ, ნახევარფინალში სულაც სამოელები დაუმარცხებიათ, მაგრამ ფინალში ხელი მოსცარვიათ და მსოფლიოს ჩემპიონებთან, ფიჯელ მორაგბეებთან დამარცხებულან.

**პაატა თოთაძე**

# ჩვენი დამჩაგვრელიც დაიჩაგრა



REUTERS ქარტოთეკიდან

რუმინელებმა ვერც ტომა კასტანიედი შეაჩერეს და ვერც სხვა ფრანგები

**საფრანგეთი 62:8 რუმინეთი**

საფრანგეთი: სადურნი (მოლა 41), ბერნა-სალი, ლამეზონი, დელმოტი (ლაბი 77), სარამეა, კასტანიედი (მერსერონი 60), გალტიე (მინიონი 53), მანი, აკა, მალიე, ბრუზე (პელუ 46), ბენაზი, მარკონე (ტურნერი 7, დალ მაზო 41), იბანესი, კრენკა

9ლ — კრენკა (6), გალტიე (11), დელმოტი (25, 45), ბერნა-სალი (37), დალ მაზო (43), მოლა (49, 68), სარამეა (56); 7გ — ლამეზონი (6, 11, 37, 45, 49, 56, 68); 1ს — ლამეზონი (23)

რუმინეთი: კიორეანუ, ჩიოლაკუ, ბრეზოიანუ, გონტინეაჩი (ლუპუ 58), დუმიტრუ, ვუსეკი მიტუ, სეპტარი (ბალანი 8), პეტრაჩე, კოროდეანუ, ჩიორასკუ, კონსტანტინი, სტანი (პოპეანი 70), მავროდინი (როტარუ 66), ნიკულაე

1ლ — ჩიორასკუ (74); 1ს — მიტუ (30)

თავისი სამხრეთნახევრსფერული ტურნეს დაწყებამდე საფრანგეთის მორაგბეთა ნაკრებმა ხუთშაბათს კასტრში რუმინეთს უმასპინძლა. „მამლებმა" მსოფლიოს თასის შესარჩევ ეტაპზე ბორჯღალოსნების მჯობნი რუმინელები არ დაინდეს და უმოწყალოდ გააცამტვერეს. ამ მატჩში მასპინძელთა ნაკრებს აბდელატიფ ბენაზი, ოლივიე მანი და ჟან-ლუკ სადურნი დაუბრუნდნენ და დაამტკიცეს კიდეც, რომ მშვენიერ ფორმაში მყოფები გუნდისთვის მეტად საჭირონი არიან.

ხუთი ერის უკანასკნელი პირველობის ბოლოადგილოსან ნაკრებს განახლების სიო მოხდენია. თუმცა ჯერ კიდევ ნაადრევია იმაზე საუბარი, რომ ფრანგები ძველებურად ძლიერნი არიან და შარშანდელის და შარშანწინდელის დარი გუნდი შეკრეს, რომელმაც ხუთ ერზე ზედიდეზ ორჯერ დიდი სლემი მოიგო.

ჟან-კლოდ სკრელას შეგირდებმა რუმინელებს ცხრა ლელო გაუტანეს და მხოლოდ ერთი გაუშვეს. პირველი ტაიმის შემდეგ მასპინძლები 29:3-ს იგებდნენ. მეორე ორმოცწუთეულიც მათი დიდი უპირატესობით წარიმართა. ფრანგები ყველაფერში სჯობდნენ სტუმრებს, რომლებმაც პრესტიჟის ლელო მაშინღა გაიტანეს, მამლებს ოდნავი დაღლა რომ დაეტყოთ. ეს კი შეხვედრის ბოლოს მოხდა.

ორშაბათს ფრანგი მორაგბეები ეკვატორს გადაკვეთენ და სამოას, ტონგასა და ახლ ზელანდიას გაუმართავენ ტესტ-მატჩებს. აი, სწორედ მაშინ გამოჩნდება, თუ რისი მაქნისია საფრანგეთი.

„ნაკრებში დაბრუნებამ ძალიან გამახარა. ამ დღეს კარგა ხანს ველოდი. კმაყოფილი ვარ, რომ მთელი მატჩი მაღალ დონეზე ჩავატარე. ახლა სამხრეთულ ტურნეში ვცდი ძალას და ვეცდები, მსოფლიოს ჩემპიონატზე წასასვლელთა რიგებში ადგილი მოვიპოვო" — თქვა თამაშის შემდეგ წარმოშობით მაროკოელმა, ერთი ხანობა „მამლების" კაპიტანმა აბდელატიფ ბენაზიმ.

**გაიოზ თალაქვაძე**

## ველორბოლა

# მარკოსთვის ისევ ვარდობისთვეა

82 Giro d'Italia

„ჯიროს" საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე მყოფმა მარკო პანტანიმ (იტალია, მერკატონე უნო) ტურნირის მეცხრამეტე ეტაპი, რომლის ფინიშიც ზღვის დონიდან 1760 მეტრ სიმაღლეზე იყო, საგრძნობი უპირატესობით მოიგო.

ბოლო ალმართზე, მთებში არაჩვეულებრივად ძლიერმა იტალიელმა დიდი დროით აჯობა მოწინააღმდეგეებს. საერთო ჩათვლაში პანტანის მდევარმა პაოლო სავოლდელიმ „მეკობრესთან" ორწუთნახევარი წააგო ბოლო ხუთ კილომეტრზე ანუ ყოველ კილომეტრზე დაახლოებით ოცდაათი წამი (!). რაც შეეხება ფრანგ ლორან ჟალაბერს, მან ოთხ წუთზე მეტი დათმო.

თავისი წლევანდელი მესამე, სულ კი მეშვიდე ჯიროულ წარმატებას პანტანიმ იოლად მიაღწია. მისმა თანაგუნდელებმა (პოდენზანა, ველო, ბორგერეზი, ზაინა) იგი დიდი ხნის მანძილზე მაღალ, მაგრამ თანაბარ ტემპში ატარეს. ბოლო, შვიდკილომეტრიანი ალმართის წინ კი „მეკობრის" შეტევა მისმა ერთგულმა თანამებრძოლმა ენრიკო ზაინამ მოამზადა.

ესპანელი რობერტო ერასის მიერ სიჩქარის მომატება თითქოს პანტანის იერიშის დაწყებას მოასწავებდა. ლორან ჟალაბერი უკვე დაღლილი ჩანდა. სხვებმაც ვერაფერი გააწყვეს საშუალოდ 9-15 პროცენტიან ალმართზე და... ჯილბერტო სიმონიმ, ივან გოტიმ და რობერტო ერასმა მხოლოდ მეორე ადგილისათვის გააჩაღეს ბრძოლა, რომელიც სიმონის გამარჯვებით დასრულდა.

„ჯირო" ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, თუმცა ამხელა უპირატესობა უკვე საკმაოდ მშვიდად ყოფნის საშუალებას მაძლევს — თქვა ვარდისფერმაისურიანმა მარკო პანტანიმ.

**გაგი გურული**





მარკო პანტანიმ თავი დაიარხეინა

**მეოცე ეტაპი**

პრედაზო — მადონა დი კამპილიო (175 კმ)

1. მარკო პანტანი (იტალია, მერკატონე უნო) 4სთ, 39წთ, 59წმ
2. მასიმო გუდოლი (იტალია, ლამპრე)
3. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე)
4. ჯილბერტო სიმონი (იტალია, ბალანი)
5. ივან გოტი (იტალია, პოლტი)

**საერთო ჩათვლა**

1. მარკო პანტანი 89სთ, 22წთ, 58წმ
2. პაოლო სავოლდელი (იტალია, საეკო) +5,38 წთ
3. ივან გოტი +6,12
4. ლორან ჟალაბერი +6,39
5. დანიელ კლავერო (ესპანეთი, ვიტალიციო) +9,51
6. ჯილბერტო სიმონი +9,52

## ხელბურთი



REUTERS ქარტოთეკიდან

ნორვეგია — ხორვატია. ნორვეგიელმა ტორმოდ მოლდესტალმა (ბურთით) ხორვატები გვარიანად გააწვალა

# ბრაზილიამაც მოიგო?!

მაშინ, როცა დიდი სახელბურთო ქვეყნები (გერმანია, რუსეთი, ესპანეთი) მსოფლიოს ჩემპიონატზე მატჩებს იოლად იგებენ, საშუალოებს ძალიან უჭირთ.

პირველ ტურში რუსთაგან განადგურებული (27:35) ნორვეგია ხორვატების წინააღმდეგ რიგიანად უნდა გარჯილიყო, რათა მერვედფინალში გასვლის შანსი შეენარჩუნებინა. ნორვეგიელებმა, შეიძლება ითქვას, მიზანს მიაღწიეს, ოლიმპიურ ჩემპიონებთან მიღწეული ფრე (23:23) სკანდინავიელებს ნაღდად აძლევთ ხელს. ხორვატები მეტოქეზე უკეთ ნამდვილად არ გამოიყურებოდნენ. მათი თამაშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ექსიუგოსლავიელებს საუკეთესო შვიდეულში (რაც სიდნეის ოლიმპიადის საგზურს იძლევა) მოხვედრა საკმაოდ უნდა გაუჭირდეთ.

რაც შეეხებათ ეგვიპტელებს, მათაც მოსალოდნელზე მეტად იწვალეს, სანამ კუბელებს აჯობებდნენ. ფიდელ კასტროს ქვეშევრდომებმა ფელიქს რომეროს წინამძღოლობით ბევრი იბრძოლეს, მაგრამ ქომაგთა ღრიანცელით შეგულიანებულმა მასპინძლებმა მაინც თავისი გაიტანეს.

1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მარცხისთვის დანიელებმა სრულფასოვანი რევანში აიღეს ალჟირელებზე — 28:18. ვიკინგებმა მთელი თამაში უმაღლეს დონეზე ჩაატარეს და ჯგუფიდან გასვლა, ფაქტობრივად, დაიბევეს.

ამ ტურში, ალბათ, ყველაზე საინტერესო შეხვედრა საფრანგეთსა და კორეას შორის გაიმართა. ფრანგებმა თამაში ძალიან სუსტად დაიწყეს და პირველი ბურთი მხოლოდ მე-7 წუთზე გაიტანეს. ამ დროისთვის აზიელები უკვე 4:1-ს იგებდნენ და თუ ანგარიშში სხვაობა უფრო მეტი არ იყო, ეს მთლიანად ფრანგთა მეკარის კრისტიან გოდენის დამსახურება გახლდათ.

ამის მერე „ლურჯებმა" ჯეკსონ რიჩარდსონის კარგი თამაშის წყალობით მდგომარეობა გამოასწორეს და ტაიმი ერთი ბურთით — 13:12 მოიგეს. შესვენების შემდეგაც შეხვედრა ფრანგთა უპირატესობით წარიმართა და გამარჯვებაც შორს აღარ იყო, მაგრამ ერთ მომენტში მათ დროის პატარა მონაკვეთი 0:3 წააგეს და წინ კვლავ კორეელები გავიდნენ — 22:21. თუმცა გოდენის მიერ რამდენიმე ძნელი ბურთის მოგერიებით და კორეელთა უხეში თამაშის გამო, რასაც ორწუთიანი გაძევებები მოჰყვა, მატჩი მაინც ევროპელთა გამარჯვებით დასრულდა — 28:25.

ეს ტური იმითაც იყო დასამახსოვრებელი, რომ ბრაზილიამ ისტორიული გამარჯვება მოიპოვა საუდის არაბეთთან — 22:21. აქამდე ბრაზილიელებს მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ერთი მეტოქეც ვერ დაემარცხებინათ.

*გუშინდელი შეხვედრების ანგარიშებს მე-16 გვერდზე იხილავთ.*

**გაიოზ თალაქვაძე**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **A ჯგუფი** | | | | | | |
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 65:43 | 4 |
| დანია | 2 | 2 | 0 | 0 | 48:37 | 4 |
| ტუნისი | 2 | 1 | 1 | 0 | 46:42 | 3 |
| მაროკო | 2 | 0 | 1 | 1 | 42:43 | 1 |
| არგენტინა | 2 | 0 | 0 | 2 | 38:54 | 0 |
| ალჟირი | 2 | 0 | 0 | 2 | 42:62 | 0 |
| **B ჯგუფი** | | | | | | |
| გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 70:50 | 4 |
| ეგვიპტე | 2 | 2 | 0 | 0 | 59:48 | 4 |
| მაკედონია | 2 | 1 | 0 | 1 | 53:57 | 2 |
| ბრაზილია | 2 | 1 | 0 | 1 | 41:49 | 2 |
| საუდეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 42:50 | 0 |
| კუბა | 2 | 0 | 0 | 2 | 54:65 | 0 |
| **C ჯგუფი** | | | | | | |
| უნგრეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 66:41 | 4 |
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 71:50 | 4 |
| ხორვატია | 2 | 1 | 1 | 0 | 48:42 | 3 |
| ნორვეგია | 2 | 0 | 1 | 1 | 50:58 | 1 |
| ნიგერია | 2 | 0 | 0 | 2 | 48:70 | 0 |
| ქუვეითი | 2 | 0 | 0 | 2 | 35:57 | 0 |
| **D ჯგუფი** | | | | | | |
| იუგოსლავია | 2 | 2 | 0 | 0 | 83:47 | 4 |
| შვედეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 67:41 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 60:40 | 4 |
| კორეა | 2 | 0 | 0 | 2 | 45:53 | 0 |
| ავსტრალია | 2 | 0 | 0 | 2 | 37:72 | 0 |
| ჩინეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 46:85 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევერესტი მაინც ევერესტია!



1999 წლის 12 მაისი. საქართველოს მთამსვლელები დედამიწის უმაღლეს წერტილზე



ევერესტის ზემოთ ულურჯესი ცა იყო, ქვემოთ კი ღრუბლების უსასრულო ოკეანე

ორთვენახევრის განმავლობაში ჩვენი მკითხველი თვალ-ყურს ადევნებდა დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ექსპედიციის „მშვიდობიანი კავკასია 99“-ის წევრთა ლაშქრობას. ამის თაობაზე საკმაოდ დაისტამბა ინფორმაციები, რეპორტაჟები, ინტერვიუები და ფოტონარკვევები, მაგრამ მოსათხრობიც ბევრი დარჩა. ამიტომ გთავაზობთ ინტერვიუს მესტიელ აფი გიგანთან, თბილისელ ბიძინა გუჯაბიძესთან, ლევონ სარქისოვთან და რუსთაველ ბენო ქაშაკაშვილთან (ექსპედიციის მეთაური), რომლებიც ევერესტზე (ჯომოლუნგმა) ავიდნენ.



ჩევანგ დურჯი და ნავანგლი ევერესტზე

**— როგორ ფიქრობთ, თქვენთვის ეს ყველაზე რთული ასვლა იყო?**

*ქაშაკაშვილი:*

— კარგია, რომ ასე გვეკითხებით და არა ისე, როგორც ჩვეულებრივ სხვებმა იციან, რომელია ყველაზე მაღალი, სადაც ასულხართო. ამგვარი კითხვები ძალზე მაღიზიანებს. დილეტანტები ფიქრობენ, რომ მთამსვლელის ოსტატობა მის მიერ დალაშქრული მწვერვალის სიმაღლის მიხედვით იზომება. ამიტომ ვფიქრობდი, აი, ავალ ჯომოლუნგმაზე და ამგვარ რამეს აღარ მკითხავენ-მეთქი. მე და აფი გიგანმა შარშანწინაც ვცადეთ ჯომოლუნგმაზე ასვლა, ოღონდ ჩრდილოეთიდან და 8200 მეტრამდე ავაღწიეთ, მაშინ მიზნის მიღწევაში უამინდობამაც შეგვიშალა ხელი. კაცმა რომ თქვას, ალბათ სათანადოდ მომზადებულებიც არ ვიყავით. რაც შეეხება უშუალოდ თქვენს კითხვას, ჩვენი ჯგუფის წევრებს გაუვლიათ ტექნიკური თვალსაზრისით გაცილებით რთული მარშრუტები, მათ შორის უმაღლესი, მე-6 კატეგორიისა. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება ბიძინა გუჯაბიძესა და ლევ სარქისოვს, მერე აფი გიგანსა და მე, ჩვენი ჯგუფის წევრებს, სხვადასხვა შემადგენლობით ან ერთად გაგვივლია ერთმანეთზე რთული და პრესტიჟული მარშრუტები, ვთქვათ უშბაზე, ჩატინის ჩრდილოეთ კედელზე, პობედაზე, მაკ კინლიზე, ელ კაპიტანზე...

**— ჰიმალაის მასშტაბები კავკასიონის სიმაღლემდე რომ შევამციროთ, რომელ მწვერვალზე ასვლას დაემსგავსებოდა ჯომოლუნგმაზე ლაშქრობა?**

*სარქისოვი:*

— ალბათ მყინვარწვერზე ან იალბუზზე ასვლას. ოღონდ პატარა კედლოვანი მარშრუტის დამატებით. მაგრამ ეს ძალიან ცუდი შედარებაა. ჯომოლუნგმა მაინც ყველაზე განსხვავებული, უშველებელი მწვერვალია, თითქმის ცხრაკილომეტრიანი სიმაღლისა, სადაც კაცი ისე მოძრაობს, როგორც შენელებულ კინოკადრებზე.

*გუჯაბიძე:*

— ჯომოლუნგმაზე მდგომ კაცს საექსპერიმენტოდ რომ ეკითხებიან, ორს რომ ორი მივუმატოთ, რამდენი იქნებაო, პასუხს 16-18 წამის დაგვიანებით იძლევა და ზოგჯერ არასწორადაც. ასეთი რამ სხვაგან არ ხდება. ამიტომაც მწვერვალზე ცოტა თუ ადის. წლეულს კი შედარებით იღბლიანი სეზონი გამოდგა. სამხრეთიდან ხუთი თუ ექვსი კაცი დაიღუპა, მწვერვალზე კი დაახლოებით 26 ავიდა. 1977 წელს კიდევ 18 კაცი იმსხვერპლა ჯომოლუნგმამ, იქიდან კი გაცილებით ცოტამ გადმოიხედა.

*გიგანი:*

— სხვათა შორის, 8600 მეტრიდან, როცა გადამწყვეტ იერიშზე ღამით გავედით, ჩვენს გარდა იქიდან კიდევ 40-45 კაცი დაიძრა. უმთვარო ღამე იყო. დილის 4-5 საათზე კი ისეთი ძლიერი ქარი ამოვარდა და ისეთი ყინვა იყო, რომ ამსვლელთა დაახლოებით 80 პროცენტმა პირი იბრუნა და დაეშვა. 9-10 საათზე ქარი იმ დონემდე ჩაცხრა, რომ ასვლაში სრულიად აღარ გვიშლიდა ხელს. ჩვენ ორ შერპთან ერთად ავედით. იმ დღეს მიზანს კიდევ ერთმა ინგლისელმა და მისმა თანმხლებმა სამმა შერპამა მიაღწია.

**— როცა სამხრეთიდან მოიერიშე მთამსვლელთა ანგარიშებს ვკითხულობთ, ყველა ერთხმად ამბობს, მწვერვალისკენ მიმავალ გზაზე ყველაზე მძიმე ადგილი ქუმბუს მყინვარია. ამ მყინვარის სხვადასხვა მონაკვეთს სახელებიც შესაბამისი ჰქვია: „პოლარის საშინელება“, „ატომური ბომბის რაიონი“...**

**სახელგანთქმული ინგლისელი მთამსვლელი კრის ბონინგტონი ამბობდა, კხუმბუს მყინვარის გავლა იგივეა, რაც დანაღმული ველის გავლით შუასაუკუნეების ციხესიმაგრეების აღება და ჩასაფრებულთაგან თავის დაღწევაო.**

*გიგანი:*

— მართალი უთქვამს ბონინგტონს. ამ მყინვარის გავლა მართლაც ყველაზე რთული ან ერთ-ერთი ყველაზე რთულია. წარმოიდგინეთ, რომ დამსხვრეული აისბერგების გროვაში მიიკვლევთ გზას. იქ, როგორც კავკასიონზე, ბოლო დროს უთოვლო ამინდებია. ამიტომ ისედაც მოძრავი მყინვარი უფრო შფოთავს და ბორგავს. ხშირად გაისმის საშინელი ჭახანის ხმა, რაც ახალი ნაპრალის გაჩენის მაუწყებელია. ნაპრალები სხვადასხვა ზომისაა, ვთქვათ 1-დან 15 მეტრამდე. მათზე ერთმანეთზე გადაბმული, ხიდივით გადებული დურალუმინის კიბეებით გადავდიოდით. ოღონდ მათზე გადასვლა იოლი არ არის, როცა 20 კილოგრამიანი ზურგჩანთა გამძიმებს, ფეხსაცმელზე წრიაპები გაქვს ამოკრული, ხახადაღებულ ნაპრალს კი ძირი არ უჩანს და სიღრმიდან მხოლოდ სიბნელე იმზირება. დურალუმინის კიბეებს, რაც საკმაოდ ძვირია, შერპები ყიდულობენ და ამ მონაკვეთსაც ისინი ამუშავებენ, რისთვისაც თითოეული ექსპედიციის თითო წევრისაგან 200-250 დოლარს იღებენ.

ეს მყინვარი საბაზო ბანაკიდან გასვლისთანავე იწყება და 6100 მეტრის სიმაღლეზე თავდება, სადაც პირველი საიერიშო ბანაკია. 6400 მეტრიდან ძალზე მომქანცველი გზა იწყება, სავალი წელამდე თოვლში უნდა კვალო. მაგრამ ყველაზე დაძაბულად კაცი 8400 მეტრიდან მიიკვლევს გზას, სადაც ციცაბო ქედია და იქიდან კაცი ნეპალის მხარესაც ხედავს და ტიბეტისასაც.

*გუჯაბიძე:*

— ჯომოლუნგმაზე იოლი მარშრუტი არ არსებობს. შედარებით იოლად დასახელებული ორი გზაა, სწორედ ისინი, რომლებიც ახლა ჯომოლუნგმას ორთავ მხარეს ქართველებმა გავიარეთ. თუმცა, სხვა, რთული მარშრუტით ასვლა არც სხვა ექსპედიციებს უცდიათ. იმ რთული მარშრუტებით დღემდე მხოლოდ პირველგამვლელები ასულან, ერთ-ორ მარშრუტზე კი მხოლოდ თითოჯერ გამეორებულა ლაშქრობა. იმ გზებით ასვლა ხუთჯერ მეტ ძალასა და თანხას მოითხოვს.

**— მწვერვალზე რა ნახეთ? ოღონდ, ამას იმიტომ კი არ გეკითხებით, რომ დავრწმუნდეთ, მართლა იყავით თუ არა იქ უბრალოდ, 1982 წელს, როცა საბჭოთა მთამსვლელებმა სახელგანთქმულ რაინჰოლდ მესნერს ანალოგიურ კითხვაზე უპასუხეს, მწვერვალზე 1975 წელს ჩინელთა მიერ დატოვებული გეოდეზიური სამფეხა შტატივი ვნახეთ, ჩვენ კი ჟანგბადის ცარიელი ბალონები დავტოვეთო. მესნერმა თქვა, იქ არაფერი არ უნდა დაგეტოვებინათ და ის სამფეხაც გადმოსაგდებია, რადგან მწვერვალი წმინდა ადგილიაო.**

*ქაშაკაშვილი:*

— მწვერვალზე ასვლა-არასვლის თაობაზე ეჭვი ყოველთვის არის. ერთი ექსპედიციიდან რამდენადაც ნაკლები მთამსვლელი მიაღწევს მიზანს, მეორე გუნდიდან ამსვლელი ალპინისტებისთვის მით უფრო პრესტიჟულია გამარჯვება. ამიტომ მწვერვალიდან ჩამოსულებს ზოგჯერ შეფარვით, ზოგჯერ პირდაპირ ეკითხებიან, თუ რა ნახეს მწვერვალზე, რა დაინახეს ირგვლივ, ვინ, სად და რა დროს შეხვდათ ბოლო მონაკვეთზე. ამას გარდა, ითხოვენ მწვერვალზე გადაღებულ ფოტოსურათებს, ვიდეოფირების გასინჯვას. რა თქმა უნდა, ასეთი ეჭვი ჩვენს მიმართაც იქნებოდა, მაგრამ „დაკითხვის“ მერე საეჭვოც აღარაფერი რჩებოდა. ჩვენი ასვლისას ზემოთ მხოლოდ ლურჯზე ლურჯი ცა იყო, ქვემოთ კი ღრუბლების უსასრულო ოკეანე გაშლილიყო. იქიდან ამოზიდულიყვნენ რვაათასიანები ლჰოცზე და მაკალუ, შვიდიათასიანები ნუფცზე და პუმორი. ღრუბელი გახლეჩილიყო ჩრდილოეთით, საიდანაც [illegible] ექსპედიციების წევრებსაც ვნახეთ. რონგბუკის მყინვარს კაცი ვერ დაინახავ, თუ ჯომოლუნგმას უმაღლეს წერტილზე ფეხს არ შედგამ. ასე რომ, ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე უტყუარი „ცნობა“ რონგბუკის მყინვარია. ამას გარდა მწვერვალზე ვნახეთ რამდენიმე დღით ადრე შერპი მთამსვლელის, ბაბუ შერპას მიერ იქ დატოვებული ყვითელი ალპინისტური ქვეშაგები, რომელსაც სხვა ამსვლელთა ავტოგრაფები ამშვენებდა და მათ ჩვენიც დავუმატეთ. იქვე იყო ბაბუ შერპას სალაშქრო ქვაბიც. ბაბუმ მწვერვალზე მარტოდმარტომ ღამე გაათენა, იქ 21 საათამდე დაჰყო და ჯომოლუნგმაზე ხანგრძლივად ყოფნის მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

მწვერვალზე ვერ ვნახეთ ჩინელთა ის სამფეხა, რომელიც, ეტყობა, გადმოაგდეს.

ჩვენს მერე, მეორე დღეს მწვერვალზე თავის ოთხ შერპთან ერთად ავიდა იაპონელი სტუდენტი კენ ნოგური, ერთკაციანი ექსპედიციის წევრი. იგი მეოთხედ იყო ამგვარ ექსპედიციაში და მიზანს ახლა მიაღწია. ბაბუს ის ქვეშაგები მანაც ნახა, თავისი ავტოგრაფითაც შეავსო და ჩამოსვლის მერე მანაც დაადასტურა ჩვენი მწვერვალზე ყოფნა.

*გუჯაბიძე:*

— ნოგური, როგორც იცით, პერმიტით ჩვენს ექსპედიციას შემოუერთდა. პერმიტი მწვერვალზე ასვლის უფლებაა და შვიდ კაცზე იყიდება, ფასი კი ერთი აქვს მიუხედავად იმისა, ექსპედიციაში ერთი კაცი იქნება თუ შვიდი. მისი ამგვარი შემოერთება, ისე როგორც მექსიკელი ელზა კარსოლიოსი, ჩვენც ხელს გვაძლევდა და იმათაც, თუმცა პრაქტიკულად იაპონელიც, მექსიკელიცა და ჩვენც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვმოქმედებდით და მწვერვალზეც ცალ-ცალკე ავედით.

შეგახსენებთ, რომ ელზას მეუღლეც ცნობილი მთამსვლელია, რომელიც ყველა რვაათასიან მწვერვალზე ასულა.

*სარქისოვი:*

— ელზა კარიოლიო აღმოჩნდა პირველი ლათინო-ამერიკელი ქალი, ვინც ჯომოლუნგმაზე ავიდა, მე კი პირველი სომეხი, ვინც დედამიწის უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ისიც ძალიან მიხარია, რომ ჯომოლუნგმაზე უხუცეს ამსვლელთა რეკორდსმენი გავხდი. ერთი დღით რომ დამეგვიანებინა ასვლა, რეკორდი დარჩებოდა ესპანელ რამონ ბლანკოს, ვინც 1993 წელს 60 წლისამ და 160 დღისამ მიაღწია მიზანს. ძალიან მწყდება გული, რომ ბაქოელი მურსაკელოვი ღვიძლის შეტევის გამო ვერ ამოვიდა.

**— რამდენადაც ვიცით, ჯომოლუნგმაზე ამსვლელთა უხუცესობის რეკორდის დამყარებას წლეულს კიდევ ორნი ცდილობდნენ, ერთი 63 წლის რუსი, ცნობილი მთამსვლელი კორშუნი, რომელიც რუსულ-ბულგარული ექსპედიციის წევრი იყო და ერთიც 62 წლის იაპონელი, რომელიც თქვენივე მარშრუტით ლამობდა ასვლას.**

*გუჯაბიძე:*

— მიზანს ვერც-ერთმა ვერ მიაღწია. იაპონელი საგანგებოდ ამგვარი რეკორდის დასამყარებლად მოწყობილი ექსპედიციის წევრი გახლდათ. ფანტასტიკურად აღჭურვილი და უზრუნველყოფილი ვეება ექსპედიცია იყო. მისი თითოეული წევრი ერთი კაცისთვის მუშაობდა, მაგრამ ვაჯობეთ ჩვენ, უფრო სწორედ სარქისოვმა, რომელმაც ექსპედიციის დაწყებამდე ამგვარი რეკორდის არსებობაც არ იცოდა.

*სარქისოვი:*

— ამ ლაშქრობისას ბევრი დამიახლოვდა, მაგრამ ყველაზე მეტად დამიმეგობრდა 15 წლის ნეპალელი ბიჭი. სულ ჩვენთან იყო. მეუბნებოდა, თქვენ ყველაზე უფროსი ხართ, მე კი ყველაზე ახალგაზრდაო. ეს თხუთმეტი წლის ბიჭიც რეკორდზე მიდიოდა. უნდოდა ჯომოლუნგმაზე ამსვლელი ყველაზე ახალგაზრდა მთამსვლელი გამხდარიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მიზანს ვერ მიაღწია — 8000 მეტრის სიმაღლიდან გამობრუნდა და რეკორდი დარჩა ისევ მის თანამემამულეს, შამბუ ტამანგს, ვინც 1973 წლის 5 მაისს დალაშქრა ჯომოლუნგმა, როცა თექვსმეტისა იყო.

*ქაშაკაშვილი:*

— ეს ბიჭიც საგანგებოდ რეკორდის დასამყარებლად ჩამოყალიბებული ნეპალელთა ექსპედიციის წევრი იყო. ექსპედიციის ორგანიზატორი, „აზია ტრეკინგი“ იყო და თვით ნეპალის მეფე აფინანსებდა. ამ ბიჭისთვისაც მთელი ექსპედიცია მუშაობდა. მასში იყვნენ ძალზე გამოცდილი შერპები, ისეთები, რომლებიც ჯომოლუნგმაზე სამოთხჯერ ასულან. ისინი ამუშავებდნენ მთელ მარშრუტს, ამზადებდნენ ყველა საიერიშო ბანაკს და მათ უმაღლეს დონეზე ამარაგებდნენ ყველაფრით. ცხადია, ამ ბიჭს ერთი მეტრითაც კი არ ტოვებდნენ უყურადღებოდ. მაგრამ ექსპედიციის წარუმატებლობის მიზეზი ის იყო, რომ ამ ბიჭს ჟანგბადის ძალზე დიდ დოზას, წუთში 4 ლიტრს აწვდიდნენ, თავად მისი დამხმარეები კი ამის ნახევარსაც არ ხარჯავდნენ. ამის გამო ბიჭი უკეთ გრძნობდა თავს და დამხმარე შერპები ველარ ეწეოდნენ. ამგვარმა დევნამ მათ სიქა გააძრო, ბიჭმა კი ჟანგბადის მარაგი 8000 მეტრზე მთლად ამოწურა.

**— თავად რა რაოდენობით ხარჯავდით ჟანგბადს?**

*სარქისოვი:*

— ჟანგბადის გამოყენება 8000 მეტრიდან დავიწყეთ. იქნებ მის გარეშეც მიგვეღწია მიზნისთვის, მაგრამ რისკს მოვერიდეთ. ჩვენთვის მთავარი ასვლა იყო, სხვა შანსი ვინ იცის, კიდევ როდის გამოჩნდებოდა, მით უმეტეს, ჩემთვის. პირადად მე ასვლისას დაახლოებით წუთში ერთ ლიტრს ვხარჯავდი, ძილისას 1,5-2 ლიტრს, რათა ძალა მომეკრიბა.

**— მაგრამ მთამსვლელს ვერც ჟანგბადი უშველის, ვერც ოსტატობა და ვერც ფიზიკური მომზადება, თუ ჯომოლუნგმამ თავს ქარაშოტი დაიტეხა**

*ქაშაკაშვილი:*

— მართლაც, მთავარი იყო მწვერვალზე გრიგალი არ მოვარდნილიყო.

ამინდის პროგნოზი თუ რომელიმე ექსპედიციას გააჩნია, გასაიდუმლოებული აქვს. რადგან, ჯერ ერთი, ისინი ამაში ფულს იხდიან, მეორეც, კონკურენტებს ხელს არ შეუწყობენ. მაგრამ კარგი მზვერავებივით ვმუშაობდით სხვადასხვა ქვეყნის ექსპედიციებთან და მათგან შევიტყვეთ, რომ 12 მაისს გადამწყვეტი იერიშისთვის ყველაზე ხელსაყრელი ამინდი იქნებოდა.

**— კი მაგრამ, ხომ შეიძლებოდა კონკურენტები „ჯაშუშობაში“ უკეთ ყოფილიყვნენ დახელოვნებული და ცრუ ინფორმაცია შემოეტყუებინათ?**

*გუჯაბიძე:*

— ეს გამორიცხული იყო. ჯერ იყო და შვედი ქალი, როგორც იტყვიან, დავამუშავეთ და გავიგეთ, 12-ში ჯობდა ასვლა. მექსიკელებთან საერთოდ ძალზე იოლია ურთიერთობა და მათაც 12 გვითხრეს. ბენომ ამერიკელები როგორღაც „შეაშინა“ და იმათგანაც იგივე გავიგეთ. ერთი სიტყვით, ოთხი ექსპედიციისგან დაცინცლული თარიღი ერთმანეთს დაემთხვა.

*გიგანი:*

— მართლაც, ჩვენ რომ მწვერვალისკენ წავედით, სხვებიც მაშინ დაიძრნენ. 10 და 11-ში სულ თოვდა და თოვდა. 11-ში ღამით, როცა ბოლო ბანაკიდან გავედით, ახლა საშინელი ქარი ამოვარდა, რამაც ლამის ყველა მთამსვლელი უკან გააბრუნა, მერე კი ინანეს, რადგან, როგორც ვთქვით, დილით ქარი საგრძნობლად ჩაცხრა. საერთოდ, ამ ორი თვის განმავლობაში ყველანაირ ამინდში გვიხდებოდა ალმა-დალმა სიარული, მაგრამ მაშინ ყველაზე მეტად გაგვიმართლა, როცა საჭირო იყო.

**— შერპები როგორ შეარჩიეთ?**

— ჩვენი ექსპედიციის ორივე შერპი, 25 წლის ჩევანგ დურჯი და 39 წლის ნავანგლი აქამდე მწვერვალზე არ ასულან, ახლა კი პირდაპირ დედამიწის უმაღლეს პიკზე ამოჰყვეს თავი. თუმცა მანამდე მათ სხვადასხვა ექსპედიციებთან უმუშავიათ მარშრუტის დასამუშავებლად თუ ბანაკების მოსაწყობად. ისინი ბენო ქაშაკაშვილმა შეარჩია. მისი ვარაუდით, რაკი ეს ორნი მანამდე მწვერვალზე არ ყოფილან, ასეთ შანსს ჩვენ მივცემთ და ყველაფერს დიდი მონდომებით გააკეთებენო. ასეც მოხდა. როცა მათ ჩვენთან ერთად ამოსვლის ნება მივეცით, ძალზე გაიხარეს.

შეგახსენებთ, რომ ჩევანგ დურჯის მამა სახელგანთქმული ანგ რიტა ჯომოლუნგმაზე ყველაზე ბევრჯერ — 10-ჯერ ასულა.

* * *

ყოველივე ამის გამო ჩვენმა მთამსვლელებმა შერპთაგან და სხვებისგანაც დიდი სიმპათიები დაიმსახურეს. მათი ექსპედიცია სამხრეთიდან მოიერიშე გუნდებს შორის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა, რამაც ნეპალის გაზეთების დიდი ყურადღება მიიპყრო. ისინი მათ ფოტოებს პირველ გვერდზე ბეჭდავდნენ, იქაურმა ტელევიზიამ კი მათ ვრცელი გადაცემები მიუძღვნა.

და მაინც, სათქმელი იმათაც დარჩათ და ჩვენც — რას იზამ, ჯომოლონგმაზე ლაშქრობა ამოუწურავი თემაა.

**ავთანდილ გურასაშვილი**

**ბენო ქაშაკაშვილის ფოტოები**



ფერნანდო მელიგენი

# ...სიყვარული ყველას უნდა

**კაცები. ნახევარფინალი: ანდრეი მედვედევი (უკრაინა) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 7:5, 3:6, 6:4, 7:6 (8:6).**
**პირადი შეხვედრები აქამდე: 2:0 მედვედევის სასარგებლოდ.**

არა, ...ეთი უცნაური ნახევარფინა...ლი როლან გაროსს დიდი ხანია, არ ...ნახავს. თითქოს ის არ იყო საკმარი...ს, რომ ფინალში გასასვლელად ერთ...მანეთს კლასიფიკაციით 55-ე და მე...00 ჩოგბურთელები ხვდებოდნენ, თა...ად მატჩიც თავით ფეხებამდე ანომა...ლური გამოდგა.

თავად განსაჯეთ: თითოეულ სეტში ...ნ გასვლა წარმატების ნაცვლად ...რცხის გარანტია გამოდგა.

ასე იყო პირველ ხელშიც, როდესაც ...არმოშობით არგენტინელი, მოქალა...ქეობით ბრაზილიელი და მოწოდებით ...აკიმსხარა მელიგენი 4:0 დაწინაუ...რდა. მაგრამ მატჩის დასაწყისში ...ოწოდების შენარჩუნება თითქმის ...უძლებელი ამოცანა აღმოჩნდა (მარტო ...ირველ სეტში 7 ბრეიკი დაფიქსი...რდა) და უკრაინელმაც სულ მალე სხ...ვაობა მინიმუმამდე შეამცირა.

...ძნელი სათქმელია, შეხვედრის ბედი ...როგორ წარიმართებოდა, 5:4-ზე ბრა...ზილიელს ხუთი სეტ-პოინტიდან ერთი ...მაინც რომ გამოეყენებინა. მაგრამ მა...ტჩის უგრძეს, თითქმის 15 წუთად გა...წელილ გეიმში რკინის ნერვები უკრა...ინელს აღმოაჩნდა, რომელმაც ჯერ ან...გარიში გაათანაბრა, მერე კი მეტოქე სულის ამოხდამდე არბენინა და მეორე ხელში 3:1 დააწინაურდა.

როგორც იქნა, სული ამოითქვა უკრაინელის ბანაკმა და ბოიფრენდის წარმატებების პირადად სახილველად გერმანიიდან ჩამოფრენილმა, შავსათვალემორგებულმა ანკე ჰუბერმა. თუმცა სიხარული ნაადრევი გამოდგა — სწორედ მაშინ, როდესაც გამარჯვება ასე ახლოს ჩანდა, მედვედევს ბადესთან თამაშის პანიკური და ამასთან საფუძვლიანი შიში გაუჩნდა, ზედიზედ რამდენიმე სმეში ააცილა და თვალის დახამხამებაში სიტუაციის ბატონ-პატრონი ბრაზილიელი გახდა.

თუმცა საქმე მარტო კომპლექსებში არ ყოფილა — უკრაინელი ყველაზე უდროო დროს შაკიკს შეეწუხებინა, მეოთხე სეტში კი ამას კუნთების კრუნჩხვაც დაემატა: „თავს დილიდან ძალიან ცუდად ვგრძნობდი, მაგრა წარმოდგენა არა მაქვს, რატომ. ეს უბრალო მატჩი რომ ყოფილიყო, ალბათ, დავნებდებოდი. ამჯერად კი მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, მგელივით მებრძოლია და თუნდაც კორტზე მოვმკვდარიყავი".

მედვედევმაც ორჯერ გამოუძახა ექიმს, ურიცხვი ტკივილგამაყუჩებლები ყლაპა და მესამე-მეოთხე სეტებში შესაბამისად 1:3 და 2:4 ჩამორჩენის მიუხედავად ორივეგან იმარჯვა. ზედიზედ მეორე ბრაზილიელს უკრაინელმა ბოლო აულებელი შემოკლებულით მოუღო და მაშინვე რეკორდების წიგნში ამოყო თავი — ასე დაბალი კლასიფიკაციის მქონე ფინალისტი როლან გაროსს არასოდეს ჰყოლია.

„ეს პატარა სასწაულია, მაგრამ ამავე დროს წარმატება ციდანაც არ ჩამოვარდნილა. ამითვის ბევრი უნდა იშრომო და ბოძებული შანსები უნდა გამოიყენო. უკვე რვა წელია, პროფესიონალი ვარ და ვიცი, რას ნიშნავს დიდი სლემის ტურნირის ფინალში გასვლა" — განაცხადა პრესკონფერენციაზე დაღლილობისგან არაქათგამოცლილმა უკრაინელმა.

მედვედევს არც იმ ხალხის გახსენება დავიწყებია, ვისაც თავის წინსვლას უმადლის. პირველ რიგში მადლობა ექიმ დაგ სპრინს ერგო: „კიდევ კარგი, დღეს დოპინგზე ტესტები არ მაქვს ჩასაბარებელი. მან სამი ჯადოსნური აბით მთელი დაღლილობა მომიხსნა და ისეთი სუნიანი პირსახოცი მომცა, ერთი დაყნოსვით მკვდარს გააცოცხლებდა".

ყველაზე ტკბილი სიტყვები, ბუნებრივია, მედვედევის მეორედ მოსვლის სულისჩამდგმელ ანკე ჰუბერს ერგო: „ნერვიულობისგან ზედიზედ ორი ღამეა, არ მიძინია და ცხვირიდან სისხლი მდიოდა. ანკემ მითხრა, ფერნანდო იქნებ შენზე ცუდად გრძნობს თავს, ავსტრალიის ღია პირველობის ფინალის წინ (1996-ში) მე კინაღამ ფეხები გავჭიმეო. ვერ წარმოიდგენთ, ამ სიტყვებმა როგორ დამამშვიდა". .

თუმცა ჰუბერის გარდა უკრაინელს კიდევ ერთი სახელგანთქმული გამამხნევებელი ჰყავდა — უახლოესი მეგობარი და მონტე კარლოში კარის მეზობელი, ლეგენდარული ჭოკით მხტომელი სერგეი ბუბკა: „იგი პირველი წრიდან მოყოლებული ყოველდღე მირეკავდა, ფანტასტიკური იქნება, თუ ფინალში აქ მეყოლება. სერგეი უდიდესი სპორტსმენია, ვინც კი მინახავს".

**ანდრე აგასი (13, აშშ) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:4, 7:6 (8:6), 3:6, 2:1.**
**პირადი შეხვედრები აქამდე: 1:0 ჰრბატის სასარგებლოდ.**

ამჯერად როლან გაროსის თავზე სამი დღის განმავლობაში ჩამოწოლილმა შავმა ღრუბლებმა მუქარა აასრულეს და კორტებს თავს დააცხრნენ.

მესამე სეტის დროს გადაუღებლად ცრიდა, ჰოდა აგასიმაც ბოლოს და ბოლოს ველარ მოითმინა, მატჩის შეწყვეტა მოითხოვა და მეორე ფინალისტის ვინაობა მხოლოდ დღესღა გაირკვევა.

**კაცთა წყვილები. ნახევარფინალი: გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) და ჯეფ ტარანგო (აშშ) — ტომას კარბონელი (ესპანეთი) და პაბლო ალბანო (არგენტინა) 7:5, 6:4; მაჰეშ ბჰუპატი და ლეანდერ პაესი (2, ინდოეთი) — ნიკლას კულტი და მიქაელ ტილსტრომი (შვედეთი) 6:4, 6:3.**

**ქალთა წყვილები. ნახევარფინალი: მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) და ანა კურნიკოვა (რუსეთი) (2) — ალექსანდრა ფუზე და ნატალი ტოზია (4, საფრანგეთი) 6:3, 3:6, 6:4.**

**ავთანდილ სვანიძე**

# კოჭი ჭიკაზე დაუჯდა

**წლევანდელ** როლან გაროსზე ჩოგბურთელი ქალები საკუთარ კოჭებს კარგად აშკარად ვერ უვლიან — ჯერ იყო და, ერთი კვირის წინ მასპინძელთა ფავორიტი ამელი მორესმო გაიყვანეს კორტიდან საკაცით, ოთხშაბათს კი იმავე გზით იანა ნოვოტნაც გაარბენინეს.

ერთმაც და მეორემაც კოჭი წყვილების შეხვედრაში ამოიტრიალა და ახლა უიმბლდონზე ასპარეზობა ორივეს სათუოდ აქვს გამხდარი. მაგრამ თუ ლესბოსელ ფრანგს ბალახის დიდი სლემის ტურნირზე არაფერი დაჰკარგვია, 30 წლის ჩეხმა შარშანდელი ტიტული და იქ მოპოვებული უამრავი საკლასიფიკაციო ქულა უნდა დაიცვას.

„ვფიქრობ, ჯერ ადრეა იმის თქმა, რამდენად სწრაფად, ან საერთოდ თუ მოვმჯობინდები უიმბლდონის დაწყებამდე — განაცხადა ხუთშაბათს პრესკონფერენციაზე ყავარჯნებით გამოცხადებულმა იანამ — ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, ტელევიზიით სამჯერ ვნახე გამეორება იმის მისახვედრად, თუ რა მომივიდა".

საქმე კი ასე იყო: მარი პირსისა და ლინდსი დევენპორტის წინააღმდეგ მეოთხედფინალში პაექრობისას ნოვოტნამ და მისმა მეწყვილემ, ნატაშა ზვერევამ ბურთი ვერ გაიყვეს, ერთმანეთს შეასკდნენ, ბელარუსი ჩეხს კოჭზე დაახტა და ისეთი რამ დამართა, გული მარტო დაზარალებულს კი არა, ბევრ გულჩვილ მაყურებელსაც შეუწუხდებოდა.

„იმ ბურთს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავკიდებოდი. კორტის ცენტრში დარტყმულისთვის, წესით, ფორჰენდით, ესე იგი, ნატაშას უნდა ეპასუხა. ასე რომ, ყველაფერი ჩემი ბრალია".

ნოვოტნას კი თავისი დაემართა: კარგა ხანი კორტზე დარჩა გაშხლართული, ხელი კოჭზე ეჭირა, „ბეთჰოვენასავით" წუწუნებდა და ცოტა დაგვიანებით გამოჩენილ ექიმებს ეხვეწებოდა, ტკივილი გამიყუჩეთ, მნიშვნელობა არა აქვს, რას გამიკეთებთო.

ვეტერან ჩეხს თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე ეს ბედუკუღმართი მარჯვენა კოჭი თურმე ექვსჯერ უტკენია, თუმცა ასე მძიმედ — არასოდეს: „ისლა დამრჩენია, ოპტიმისტურად განვეწყო და იმისი იმედით ვიყო, რომ დასვენების სამი კვირა მეყოფა. მაგრამ თუ ბოლომდე არ გამოვჯანმრთელდები, უიმბლდონზე არ ვიასპარეზებ".

საფრანგეთის ღია პირველობის მთავარი ექიმი ბერნარ მონტალვანი ხელაღებით რაიმეს მტკიცებას ჯერ არ აპირებს: „ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, მყესები როგორაა დაზიანებული და ტკივილი ერთ კვირაში თუ გაივლის. ზოგ ჩოგბურთელს მოსამჯობინებლად მეტი დრო სჭირდება, ზოგს — ნაკლები".

# ქომაგები ებრძვიან გაფიცვას

**როლან** გაროსზე ქალების ნახევარფინალური შეხვედრების სანახავად ქომაგების უმეტესობას ცხრა მთის და ცხრა ზღვის გადალახვა მოუხდა.

როგორც უკვე გაუწყეთ, მეტროს მემანქანის მკვლელობის გამო პარიზში ოთხშაბათ-ხუთშაბათს მთელი საზოგადოებრივი ტრანსპორტი გაფიცული გახლდათ. ამ უკანასნელებმა, როგორც თავად ეგონათ, ხულიგნების საქციელის წინააღმდეგ გაილაშქრეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მილიონობით გაწბილებული მგზავრის ცოდვა სულ ტყუილად დაუდიათ — გარდაცვლილი ძალადობას კი არა, გულის ავადმყოფობას უმსხვერპლია.

თუმცა სიმართლის დადგენას როლან გაროსის სტუმრებისთვის დიდი ხეირი არ დაუყრია — მათმა უმეტესობამ წინა დღის მწარე გამოცდილების შემდეგ ჭკუა ისწავლა და თითქმის მიუწვდომელი ტაქსების დევნის ნაცვლად გორგოლაჭების შეძენა ან ველოსიპედების ქირაობა მოიფიქრა. სწორედ ამიტომ ჩვეულებრივ გადატენილი მანქანების სადგომი ამჯერად ამ ორბორბლიანმა მარტივმა სატრანსპორტო საშუალებამ დაიკავა.

თუმცა ზოგიერთი უცხოელი ისევ კეთილგანწყობილ პარიზელებს ემადლიერება, როგორც, მაგალითად, ინგლისელი ჩოგბურთის მწვრთნელი იან ნეში.

„ოთხშაბათს მანქანის ფანჯარაზე მივუკაკუნე და მძღოლმა სტადიონიდან ხუთი წუთის სავალზე ჩამომსვა. დღეს უკვე პლაკატი მეჭირა ხელში „როლან გაროსის" წარწერით და ვიღაცამ ზედ კარიბჭესთან მომიყვანა. არც კი მჯერა, ხალხი ისე მეგობრულადაა განწყობილი. ასეთ რამეს, ლონდონში, ალბათ, ვერასოდეს ელირსები".

# წარმოადგინეთ საშვები

**როგორც** ევგენი კაფელნიკოვმა აღმოაჩინა, კლასიფიკაციაში პირველობა ყველა კარზე „სეზამივით" სულაც არ მოქმედებს.

25 წლის რუსმა ერთეულებში მეორე წრეშივე წააგო, მაგრამ პარიზს წყვილებში ასპარეზობის გამო აქამდე შემორჩა და ორიოდ დღის წინ ხათაბალაშიც გაეხვია.

„როლან გაროსის" 1996 წლის ჩემპიონი გასახდელისკენ მიდიოდა, როდესაც უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა შეაჩერეს და საშვის წარდგენა მოსთხოვეს.

„მე ევგენი კაფელნიკოვი ვარ" — მიუგო სოჭელმა, რომელსაც, როგორც თავად მიხვდებით, საშვი შინ დარჩენოდა. არავითარი რეაქცია. „მსოფლიოს პირველი ჩოგანი" — დაუმატა ჟენიამ, მაგრამ უეიც შავსათვალეებიანებზე არც ამან იმოქმედა.

ატეხილ აყალმაყალში დაცვის უფროსიც გამოცხადდა, იცნო კიდეც კაფელნიკოვი და გასახდელში შესვლის ნებაც დართო. სოჭელს ბოდიში მოუხადეს, თუმცა ამასთან პირობაც ჩამოართვეს, რომ მომავალში საშვს ყოველთვის თან იქონიებდა.



# ფინალში კოშმარს ელიან



მაიკ მოდანო

**დღეს** დალასში გაირკვევა ბუფალოს მეტოქე სტენლის თასის ფინალში. სერიის მეშვიდე, გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს დალასი და კოლორადო შეეჯახებიან. ჩრდილო ამერიკის პრესა-ტელევიზია უხვად აფრქვევენ პროგნოზებს ამ უაღრესად საინტერესო დუელის შესახებ. მათი უმეტესობა უპირატესობას დალასს ანიჭებს, მიუხედავად იმისა, რომ კოლორადო პლეი ოფში სტუმრად ბრწყინვალედ თამაშობს (+8 -1) და დალასში ჩატარებული სამი მატჩიდან ორი უკვე მოიგო. ტეხასელი „ვარსკვლავებიც" შინ ურიგოდ არ გამოიყურებიან. გარდა ამისა, მეექვსე მატჩში დალასმა აშკარად მოახერხა კოლორადოს ლიდერთა გაუვნებლება. სპეციალისტები ერთხმად აცხადებენ, რომ დენვერელებს სწორედ ამ მატჩში უნდა გადაეწყვიტათ სერიის ბედი, ამიტომაც ახლა ფსიქოლოგიური უპირატესობა მათ მხარესააო. და კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი: დალასის მფლობელმა ტომ ჰიკსმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ მომავალ სეზონში ყველაფერს იღონებს უზომოდ გაბერილი საკლუბო ბიუჯეტის შესამცირებლად. ამის ერთადერთი გზა კი ძვირადღირებული ვეტერანების ნიჭიერი, იაფი ახალგაზრდებით შეცვლაა. „ისეთი ბიჭების, როგორიც ჯესონ ბოტერილი, ანდრე სიმი, იუჰა ლინდი და ბევრი სხვაა, თადარიგში ჯდომა აღარ შეიძლება" — პირდაპირ განაცხადა ჰიკსმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ნჰლ-ის ყველაზე „ბებერი" გუნდის ვეტერანებმა შეუძლებელი უნდა შეძლონ, რათა გუნდში ადგილი არ დაკარგონ.

საინტერესოა, რომ თვით მაიკ მოდანოსაც კი, რომელიც დალასის ვარსკვლავთა შორის ყველაზე ახალგაზრდაა (29 წლის), გუნდიდან დათხოვნა ემუქრება, ამიტომ...

ამგვარად, თუ სპეციალისტთა ვარაუდი გამართლდა, ფინალში ბრწყინვალედ გაწაფული, მაგრამ ერთნაირი და ერთობ მოსაბეზრებელი სტილის მიმდევარი გუნდების ჭიდილი გველის, რომელსაც მიმომხილველებმა უკვე მოუგონეს სახელი — „კოშმარების სერია". ცხადია, ეს ერთგვარად გადამეტებულია, მაგრამ სიმართლის მარცვალი მასში მაინც არის.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, საყოველთაო აზრი გავიზიაროთ და ბრწყინვალე ოსტატების — პიტერ ფორსბერგი (პლეი ოფის უეჭველად საუკეთესო მოთამაშე), ჯო საკიკის და პატრიკ რუას კლუბს ვუქომაგოთ.



ყველაფერში დამნაშავე შენ ხარ — უთხრეს „სიბერეგამწარებულ" ბილ რენფორდს

# დეტროიტის ცოდვა რენფორდს აჰკიდეს

**დეტროიტის** სახელოვან თავკაც, სკოტი ბოუმენის აზრით, მისი გუნდის კოლორადოსთან სერიაში მარცხის უპირველესი მიზეზი მეკარეთა პრობლემაა. „კრის ოსგუდი ძალიან ცუდ დროს დაგვიშავდა და ეს დანაკლისი ვერავინ შეგვივსო" — თქვა ბოუმენმა და გულწრფელად აღიარა, რომ „დედლაინზე" შეძენილმა ბილ რენფორდმა ვერ გაუმართლა იმედები. ამიტომაც ცნობილი მეკარე, რომელიც 1990 წელს, ედმონტონში თამაშისას, თასის MVP-ს ტიტულის მფლობელიც კი გახდა, დეტროიტმა ეგრეთ წოდებულ უეივერ დრაფტზე დააყენა.

შეგახსენებთ, რომ რენფორდი კიდევ სამ ვეტერანთან — კრის ჩელიოსთან, ულფ სამუელსონთან და უენდელ კლარკთან ერთად შეიძინეს 23 მარტის „დედლაინზე". მათ გამოაცოცხლეს გუნდი და თითქოს ძველი ძალაც შთაბერეს, მაგრამ კოლორადოსთან სერიაში რენფორდმა, რომელიც ახალშეძენილთა შორის ყველაზე იშვიათად თამაშობდა, ოსგუდის მოულოდნელი დაშავების შემდეგ გუნდი ვერ გადაარჩინა. მით უფრო, რომ მისი კოლორადოელი კოლეგა პატრიკ რუა ჩინებულად გაისარჯა და მის ფონზე აშკარად სუსტად გამოიყურებოდა.

**სამველ ლარიბიანი**

**EURO 2000** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

III ჯგუფი

**გერმანია 6:1 მოლდოვა**

1:0 ბირჰოფი (2), 2:0 კირსტენი (27), 3:0 ბოდე (38), 4:0 ბირჰოფი (55), 5:0 შოლი (71), 5:1 სტრატულატი (76), 6:1 ბირჰოფი (82)

გერმანია: კანი, მათეუსი (ბაბელი 74), შტრუნცი, ნოვოტნი, იერემისი (შოლი 45), ჰამანი, ჰაინრიხი, ნოივილი, ბოდე, კირსტენი (რამელო 54), ბირჰოფი

მოლდოვა: დინოვი, ფისტიკანი, სტროენკო, მაიევიჩი (სტრატულატი 54), გუზუნი, რებეჟა, კურტიანუ, ეპურიანუ, ოპრია, გაიდამშჩუკი (ბელოუსი 74), კლეშჩენკო (შიშკინი 81)



REUTERS ლევერკუზენიდან

გერმანია — მოლდოვა. ალექსანდრ კურტიანუ იენს იერემისის (№6) წინააღმდეგ

V ჯგუფი

**პოლონეთი 2:0 ბულგარეთი**

1:0 ჰაიტო (15), 2:0 ივანი (62)

პოლონეთი: მატისეკი, ვალდოხი, ლიპინსკი, სიდაჩკა, ზელინსკი, ჰაიტო, მიხალსკი, ივანი, ვიხნიარეკი (ფრანკოვსკი 64), ნოვაკი (ბრჟეჩეკი 73), ტრჟეჩიაკი

ბულგარეთი: ივანკოვი, კიშიშევი, ზაგორჩიჩი, ი. პეტკოვი, მარკოვი, კირილოვი, პეტროვი, სტოიჩკოვი (გ. ივანოვი 80), იოვოვი (ბაჩევი 62), მ. პეტკოვი, სტოილოვი



REUTERS ვარშავიდან

პოლონეთი — ბულგარეთი. სტუმარი როსენ კირილოვი მასპინძელ ტომაშ ლიპინსკის გაექცა

**ქალთა ევროპის ჩემპიონატი (პოლონეთი)**

მეოთხედფინალი. 4 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 72:51 | ხორვატია | საფრანგეთი | 64:58 | იუგოსლავია |
| რუსეთი | 61:51 | ჩეხეთი | სლოვაკეთი | 69:63 | ლიტვა |



REUTERS ქაიროდან

დანია — ტუნისი. დანიელთა მეკარე ვიდ კასპერმა ტუნისელ რიად სანას შვიდმეტრიანი არ გაატანინა

# დუგი-ბუგი ბუფალოში

*ამერიკული ბურთაობის ბუფალოელ ვარსკვლავ დუგი ფლოთსა (შუაში) და მის თანაგუნდელებს ანტუან სმითს, ჯემი ნეილზსა და მარსელ უილის როკ-ჯგუფი ჩამოუყალიბებიათ... ჯგუფს „ფლოთი ბრაზერზი“ ჰქვია და დუგი მისი სული, გული და დოლ-გარმონი ყოფილა. ეს ფოტო კი გუშინწინ გადაუღიათ, როცა ბიჭები ბუფალოს გარეუბანში მაცხოვრებლებს ართობდნენ და თავადაც მაგრად ერთობოდნენ.*



REUTERS ბუფალოდან

# გრიგალმაც ვერ გადაულუნოს

*ამერიკის წლევანდელ თასზე ავსტრალიელთა იახტკლუბ „ოუსტრელიენ ჩელენჯზ“-ს 19 წლის ჯეიმს სპითილი (მარჯვნივ) უშკიპერებს. ჯეიმსი თურმე თასის უმრწემესი მონაწილე იქნება. ფოტოზე იგი ბებერ ზღვის მგელ საიდ ფიშერსა (შუაში) და კლუბის ერთ-ერთ დიდმოხელე ჯეიმს ჰარდისთან (მარცხნივ) ერთად აუსახავთ... ბებრები ჭაბუკს ზურგქარით აფრიალებულ აფრებსა და გრიგალებშიც ვერგადალუნულ ანძებს უსურვებენ...*




REUTERS სიდნეიდან

**ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატი**

ეგვიპტე. 4 ივნისი

A ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| ესპანეთი | 34:18 | მაროკო |
| არგენტინა | 16:25 | ალჟირი |
| ტუნისი | 19:23 | დანია |

B ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| გერმანია | 26:13 | ბრაზილია |
| მაკედონია | 18:32 | კუბა |
| საუდეთი | 16:19 | ეგვიპტე |

C ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| რუსეთი | 35:15 | ქუვეითი |
| უნგრეთი | 19:20 | ხორვატია |
| ნიგერია | 13:27 | ნორვეგია |

D ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| ჩინეთი | 23:38 | კორეა |
| შვედეთი | 49:17 | ავსტრალია |
| იუგოსლავია | 23:26 | საფრანგეთი |



# მისისები მისისიპიზე

*მისისიპის ნაპირებზე ამერიკელი მისებისა და მისისების საგოლფო პირველობა გაჩაღებულა. ფოტოზე ერთი მათგანი, დალასელი კელი კიუნი აღუბეჭდავთ... კელის ეს ესაა იოლი დარტყმა გაუცუდებია და უხერხელობას აი, ასეთი ორჭოფი ღიმილით მალავს.*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29